გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№166 (224) 17-23 აპრილი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# არნო ხიდირბეგიშვილი ჯონ ბასს: თქვენ ასეთი საქართველო გინდოდათ?!

(საქინფორმის მთავარი რედაქტორის ღია წერილი აშშ-ის ელჩს)



**ბატონო ელჩო!**

2012 წლის 12 მარტს საქართველოში აშშ-ის საელჩოს კანცელარიის თანამშრომელმა მაგიდაზე დაგიდოთ ჩემი ღია წერილი, რომელიც იმავე დილას საელჩოს ჩააბარა ექსპრესს-ფოსტა **„DHL“**-მა. კარგი ინგლისურით დაწერილ წერილში მე, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** მთავარმა რედაქტორმა, გიამბეთ რეალური დეტექტიური ისტორია 2012 წლის 5 მარტს პოლიციისა და ჩემი რედაქციის თანამშრომლების თანდასწრებით ჩემზე განხორციელებულ თავდასხმაზე – მხოლოდ იმის გამო, რომ გავბედე და საქართველოდან პირველმა მივულოცე ბატონ ვ. ვ. პუტინს რუსეთის პრეზიდენტად არჩევა.

ღია წერილი გამოქვეყნდა ასევე **www.saqinform.ge**-ს ქართულ და რუსულ ვერსიებზე, თუმცაღა დანართების გარეშე, რომლებიც, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გამოგიგზავნეთ მხოლოდ თქვენ და ომბუდსმენს, ასევე, გადავეცი პოლიციის გამომძიებელს, რადგან დანართებში იყო უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამნაშავეთა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე მიუთითებდა.

ამგვარად, თქვენ მიიღეთ აშკარა სამხილი, რომ საქართველოში ხელისუფლების დაკვეთით და ძალოვანი სტრუქტურების მფარველობის ქვეშ მოქმედებს დაქირავებულთა ჯგუფი, რომელიც შედგება სხვადასხვა რუსულ მედია-საშუალებაში მომზადებაგავლილი რუსულენოვანი ინტერნეტ-დივერსანტებისა და **„კა-გე-ბე“**-ს ყოფილი თანამშრომლებისგან. სხვათა შორის, ეს ჯგუფი თავის ძირგამომთხრელ საქმიანობას კავკასიის და რუსეთის მასშტაბით რომ ეწევა, პირველმა მე კი არა, არამედ თქვენმა წინამორბედმა – **აშშ**-ის ექს-ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა გამოააშკარავა, რის თაობაზეც მან ჯერ კიდევ 2008 წელს აცნობა **აშშ**-ის სახელმწიფო დეპარტამენტს.

თქვენს სამუშაო მაგიდაზე დაიდო მრავალი დასტური იმისა, თუ როგორ მოუწოდებენ ზემოთნახსენები ჯგუფის წევრები (რომელთაგან ბევრი ლიბერტარიანელებსა და უმცირესობებს – სექსუალურს და რელიგიურს – მიეკუთვნება) სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისა და საქართველოში მაკარტიზმის დამკვიდრებისაკენ, დაუფარავად ქადაგებენ ქსენოფობიას და აღვივებენ ერთაშორის შუღლს, უგულებელყოფენ ტოლერანტობას და იწონებენ გენოციდს, უკიჟინებენ ფაშიზმისა და ახალი ომებისაკენ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

ბატონო ელჩო!

საიდუმლო არაა, რომ თქვენ საქართველოს არაოფიციალურ მმართველად მიგიჩნევენ, თუმცა ღია წერილი ამის გამო არ მომიწერია. როცა წერილზე თანდართულ მასალებს გაეცანით, ალბათ, შენიშნეთ, რომ დაქირავებულ სექსოტთა ზემონახსენები ჯგუფის წევრები (მინიმუმ – ორი სპეცსამსახურის აგენტები და თქვენ იცით, თუ რომელი სპეცსამსახურებისა) თქვენ ფსევდონიმით – **„უზენაესი არბიტრი“** – მოგიხსენიებენ, თუმცა მე ასეთად არ მიგიჩნევთ.

სხვათა შორის, ეგებ იცოდეთ, ვის გულისხმობენ ისინი ფსევდონიმის ქვეშ – **„დიადი დემოკრატიზატორი“**? შემთხვევით, იმას ხომ არა, ვისი ბრძანებითაც დღეს აყალო მიწაში განისვენებს ათასობით მოკლული ქართველი, ციხეები გადაძეძგილია ათობით ათასი პატიმრით, ხოლო ასობით ათასი ჩვენი თანამემამულე მთელ მსოფლიოში ლუკმაპურის საშოვნელად მიმოფანტულა?! მათ ყოველდღე აპატიმრებს სხვადასხვა ქვეყნის პოლიცია ქურდობის, ძარცვის, პროსტიტუციის, ნარკოტრაფიკის, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის. კონტრაბანდისა და სხვა დანაშაულებისთვის: რამ აიძულა ისინი, დაეტოვებინათ სამშობლო, თუ **აშშ**-მა ამ ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველო მსოფლიო **„დემოკრატიის შუქურად“** და **“ეკონომიკურ ლიდერად”** აქცია? ბატონო ელჩო, ვიმედოვნებ, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ქართველები ბუნებით არიან ბომჟები, ქურდობის, ბანდიტიზმის, პროსტიტუციის, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და კონტრაბანდისკენ მიდრეკილნი?!

ბატონო ელჩო!

ამბობენ, რომ სანამ დიპლომატი გახდებოდით, ჩემი კოლეგა იყავით – გაზეთის რედაქტორი, მაგრამ წერილს იმიტომ კი არ გწერთ, რომ პროფესია ან მეგობრობა გვაკავშირებს: თქვენი წინამორბედის მსგავსად, ჩვენ მხოლოდ თითო-ოროლა ფრაზა და სავიზიტო ბარათები გავცვალეთ საზეიმო მიღებებზე სხვადასხვა უცხოურ საელჩოში, აი, რიჩარდ მაილსს კი ბევრად უკეთესად ვიცნობდი, თუმცაღა მის შეხედულებებს არ ვიზიარებდი. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ მაილსი, თქვენგან განსხვავებით, უფრო ენერგიულ რეაგირებას მოახდენდა ამგვარ აღმაშფოთებელ ფაქტზე, რომლის ბადალი მსოფლიო პრაქტიკაში არც კი მეგულება: ჟურნალისტთა მთელი კოლექტივის, მათ შორის – მისი ხელმძღვანელისა და იქ მომუშავე მანდილოსნების შეურაცხყოფა და მუქარა, დღისით-მზისით რედაქციაზე თავდასხმა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის თანდასწრებით! ვიმედოვნებ, ამ არამზადებს ქართველებად არ მიიჩნევთ, ბატონო ელჩო?!

დიახ, მას შემდეგ, რაც ჩემი ღია წერილი აშშ-ის საელჩოს ჩაბარდა, დაქირავებულმა პროვოკატორებმა ინტერნეტში ლანძღვაგინება შეწყვიტეს, თუმცაღა მე თქვენგან გაურკვეველი სქესის არსებებისგან დაცვას კი არა, მომხდარის დაფიქსირებულ შეფასებასა და ამერიკის მილიარდობით დოლარით შექმნილი საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების – **შსს**-სა და პროკურატურის, შემდგომი მოქმედებების კონტროლს ველოდი!

სიტყვამ მოიტანა და, ამ ორ უკანასკნელზე მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ 28 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტურობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, შეზღუდულუნარიანობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ნიშნით ან სხვა დისკრიმინაციული მოტივებით დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა, პროკურატურამაც და პოლიციამაც უარი განაცხადეს ჩემი განცხადების საფუძველზე გამოძიების დაწყებაზე, რადგან ამ საქმეში **„დანაშაულის ნიშნები“** ვერ აღმოაჩინეს, რითაც უხეშად დაარღვიეს ქართული კანონმდებლობის რიგი მუხლები. როგორ ფიქრობთ, აღმოაჩენდნენ თუ არა ისინი **„დანაშაულის ნიშნებს“**, ამგვარი რამ პუტინის კი არა, ვთქვათ, ობამასთვის მილოცვის გამო რომ მომხდარიყო?! და როგორი იქნებოდა ამ შემთხვევაში თქვენი რეაქცია?

ბატონო ელჩო!

მალე თქვენ ვაშინგტონში დაბრუნდებით: რას იტყვით საქართველოზე იქ, სახელმწიფო დეპარტამენტში, რას დაწერთ თქვენს ანგარიშგებაში? კერძოდ – საქართველოში დემოკრატიის, ადამიანის საბაზო უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მედიის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის, საარჩევნო სისტემის და არარსებული ეკონომიკის თაობაზე? ნუთუ მოახსენებთ, რომ რეფორმები საქართველოში შედგა?! ხომ არ გეჩვენებათ, რომ იქ, ვაშინგტონში, მავანი რულეტკის აზარტულ მოთამაშეს დაემსგავსა, რომელმაც ყველაფერი წააგო, მაგრამ ამის აღიარების ეშინია და ამიტომ ნებისმიერ ფსონს ჩამოდის, იქნებ და – მოიგოს?..

ან ეგებ დემოკრატია მნიშვნელოვანი არ არის და მთავარია, რომ ოდესღაც ამაყი ქართველი ერი წარმატებით გადაიქცევა ლაჩარ დაზომბებულ ბრბოდ, რომელიც ცხოველური ინსტინქტებით ცხოვრობს?! იქნებ მთავარი ისაა, რომ დღეს საქართველოში უმცირესობები დაუსჯელად შეურაცხყოფენ უმრავლესობას, ჰომოსექსუალები – ჰეტეროსექსუალებს, სექტანტები და ლიბერტარიანელები – მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და მათ პატრიარქს, თინეიჯერები – ხანდაზმულებს, მათ შორის – საკუთარ მშობლებსაც? ასეთი საქართველო გნებავდათ?! ასეთი დემოკრატიის მშენებლობაზე დახარჯა ამერიკამ მილიარდობით დოლარი, ბატონო ელჩო?!

თქვენ ტოვებთ ქვეყანას, სადაც თუ ხელისუფლებაში ან მასთან ახლოს ხარ, ყველა დანაშაული შეგრჩება, თუ არა – დაუცველი ხარ, დაუსჯელად შეიძლება შენი მოკვლა ან ციხეში ჩაგდება!

თქვენ ტოვებთ ქვეყანას, რომლის ხელისუფლება ჟურნალისტებზე თავდასხმაში, მუქარასა და შეურაცხყოფაში **„დანაშაულის ნიშნებს“** ვერ ხედავს;

თქვენ ტოვებთ ქვეყანას, რომელიც ევროპაში პირველ ადგილზეა პატიმრებისა და ევროსასამართლოში **„საქართველოს წინააღმდეგ“** საქმეების რაოდენობით!

როგორ განიხილავთ ყოველივე ამას – როგორც საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯებს? მიიღებენ კი ასეთ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში, ბატონო ელჩო?!

გადაეცით სახელმწიფო დეპარტამენტს ჩემი კეთილი რჩევა: სანამ ანტიამერიკანიზმმა საქართველოში, ისევე, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, შეუქცევადი და უკიდურესად აგრესიული ხასიათი არ მიიღო, აღიარეთ, რომ პროექტი **„ვარდისფერ-ცისფერი საქართველო“** ჩაგივარდათ, თუნდაც იმიტომ, რომ აქ, როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ არსებობს არნო ხიდირბეგიშვილი და მისთანანი, თანაც, ჩვენ – უმრავლესობა ვართ! გააკონტროლეთ დამდეგი საპარლამენტო არჩევნები – ოღონდ **„NDI“**-სა და **„IRI“**-ს გარეშე, არ დაუშვათ არჩევნებზე ზონდერბრიგადები, მიშა მაჭავარიანები და ხათუნა გოგორიშვილები, და ამაში თავად დარწმუნდებით.

ბატონო ელჩო!

იცით, რა მინდა? თქვენ საქართველოში ჩამოხვედით ისე, რომ აბსოლუტურად არ იცოდით, სად მიემგზავრებოდით, და მინდა, რომ აქედან გამგზავრებისას, ბოლოს და ბოლოს, გაიგოთ – რა არის საქართველო, ქართველები და ქართველი ხალხი! ამ სამი წლის განმავლობაში, რაც თქვენ საქართველოში მუშაობდით, ერთხელ მაინც ნახეთ ფილმი **”ჯარისკაცის მამა”**? თუ კი – გახსოვთ ეპიზოდი, როცა ჯარისკაცის მამა – რიგითი მახარაშვილი ვაზს ელაპარაკება? ამაშია ქართველი ერის მთელი საიდუმლო! რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა გვაშინებდნენ, მოგვისყიდავდნენ, გვკლავდნენ, ზომბებად გვაქცევდნენ, ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სულში არსებობს კოდი და როცა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო დაღუპვის პირას დგება, ის იღვიძებს და ქართველი მყისვე მხრებიდან იბერტყავს ყველაფერ თავსმოხვეულს, შეთითხნილს, მენტალურად უცხოს! დღეს კი სწორედ ასეთი მომენტია, ბატონო ელჩო – მაშ, გამოხატეთ, ჩვეულებისამებრ, თქვენი აღშფოთება, შეშფოთება, ან რაღაც ამგვარი!

**P. S. ამას წინათ, ქალაქ ბათუმში, თქვენ, ბატონო ელჩო. ქართველი ჟურნალისტების ცოდნისმოყვარეობის და პროფესიონალიზმის დეფიციტზე დაიჩივლეთ და წუხილი გამოთქვით იმის გამო, რომ ისინი რთულ კითხვებს არ გისვამდენ. ვიმედოვნებ, რომ კითხვები, რომლებსაც გისვამთ ჩემს ღია წერილებში, ასეთთა კატეგორიას არ განეკუთვნება და ამიტომაც ეს წერილი, წინა გზავნილის მსგავსად, კარგი ინგლისურით დავწერე და მას ექსპრესფოსტით მოგართმევენ იმისათვის, რომ პასუხი გამცეთ.**

**დასასრულ კი გეტყვით: სამუშაო კაბინეტიდან პირადი ნივთების წაღებისას დატოვეთ ეს წერილი, წინა წერილთან ერთად, თქვენს მაგიდაზე – ვფიქრობ, ახალი ელჩის, ბატონი რიჩარდ ნორლანდისთვის, მათი გაცნობა ძალზედ უპრიანი იქნება.**

**საუკეთესო სურვილებით თქვენდამი და თქვენი მეუღლისადმი,**

საინფორმაციო-ანალიტიკური
სააგენტო „საქინფორმის“
მთავარი რედაქტორი
არნო ხიდირბეგიშვილი

# „რა შეიძლება მოხდეს, თუ მიწისძვრის დროს კაშხლები დაინგრევა?!“

**თქვენ შეგიძლიათ, ტყის მასივების გაჩეხა, „წითელ წიგნში“ შეყვანილი ცხოველების, ენდემური სახეობების განადგურება; ასევე – წყალსაცავების, მდინარეებისა და ზღვის ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური თუ ორგანული სასუქებითა და შხამ-ქიმიკატებით დაბინძურება-დანაგვიანება, ნაყოფიერი მიწის ფენის მოხსნა და უცხოეთში გაყიდვა...**

არაფერი გეჩვენებათ – რასაც კითხულობთ, სინამდვილეა: რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი ხდება, დაინტერესებულ პირსა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის დაიდოს შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებულ პერიოდში პირის მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას ჩადენილი ყველა მსგავსი ქმედება კანონიერად ჩაითვლება. შეთანხმების დადების დღიდან პირს არ დაეკისრება არანაირი სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; ასევე, დაუშვებელია პირის საქმიანობის კონტროლი ან ჯარიმისა თუ სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრება. **„სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარ ხალხს ეკოტერორიზმსა და ეკოციდს უწყობს,“** – ასე აფასებენ გარემოს დამცველები კანონპროექტში – **„გარემოს დაცვის შესახებ“** შეტანილ ცვლილებებსა და მოსახლეობას ეკომიტინგების გამართვისკენ მოუწოდებენ.

**გია გაჩეჩილაძე, „მწვანეთა პარტიის“** ლიდერი:

– ეკოტერორიზმის პირველი გამოვლინება ის გახლდათ, რომ ხელისუფლებამ გარემოს დაცვის სამინისტროს ყველა ფუნქცია ენერგეტიკის სამინისტროს მიაკუთვნა და ამ უწყებას ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაარქვა. ახლა ხელისუფლება, ამ სამინისტროსთან ერთად, ყველაფერს ყიდის, იმასაც კი, რისი გაყიდვაც არ შეიძლება. წარმოუდგენელ რაღაცებს აკეთებენ. მათ ფულის სანაცვლოდ ადამიანებს მხოლოდ ტყის გაჩეხისა და წყლის მოწამვლის ნება კი არ დართეს, არამედ უფლება მისცეს: ჰაერში გააფრქვიონ მავნე ნივთიერებები, დაარღვიონ ქიმიური საშუალებების ტრანსპორტირებისა და შენახვის წესები, გააავარგისონ მიწა საწარმოო და სხვა ნარჩენებით... არც კი ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

**ნინო ჩხობაძე,** საქართველოს მწვანეთა მოძრაობა **„დედამიწის მეგობრების“** თანათავმჯდომარე:

– თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონპროექტი XXI საუკუნის საოცრებაა. ასეთ კანონებს ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლები არ იღებენ. ე.ი. ადამიანს შეუძლია, გაჩეხოს ტყის მასივები, ააშენოს ნებისმიერი ტიპის დაწესებულება, გაანადგუროს ცხოველები, ენდემური სახეობები, შეუძლია ჩაყაროს ნარჩენები წყალში და არავინ გააკონტროლებს; ასევე, შეუქმნას საზოგადოებას საფრთხე სასმელ წყალთან დაკავშირებით და არანაირი პრობლემა არ შეექმნება, თუკი ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმება ექნება დადებული.

– ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, ნინო ენუქიძე ამბობს, რომ სამინისტროსთან შეთანხმება ფორმდება არა სამომავლო, არამედ გასულ პერიოდზე...

**ნინო ჩხობაძე:**

– ეს ტყუილია: არც კანონპროექტში და არც მის ახსნა-განმარტებით ბარათში არ იკითხება ის, რომ შეთანხმება წარსულში განხორციელებულ ქმედებებს ეხება. პარლამენტი სრულ ინდულგენციას გასცემს, როგორც წარსულში ჩადენილ დანაშაულზე, ისე მომავალში ჩასადენ დანაშაულზე.

**გია გაჩეჩილაძე:**

– ამ საკითხთან დაკავშირებით, მინისტრის მოადგილეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ და მოსთხოვეს, ეჩვენებინა, თუ რომელ პუნქტში იყო აღნიშნული, რომ შეთანხმება მხოლოდ წარსულში ჩადენილ დანაშაულზე ფორმდებოდა. ქალბატონმა ენუქიძემ ვერაფერი თქვა. ამის შემდეგ პირადად მე, როგორც ფიზიკურმა პირმა, პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევიტანე. ხელისუფლება და საკანონმდებლო ორგანო საკუთარ ხალხს ეკოციდს ანუ გენოციდს უწყობს. სასამართლოც თუ გაწირავს საკუთარ ხალხს, მაშინ ბრძოლას ზედა ინსტანციაში – ანუ ევროპულ სასამართლოში გავაგრძელებ.

**მანანა ქოჩლაძე, „მწვანე ალტერნატივის“** თავმჯდომარე:

– ეს კანონი აკანონებს უკანონო მოქმედების შესაძლებლობას, შესაბამისად, ეწინააღმდეგება თვით გარემოსდაცვითი კანონმდებლობის იდეას, რომელიც გარემოსდაცვითი პრობლემების პრევენციას ითვალისწინებს. თუ პირს ეცოდინება, რომ მას შეუძლია, მსგავს შეთანხმებას მიაღწიოს, ის იმოქმედებს კანონმდებლობის დარღვევით და ამით დაზარალებული, საბოლოო ჯამში, საზოგადოება გამოდის. იმისთვის, რომ დაზღვეული ვიყოთ მომავალში ჩადენილი ქმედებებისგან, საჭიროა, კანონში გარკვევით ჩაიწეროს, რომ იგი მის მიღებამდე ჩადენილ დანაშაულზე ვრცელდება.

**ირაკლი მაჭარაშვილი, „მწვანე ალტერნატივის“** წარმომადგენელი:

– თუ დავუშვებთ იმას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა არასწორი ინტერპრეტაცია გაუწიეს კანონპროექტს, პირველ რიგში, ეს არის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გარემოს დაცვის სამინისტროს ბრალი, ვინაიდან მათ, ორჰუსის კონვენციის (საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით სფეროში ინფორმაციის, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისა და მართლმსაჯულების მისაწვდომობის საკითხებს) მოთხოვნების შესაბამისად, არ უზრუნველყვეს კანონის საჯარო განხილვა პარლამენტში გაგზავნამდე. კანონმდებლობის ეს დარღვევა უკვე საკმარისია იმისათვის, რომ გახდეს სასამართლო სარჩელის და ამ კანონის გაუქმების მოთხოვნის საფუძველი. ეს ამ სამინისტროს მესვეურებმაც კარგად უწყიან და სიტყვებით თამაშით ვერ გადაფარავენ უკანონობას.

**– როგორ ფიქრობთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ ცვლილებების შეტანის მოტივი?**

**ნინო ჩხობაძე:**

– ვფიქრობ, რომ ამით ის ადამიანები შეიძლება იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას გეგმავენ. მათ შესანიშნავად იციან, რომ გიგანტური კაშხლების მშენებლობა საქართველოს ეკოსისტემას სრულიად გაანადგურებს. ეს კანონი მისწრებაა მათთვის, იმიტომ, რომ მისი საშუალებით, ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან.

**მანანა ქოჩლაძე:**

– დარიალის ჰესის მშენებლობა კანონმდებლობის დარღვევით დაიწყო, რადგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეგმა არ არსებობდა. რა გამოდის? რადგან კანონი ამას ლეგიტიმურად ცნობს, მომავალში ეს ჰესი ნაკლებ ზარალს მომაყენებს?.. ვფიქრობ, ამ კანონის მიღების შემდეგ გააფორმებენ ხელშეკრულებას დარიალის ჰესთან, და მერე ჩვენს სარჩელზე, რომლებიც გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ იქნება მიმართული, სასამართლო გვეტყვის, რომ „ეს კაცი“ სრულიად კანონიერად მოქმედებს.

**ნინო ჩხობაძე:**

– ინვესტორი, რომელიც ასეთ პროექტში მიიღებს მონაწილეობას და ეკოსისტემის დაცვაზე უარს იტყვის, არ შეიძლება, სანდო იყოს. ყველა ცნობილი კომპანია ცდილობს, რომ ეკოსისტემა არ დააზიანოს, თავისი საქმიანობით ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის წინაშე არ დააყენოს.

**გია გაჩეჩილაძე:**

– უცხოელმა, ცივილიზებულმა ინვესტორებმა კაშხლების აგებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობაზე მას შემდეგ თქვეს უარი, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა საპროტესტო ღონისძიებები მოაწყვეს და მსოფლიო საზოგადოება საქმის კურსში ჩააყენეს. სამაგიეროდ, ხელისუფლება ახლა რუსებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. როგორც ჩანს, სააკაშვილი და მისი გუნდი ყველაფერზე წავლენ, ოღონდ ფული ჩაიდონ ჯიბეში. მათ მიერ ხალხის წინააღმდეგ გენოციდის მოწყობის მცდელობა მხოლოდ ამით როდი ამოიწურება. მინდა გითხრათ, რომ ცოტა ხნის წინ გააუქმეს 1998 წელს მიღებული კანონი **„ბირთვული და რადიოაქტიური უსაფრთხოების შესახებ“** (ამ კანონის ავტორი **„მწვანეთა პარტია“** იყო), რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალული იყო ატომური სადგურების მშენებლობა, ბირთვული ნარჩენების ექსპორტი, რეექსპორტი (ანუ ნებისმიერი სახით გატანა და შემოტანა), ასევე, ბირთვული იარაღისა და ბირთვული კოსმო-სამხედრო ტექნოლოგიების შემოტანა, გამოცდა და გამოყენება.

1998 წელს მიღებული კანონით, საქართველო ბირთვული ობიექტების, ტექნოლოგიური და რადიოაქტიური ნარჩენებისგან თავისუფალ ეკონომიკურ ზონად იყო გამოცხადებული. როგორც ჩანს, ახალი კანონით ხელისუფლება ცდილობს, საქართველო ბირთვული ობიექტების მშენებლობის პოლიგონად – ბირთვული ტექნოლოგიების სატრანზიტო დერეფნად გადააქციოს. მე უკვე მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, რუსეთიდან და სომხეთიდან რადიოაქტიური ნარჩენების შემოტანა იგეგმება. ასევე დანაშაულებრივი და საფრთხის შემცველია ამ ხელისუფლების მიერ ოთხი თუ ხუთი დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლება ეძლევა, მშენებლობის დროს ტერიტორიის რეალური სეისმურობის (მიწისძვრების) სიდიდის კორექტირება მოახდინოს,– ე.ი. ვერა ქობალიას მიეცა უფლება, ექსპერტების დასკვნაში შეიტანოს კორექტირება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეისმურობის (მიწისძვრების) ბალიანობის შემცირება მნიშვნელოვნად აიაფებს მშენებლობას.

როგორც ჩანს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი იაფი მშენებლობით დაინტერესდა და გადაწყვიტა, სეისმურობის კორექტირების ხარჯზე განახორციელოს მშენებლობა, ე.ი. ხალხის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს, დიდი კონსტრუქციების – მაგალითად, წყალსაცავების, კაშხლების მშენებლობისას, რომელმაც ასეულობით მილიონი ტონა წყალი უნდა შეაკავოს. ხელისუფლების ქმედებები უკვე აშკარა ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებს. ყველამ იცის, რომ საქართველო სეისმურად აქტიურ რეგიონში მდებარეობს. აქ შესაძლებელია მოხდეს მიწისძვრები, რომელთა მაგნიტუდა 7-ის ტოლია, ხოლო მაკროსეისმური ეფექტი – 9 ბალია. ხომ წარმოგიდგენიათ, რა კატასტროფა შეიძლება მოხდეს, თუ მიწისძვრის დროს კაშხლები დაინგრევა?! ახლოს მყოფ სოფლებსა და ქალაქებში ვერც ერთი სულიერი ვერ გადარჩება ცოცხალი. აშკარაა, რომ სააკაშვილის გუნდი ფულის გამო ყველაფერს იკისრებს, უფრო სწორად – უკვე იკისრა. ერთადერთი ისღა დარჩათ, რომ უცხოელ ინვესტორებს ქართველ ხალხზე ნადირობის ლიცენზია მისცენ.

ტყუილად ჰგონიათ, კანონების ჭრაკერვით პასუხისმგებლობისგან თავს დაიძვრენენ. იმის იმედი მაქვს, რომ კონსტიტუციაში ჯერ კიდევ არსებობს 37-ე მუხლი, რომელიც გარემოს დაცვას ეხება და რომელშიც წერია, რომ ადამიანს უფლება აქვს, იცხოვროს მისი ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში. იქვე წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს გარემოს უსაფრთხოებაზე. იმედი მაქვს, საკონსტიტუციო სასამართლო ამას გაითვალისწინებს. ჩვენ იდეოლოგიისთვის ხომ არ ვიბრძვით?! საქმე ფიზიკურ გადარჩენას ეხება. უახლოეს მომავალში საპროტესტო აქციის გამართვას ვაპირებთ. ჩვენი დევიზი ასეთი იქნება – „გადავარჩინოთ საქართველო ეკოციდისგან!“ აქცია საერთაშორისო მასშტაბის იქნება. ჩვენი მხარდამჭერები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოაწყობენ საპროტესტო ღონისძიებას საქართველოს საელჩოებთან. მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ სააკაშვილი საკუთარი ხალხის სიცოცხლის უფლებას ყიდის. ჩვენ საზოგადოებას იმ პარლამენტარების სიასაც გავაცნობთ, რომლებმაც ხმა მისცეს ამ დამღუპველ კანონპროექტს.

**– როგორც ცნობილია, ამ კანონპროექტს ქრისტიან-დემოკრატებმა არ დაუჭირეს მხარი.**

– დასკვნებს ნაჩქარევად ნუ გამოიტანთ...

**ხ. ბახტურიძე**



## ახირებული და არაპროგნოზირებადი საქართველო

**„ქართულ-აფხაზური დარეგულირების გაეროს მისიის ყოფილი ხელმძღვანელისათვის – დიტერ ბოდენისა და ბუნდესტაგის დეპუტატ ვიოლა ფონ კრამონისათვის საქართველოში ჩასვლის აკრძალვა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ახირებულ და არაპროგნოზირებად სახელმწიფოსთან უწევს აფხაზეთს მეზობლობა“,** – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე.

**„მიმაჩნია, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ ვისთან გვაქვს საქმე – საქართველოს ლიდერებთან, რომლებიც ვერავითარ განსხვავებულ აზრს ვერ იტანენ“,** – აცხადებს ჩირიკბა.

მისივე თქმით, გერმანელი დიპლომატი დიტერ ბოდენი არის ცნობილი ექსპერტი სამხრეთ კავკასიის საკითხებში და მან კარგად იცის აფხაზეთის პრობლემები. ბუნდესტაგის დეპუტატი ვიოლა ფონ კრამონი კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან კონტაქტების დამყარებას უჭერს მხარს, რაც საქართველოს ხელს არ აძლევს.



## ანქვაბზე თავდასხმაში ეჭვმიტანილები დააკავეს

როგორც აფხაზეთის გენერალური პროკურატურის პრესსამსახური იუწყება, 12 აპრილს აფხაზეთის ექვსი მოქალაქე დააკავეს, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმაში არიან ეჭვმიტანილი. როგორც ცნობილია, ა.წ. 22 თებერვალს, მას შემდეგ, რაც გუდაუთა-სოხუმის ავტომაგისტრალზე ანქვაბის კორტეჟის გადაადგილებისას ფუგასი აფეთქდა, ავტომობილებს ტყვიამფრქვევებიდან და ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს. პრეზიდენტის დაცვამ მისი ავტომობილის გამოყვანა შეძლო და საპასუხო ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად დაცვის რამდენიმე ოფიცერი დაიჭრა, ორი დაიღუპა. კორტეჟის ერთი მანქანა მთლიანად დაიწვა.

პროკურატურის ინფორმაციით, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ეჭვმიტანილთა საცხოვრებელი ადგილებიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი: ავტომატები, პისტოლეტები, ყუმბარმტყორცნი, ღამის ხედვის ხელსაწყოები, ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნის ყუმბარები, დიდი რაოდენობით ტყვიაწამალი და ნარკოტიკული საშუალებები.



# რაც მოგივა დავითაო...

საზოგადოება იცნობს პოლიტიკოსებს, რომლებიც ხელთათმანებივით იცვლიან პარტიებს, ორიენტაციას, ძლიერი პატრონების კარზე სარფიანი ადგილის საშოვნელად ლაქიებივით დაძრწიან, საკუთარ ტყავსა და სტომაქზე ზრუნვით არ ერიდებიან მლიქვნელობას. ამგვარი ქმედებებისგან შორს დგას ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, ამიტომ სანდო და დასაფასებელია მისი რჩევები თუ პოლიტიკური შეხედულებები, ამჟამად გაზეთებში **«საქართველო და მსოფლიო»** და **„ილორი“** რომ ქვეყნდება.

ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით იგი ჩვეული პირდაპირობითა და სამართლიანობით გვაცნობს იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც საზოგადოებისთვის დაფარული და დამაბნეველია.

ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** ბრძანებს: **«საქმე ჩვენს საზოგადოებაშია, რომელიც აღარაა ერთიანი, მოაზროვნე ეროვნული ორგანიზმი. ასეთი საზოგადოება ადვილად ტყუვდება, ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას; მას აღარ შესწევს უნარი, ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების დამღუპველ პოლიტიკას».**

დიახ, ქვეყანაში მართლაც ვერ შეიქმნა ხელისუფლების მოწინააღმდეგე მეორე ძალა, რომელიც იქნება ერთიანი, ძლიერი და ეროვნული ინტერესების ერთგული. სწორედ ოპოზიციის დაქსაქსულობა, მასში არსებული აზრთა სხვადასხვაობა და განხეთქილება ქმნის პირობას ხელისუფლების სასარგებლოდ.

ბატონ ალექსანდრეს ვეთანხმები იმაშიც, რომ არჩევნების მოსაგებად ხალხის მაქსიმალური მხარდაჭერაა საჭირო და ხელისუფლების ალტერნატიული პროგრამა და უმწიკვლო რეპუტაცია უნდა გაგაჩნდეს, რაც დღეს არც ერთ პოლიტიკურ ძალას, მათ შორის **«ქართულ ოცნებასაც»**, არ გააჩნია. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაბედულად დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა და განაცხადა, მზადაა მძიმე ბრძოლისთვის, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

სარჩევნო კომისიებში დიდი ხნის მონაწილეობის პრაქტიკა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ხელისუფლება ახერხებს საკუთარი მომხრეების საარჩევნო უბნებამდე მიყვანას; მეორე – უკმაყოფილო ნაწილი პროტესტის ნიშნად არ მიდის არჩევნებზე, რის გამოც ოპოზიციას ეკარგება ხმები. ფაქტობრივად, ოპოზიცია ვერ ახერხებს ამ ადამიანების მობილიზებას, დარწმუნებას, რომ საარჩევნო უბნებზე გამოცხადება და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება აუცილებელია, ხელისუფლებას კი მუდამ აქვს ფორა, ესაა ჯარი, პოლიცია, ადმინისტრაციული აპარატები, ბანკები, პედაგოგები და უკმაყოფილოთა არ გამოცხადება.

სავსებით მისაღებია ბატონი ალექსანდრეს თვალსაზრისი რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. იგი აცხადებს, რომ სრულმასშტაბიანი დიალოგი დიპლომატიური ურთიერთობის გარეშე არ გაიმართება.

ორი ქვეყნის დამოკიდებულება ორი ერთმანეთზე გაღიზიანებული ადამიანის განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მოვლენები ისე ვითარდება, რომ კარგა ხანი ამ საკითხში დათბობას არ უნდა ველოდოთ. საინფორმაციო საშუალებებით ჩვენი ხელისუფლება ყოველდღიურად ბალღამს ანთხევს რუსეთის მიმართ, ატარებს რადიკალურ ღონისძიებებს. ბატონმა ალექსანდრემ დიდი ხნის წინათ სხვებზე მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოთქვა მოსაზრება რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. გავითვალისწინეთ? – არა, რასაკვირველია, ამიტომ დღეს დაძაბულობამ პიკს მიაღწია.

ქვეყანაში ხორციელდება კაბალური სოციალური პოლიტიკა. ყველა ხედავს და ისმენს, თუ რა ოვაციითა და მედიდურობით აცხადებენ ახალი საავადმყოფოების გახსნის თაობაზე. არც ისე დიდი ხნის წინათ საავადმყოფო გაიხსნა ხობში. მიდით და ნახეთ, ბატონებო, რა ფასებია იქ დაწესებული! თუ გაურემონტებელი სავადმყოფოს **«რეამინაციაში»** ერთი ღამის გატარება 40-45 ლარი ღირდა და ამასაც ვერ იხდიდა გაჭირვებული მოსახლეობა, ახალ საავადმყოფოებში ეს თანხა გაორმაგდა, ამიტომ ვერც ადამიანები მკურნალობენ და პაციენტების გარეშე დარჩენილი ექიმიც ხელფასს ვერ იღებს.

ტურისტული მასშტაბების გაზრდა ქვეყნისთვის ცუდი არ არის, მაგრამ იგი არ უნდა გახდეს მთავარი პრიორიტეტი ქვეყნისთვის. სამეგრელოს ისეთი ტურისტული პოტენციალი არ გააჩნია, რომ მხარის მოსახლეობა ეკონომიურად მომძლავრდეს. აქ ახლა არც ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება და არც საწარმო-დაწესებულებები შენდება. შემოსავალი არსაიდანაა, თუ არ ჩავთვლით ენგურის ჰიდროელექტროსადგურსა და ფოთის პორტს, რომელთა შემოსავალი, სამეგრელოს გარდა, ყველაფერს ხმარდება.

ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** აღშფოთებით ამბობს: **«თუ ჩვენ, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნებით, გარე ძალების საამებლად უარს ვიტყვით ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ პერიოდზე, შავ საღებავს მივასხამთ ჩვენი წინაპრების ამა თუ იმ თაობას, ჩვენ არსებობას შევწყვეტთ, როგორც სრულფასოვანი ერი. ერი, უპირველეს ყოვლისა, არის ყველა თაობის ერთიანობა, რომელთაგან ყოველი ჩვენს პატივისცემას იმსახურებს».**

სამარცხვინოა, მიუხედავად ჩემი და სენაკის ინტელიგენციის არაერთგზის მოთხოვნისა, რომ ვერა და ვერ მოხერხდა სენაკში **«ეგრისობის»** ჩატარება. ეს რაიონი ხომ ეგრისის ნაფუძარზე დგას. ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს მძლავრი სახელმწიფო და ციხე-გოჯიდან იმართებოდა მისი საშინაო თუ საგარეო საქმეები.

კიდევ ერთი მაგალითი უგულობისა და ხალხის ნების უპატივცემლობისა: ყველასთვის ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოში მცხეთა რომ ასრულებდა მთავარი ქალაქის ფუნქციას, მაშინ დასავლეთ საქართველოში მთავარი ქალაქი იყო ციხე-გოჯი. ცნობილია ფარნავაზისა და ქუჯის ურთიერთობაც. მცხეთას, დიდი ხანია, მიენიჭა ისტორიული ქალაქის სტატუსი. ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, სოფლის მცხოვრებთა სურვილის გათვალისწინებით, ზემდგომი ორგანოების წინაშე დავაყენეთ საკითხი ნოქალაქევს მინიჭებოდა ისტორიული სოფლის სტასუსი.

როგორც წესია, ჩვენი წინადადება განსახილველად გადმოეგზავნა ადგილობრივ საკრებულოს. იცით, რა გვითხრეს მუნიციპალიტეტის საკრებულოში? – **«ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისგანო».**

აი, უსულგულობის კლასიკური მაგალითი.

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო კიდევ ერთი გულდასაწყვეტი ფაქტიც. გასული წლის ოქტომბერში დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა სულიერ მამას, ერისთვის წამებულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამბროსი ხელაიას. ამ თარიღთან დაკავშირებით ერთი წლით ადრე გავაფრთხილე მარტვილის რაიონის ყველა დონის მოხელე, წერილობით ვთხოვე, კომუნისტურმა რეჟიმმა შეგნებულად არ აღნიშნა წმინდანის 100 წლისთავი და იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს მისთვის საკადრისი პატივის მიგება-თქო. ნურას უკაცრავად, თითიც არ გაუნძრევიათ. რა ჰქვია ამას? ალბათ, ერთი სახელი: უსულგულობა და, როგორც ილია ამბობდა, გათახსირება.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** მოსაზრებას, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა ყველა შანსი, გამხდარიყო საერთო ეროვნული ოპოზიციის ლიდერი. სამწუხაროდ, მოკავშირეებად აირჩია ის პარტიები, რომელთაც ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს. **«ქართული ოცნება»** უფრო მიმზიდველი მაშინ იქნებოდა, რომ არ გამხდარიყო ოპოზიციური სპექტრის დამყოფი და გამხლეჩი, საეჭვო იარლიყების მიმკერებელი.

ამიტომ ახლა ბევრი პარტია ამრეზით უყურებს **«ქართულ ოცნებას»**, ზოგიერთი მათგანი კი ხმამაღალ ლანძღვასაც არ ერიდება, რაც თავისთავად მომგებიანია ხელისუფლებისთვის და მის წისქვილზე ასხამს წყალს.

თავის დროზე საფრანგეთის რევოლუციაში ერთმანეთს ეპაექრებოდა ორი პარტია – ჟირონდელები და იაკობინელები, ხოლო ძირითადი მასა, ანუ მერყევი ოპოზიცია ჩასაფრებული იყო, გამარჯვებისპინა ვის მხარესაც გადაიხრებოდა, მას მიემხრობოდა. ასეა ახლა ჩვენში. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავიდან **«იმედიანად»** განეწყო ივანიშვილის მიმართ, მაგრამ ბრწყინვალე სტარტის ეფექტი ჩაცხრა და დღეს ორჭოფობა იგრძნობა. ოპოზიციური პარტიების დაქსაქსულობამ მოლოდინის ცეცხლი მიანავლა და ღადარი, შესაძლოა, ნაცრად იქცეს, თუ მძლავრად არ გაიბრძოლა **«ქართულმა ოცნებამ»**.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** იმაშიც, რომ ხელისუფლება არ წყალობს შემოქმედებით ინტელიგენციას. დღეს მათი ადგილი დაიკავეს პოლიტიკოსებმა, სამწუხაროდ, უნიჭო პოლიტიკოსებმა, ამიტომ ფრთებგაშლილია უზნეობა, უსამართლობა, დეგრადაცია, რამაც მოიცვა მოსახლეობა. ყველაფერი ერთი მმართველი პარტიის ნებაზეა, **«ნაცმოძრაობა»** შეერწყა ხელისუფლებას, რის გამოც ერთმმართველობის ფორმა თანდათან ტოტალიტარულ ფორმას იღებს. გახშირდა უპატივცემულობა მართლმადიდებლური ეკლესიისადმი, ჩვენი ტრადიციებისადმი, თვითმყოფადობისადმი.

ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** დამაჯერებლად ასაბუთებს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებს და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ პროგნოზებს აკეთებს, რაც დამაფიქრებელი და საგულისხმოა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ოპოზიციური პარტიის ლიდერმა, ბატონმა ირაკლი ალასანიამ გამოთქვა შეშფოთება, ხელისუფლება სამეგრელოში შეიარაღებულ ჯგუფებს ქმნისო. არ ვიცი, რომელ ჯგუფებზე საუბრობდა ალასანია, მაგრამ ერთი ცხადია: სამეგრელოს სოფლებსა და ქალაქებში კარდაკარ მართლაც დადიოდნენ ადამიანები და აღრიცხავდნენ მოხალისეებს, რომელთაც სურდათ რეზერვისტებში ყოფნა.

პირველი ნაკადში ხუთდღიან შეკრებაზე სოფლის მოსახლეობა გაიწვიეს. ვესაუბრე რამდენიმე მათგანს. მათ შორის იყვნენ 68-75 წლის ადამიანებიც.

რას აკეთებდნენ რეზერვისტებად მონათლულები? არაფერს – დილით აჭმევდნენ, უტარებდნენ ორსაათიან საუბარს, შემდეგ გაჰყავდათ სასროლეთზე, იქიდან მობრუნებულებს კვლავ კვებავდნენ და შემდეგ მეორე დილამდე იწვნენ. ხუთდღიანი შეკრება დასრულდა თითოეულისთვის სამი კოლოფი სიგარეტის, სიმღერების **«დისკისა»** და სამხედრო ფორმის ჩუქებით.

კონტინგენტი, რომელზეც ამდენი თანხა დაიხარჯა, არაფრით ჰგავს მებრძოლებს.

ხელისუფლების მყვირალა განცხადებები, რომ სამეგრელოში, კერძოდ ფოთში, შეიქმნა **«ეკონომიკური ზონა»** და იგი მომგებიანია რეგიონის მოსახლეობისთვის, მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რადგან რეგიონი კი არა, თავად ფოთი, რომელსაც შემოაქვს უზარმაზარი ეკონომიკური შემოსავალი, სულს ღაფავს. შეხედეთ, რას ჰგავს მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. ისინი ნესტისგან გაშავებულია. ყველაზე ძნელბედობის ჟამს სწორედ ფოთმა და იქიდან წამოღებულმა ხამსამ გადაარჩინა სამეგრელო შიმშილისგან. მაშინ წვრილი თევზი 40 თეთრი ღირდა. ახლა მისი ფასი 2 ლარი გახდა და მოსახლეობა ვერ ყიდულობს, ანუ მას შიმშილისგან გადარჩენის საშუალება მოესპო.

**ბორის დავითაია,**
აკაკი წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

# კურორტი ბახმარო უეჭველად განადგურდება

ზღვის დონიდან 2250 მეტრზე მდებარე კურორტ ბახმაროს სერიოზული საფრთხე ემუქრება – აცხადებენ ორგანიზაცია **„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“** წარმომადგენლები. მათი განმარტებით, საშიშროების წინაშე უნიკალური კურორტი ხელისუფლების დაუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო აღმოჩნდა.

მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, სადაც უშუალოდ კურორტი ბახმაროა განლაგებული, ხუთი კასკადური ჰესი შენდება. ეკოლოგების ვარაუდით, ჰესების მშენებლობა ხეობაში არსებულ კლიმატს შეცვლის, რაც ბახმაროს, როგორც კურორტის ფუნქციის დაკარგვას გამოიწვევს. ჰესების მშენებლობისას უნდა გაიჩეხოს 10 ჰექტარზე მეტი ტყის მასივი.

**„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“** ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლების დაუფიქრებელი და გაუწონასწორებელი გადაწყვეტილების შედეგად, მსოფლიო დონის კურორტ ბახმაროს, რომელიც შავი ზღვის დონიდან 2250 მეტრზე მდებარეობს, სერიოზული საფრთხე ემუქრება.

როგორც **„ეკოლოგიური სამართლის ცენტრში“** აცხადებენ, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, სადაც უშუალოდ კურორტი ბახმაროა განლაგებული, შენდება ხუთი კასკადური ჰესი. აღნიშნულთან დაკავშირებით **„ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“** იურისტმა, ნიკოლოზ მჟავანაძემ და **„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს“** ექსპერტმა, მარინე ჟორდანიამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

მათი თქმით, აღნიშნული ჰესების მშენებლობა შეცვლის ხეობაში არსებულ კლიმატს, რაც ბახმაროს, როგორც კურორტის, ფუნქციის დაკარგვას გამოიწვევს. ჰესების მშენებლობისას უნდა გაიჩეხოს 10 ჰექტარზე მეტი ტყის მასივი, რისი ეკონომიკური გაანგარიშებაც (სავარაუდო ზარალი) არ განხორციელებულა.

როგორც მარინე ჟორდანიამ განაცხადა, შედეგად განადგურდება ბიომრავალფეროვნება – ფლორისა და ფაუნის იშვიათი და ენდემური სახეობები, რომელთა უმრავლესობაც წითელ ნუსხაშია შეტანილი. მაგალითად: პონტოს მუხა, აღმოსავლური ნაძვის კორომები, თეთრყვავილასა და ყოჩივარდას სახეობები და სხვა.

**„ბახვი-1“**-ის მშენებლობისას, ბახმაროს თავზე, კეთდება 80 მეტრი სიმაღლის კაშხალი, ხოლო 500 მეტრ სიმაღლეზე დაიდგმება ჰესი. ეს იქნება ყველაზე მაღალი დაწნევის ჰესი საქართველოში. ხელოვნური ტბის სიგრძე კი 3 კილომეტრი იქნება.

კასკადური ჰესებისა და მაღალი კაშხლების მშენებლობა საფრთხეს უქმნის იქთიოფაუნის განვითარების ციკლს. აგრეთვე, გაქრობა ელის მტკნარ წყლებს, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე გადის.

**„ხუთივე ჰესის საერთო სიმძლავრე 57 მეგავატი იქნება, რომელიც შემდგომ 110 კვტ-იანი ხაზით თურქეთში გადავა. აღნიშნული პროექტის განხორციელებისას ყველაზე საგანგაშო ის გახლავთ, რომ ამ ჰესების მშენებლობა არა საქართველოს, არამედ თურქული მხარის ინტერესებს გამოხატავს, ვინაიდან ჰესები თურქულ კომპანიას გადაეცა მუდმივ მფლობელობაში და დაბალ ფასად ენერგიაც სწორედ თურქეთში გავა. ხოლო საქართველოს მოსახლეობა ენერგიაში იმავე ტარიფს გადაიხდის, რომელსაც ახლა იხდის“,–** განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

**„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“** და **„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო“** უახლოეს ხანში სატენდერო და ყველა სხვა დოკუმენტაციას გამოითხოვს აღნიშნულ ჰესებთან დაკავშირებით და ყველანაირ სამართლებრივ ბერკეტს გამოიყენებს, რათა არ მოხდეს მათი მშენებლობა საქართველოს უნიკალური ბუნების განადგურების ხარჯზე.





## სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ამიტომ, ნიკიტა ხრუშჩოვმა ხარი რქებით თუ არ დაიჭირა, ყოველი შემთხვევისათვის, ვირი მაინც დაიჭირა ყურებით, და თანაც ძალიან საიმედოდ გასკვანჩა. პირველივე სიტყვებით მან ლავრენტი ბერია მოიხსენია როგორც **"ავანტურისტი"** და **"დიდი ინტრიგანი"**, დააბრალა მას აზერბაიჯანელ მუსავატელებთან საიდუმლო თანამშრომლობა, ფრიად ბუნდოვნად და აბურდულ-დაბურდულად ეყრდნობოდა რა ვიღაც **"ამხანაგ კამინსკის"** დიდი ხნის ეჭვს ბერიას საიმედოობაზე, შემდეგ რიხიანად განაცხადა, რომ: **"გაიძვერული მოხერხებულობა და თავხედობა გახლდათ ბერიას დამახასიათებელი თვისებაო"**. შემდეგ კი, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, **"საერთოდ გარეკა"...**

ხრუშჩოვის ყველა დანაყრანტალები რომ მოვიხმოთ, ამის დრო და საშუალება არ გაგვაჩნია, მაგრამ, სარწმუნოებისათვის ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისია. აი, ორი ფრაგმენტი ნიკიტას გამოსვლის სტენოგრამიდან, რომელთაც ერთმანეთისაგან მხოლოდ ხუთი წუთი აცილებთ.

ჯერ, აი, რა ითქვა:

**"ამხანაგებო, ამხანაგმა მალენკოვმა მოახსენა პარტიის ცეკას, თუ პრეზიდიუმის წევრები როგორ უფრთხილდებოდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას, ჩვენს ერთობას... რათა, ამ ერთობის განცდა... გადასდებოდა მთელ ცენტრალურ კომიტეტს..."**

ამის შემდეგ კი:

**"ძვირფასო ამხანაგებო, იქონიეთ მხედველობაში, რომ ბერიამ თავისას მიაღწია ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში, მან დაარღვია ცეკას ბიუროს წევრების ერთიანობა..."**

მაშ რა ხდებოდა **"ზემოთ"** სტალინის სიცოცხლეში – იყო **"დარღვეული ერთიანობა"** თუ **"ერთობა"**? და რაა იმ პრეზიდიუმის წევრთა ფასი, თუ ინტრიგებს შეეძლო მათი ერთიანობის დარღვევა და ერთმანეთისათვის წაჩხუბება? ესენი ბოლშევიკები არიან თუ ოპერეტის პრიმადონები?

სხვათა შორის, ეს სწორედ ხრუშჩოვმა გააჟღერა პირველად ფრაზა **"შრომა-გასწორებითი ბანაკის მტვერი"**... და მე სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ბერიაზე შექმნილი პასქვილების ავტორებმა სწორედ ხრუშჩოვისაგან ისესხეს ფრაზა **"სისხლიანი ჯალათი"**, რომელიც, ძნელად დასაჯერებელია, რომ მარტივად მოაზროვნე ნიკიტას მოსვლოდა თავში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პლენუმზე სიტყვით გამომსვლელები შერჩეული იყვნენ საკმაოდ ჭკვიანურად – სავსებით გასაგები პრინციპის მიხედვით. მაგალითად, კარგი რა უნდა ეთქვათ ლავრენტი ბერიაზე მისგან დაზარალებულ სერდიუკს, პატოლიჩევს, კირიჩენკოს, სნეჩკუსს, ან აღმოსავლურად გაქნილ ბაქრაძეს, მირცხულავას, კეცხოველს, არუთინოვს?

უკრაინის კომპარტიის ცეკას ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, მხედველობაში ჰქონდა რა ბერიასა და მეშჩიკის წერილები, თქვა:

**"ისეთი სურათის წარმოსახვა სურდათ, თითქოს დასავლეთ ოლქებში საბჭოთა ხელისუფლება არ იყო. დღისით ეს ტერიტორიები შინსახკომს ეკუთვნოდა, ღამით კი იქ უკრაინელი ნაციონალისტები დაპარპაშებდნენ".**

მაგრამ შემდეგ მაინც წამოსცდა:

**"უკრაინის დაუძინებელ მტერ ნაციონალისტთა ხელით ქვეყანაში დაიღუპა 30 ათასი პარტიული მუშაკი, შინსახკომის თანამშრომელი, საბჭოთა არმიის ჯარისკაცი და ოფიცერი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა აქტივის წევრი".**

მაგრამ ეს ხომ დიდი სამამულო ომისშედგომი მონაცემებია... და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებდა, რომ ბერია მართალი იყო; საბჭოთა ხელისუფლებას დასავლეთის ოლქებში ჯერ კიდევ არა აქვს მყარი სტატუსი და რჩება ერთი გზა: ვაღიაროთ ეს ფაქტი და მდგომარეობის სტაბილიზირებისათვის ვიმოქმედოთ არა ძალისმიერი, არამედ პოლიტიკური მეთოდებით.

იმაზე, თუ როგორ ლანძღავდა ბერიას ახლადგამომცხვარი **"ატომური"** მინისტრი ვიაჩესლავ მალიშევი, რომელიც ამ დარგში მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფიგურა გახლდათ, მე უკვე დავწერე. მაგრამ არანაკლებ ნაძირალურად თხვრიდა ლაფში ბერიას სახელს მისი ყოფილი კოლეგა უშიშროებასა და სპეცკომიტეტში აბრამ ზავენიაგინი, რომელიც საკმაოდ მსხვილი ფიგურა გახლდათ ურანის წარმოების დარგში.

ჯერ კიდევ მანამდე, მალენკოვმა, რომელიც ბერიას **"ატომურ"** მოღვაწეობას შეეხო და არცერთხელ არ აღუნიშნავს მისი ღვაწლი ამ საქმეში, ბოლოს მაინც განაცხადა:

**"...იგი ამ საქმეშიც თვითნებობდა და ანგარიშს არ უწევდა ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას. მაგალითად, მან ცეკასთან და მთავრობასთან შეუთანხმებლად გადაწყვიტა წყალბადის ბომბის გამოცდა. საჭიროა თუ არა ამ ფაქტზე საუბარი?"**

საქმე ეხება ჩვენს პირველ წყალბადის ბომბს **РДС-6с**-ს, რომლის თაობაზეც მალენკოვი სახალხოდ იწონებდა თავს ერთი თვის შემდეგ – 5 აგვისტოს, სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე. მაშინ მან თქვა: **"ამერიკელი იმპერიალისტები ზეიარაღით გვაშინებენ. მაგრამ არ ღირს ჩვენი შეშინება. ჩვენ არა მხოლოდ ვიცით წყალბადის ბომბის საიდუმლო, არამედ შევქმენით კიდეც იგი".**

ამასთან, წყალბადის ბომბის გამოცდა შედგა მხოლოდ 1953 წლის 12 აგვისტოს და წარმატება ავტომატურად სრულიადაც არ იყო გარანტირებული.

ესე იგი, მალენკოვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი – ბერიასთან შედარებით – სპეციფიკურ ატომურ საკითხებში იყო დილეტანტი, რომლის ინფორმაციასთან ახლოს მიშვება არ ღირდა. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ბერია იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრი და ერთადერთი ადამიანი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებიდან, რომელსაც შეეძლო კომპეტენტურად გადაეწყვიტა ატომური საკითხები. მაშ, პარტიისა და მთავრობის რომელ იგნორირებაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?

სხვათა შორის, მალენკოვი და ზავენიაგინი პლენუმზე ცრუობდნენ – წყალბადის ბომბის გამოცდისათვის მზადების თაობაზე მალენკოვი მშვენივრად იყო საქმის კურსში და ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. 1952 წლის 8 მარტს ზავენიაგინმა წერილი გაუგზავნა მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს გენერალ ზერნოვს. გარდა გრიფისა **"სრულიად საიდუმლო"**, საქაღალდეზე ეწერა: **"შენახული იქნას როგორც შიფრი, მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის"**. ზავენიაგინი წერდა:

**"სსრკ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 26 თებერვლის №827-303/оп დადგენილების შესრულებისათვის, წინადადებას გაძლევთ:**

**1952 წლის 1 მაისამდე აკადემიკოს ა. სახაროვის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გამზადდეს РДС-6с ნაკეთობა, ჩვეულებრივი მაგნიუმის თხელი საფარით, 5 ერთეული იტრიუმის დამატებით (წყალბადის რადიაქტიური იზოტოპი – ტრიტიუმი) და 1952 წლის ივნისში ჩატარდეს გამოცდა, რათა შემოწმდეს და დაზუსტდეს ნაკეთობის თეორიული და ექსპერიმენტული საფუძვლები"** და ა.შ.

იმდენად, რამდენადაც მალენკოვი მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს კითხულობდა, ნაკლებ სარწმუნოა, რომ იგი არ ყოფილიყო საქმის კურსში წყალბადის ბომბის გამოცდის თაობაზე. ზავენიაგინმა კი, გაიმეორა რა მალენკოვის მიერ გაჟღერებული ბრალდებები, დაამატა:

**"ჩვენ მოვამზადეთ მთავრობის დადგენილების პროექტი. ბერიამ იგი წასაკითხად წაიღო. ორი კვირის შემდეგ გვეძახის და ჩაკირკიტებს ჩვენს მომზადებულ პროექტს. წაიკითხა. ჩავიდა ბოლომდე. ხელმოწერაა – სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მალენკოვი. მან გადახაზა ეს გვარი, გვითხრა – არაა საჭიროო და თავისი გვარი მიაწერა".**

რა მოხდა, მერე? ბერია სტალინის სიცოცხლეშიც კი ხშირად აწერდა ხელს სსრკ მინისტრთა საბჭოს **"ატომურ"** დადგენილებებს. და სავსებით გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში იგი წმინდად ადამიანურად განაწყენებულიყო: მალენკოვს ოდნავი შეხება თუ ჰქონდა **"ატომურ"** საქმეებთან და რატომ უნდა მოეწერა მას ხელი ამ დადგენილებაზე?

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ბერია ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. პირველი ატომური ბომბის პროექტიც ხომ არ იყო ხელმოწერილი. სტალინი თვლიდა, რომ ამის გაკეთება არ ღირდა, რადგან ექსპერიმენტი შეიძლებოდა ჩავარდნილიყო.

ზავენიაგინი კი თავისას ერეკებოდა:

**"მე, ამხანაგებო, საკმაოდ დიდი ხანი ვიმუშავე ლავრენტი ბერიასთან და საშუალება მქონდა მას დავკვირვებოდი. ყოველთვის თვალშისაცემი იყო მისი მთავარი თვისება – ადამიანებისადმი ზიზღისმიერი დამოკიდებულება. მას სძულდა მთელი საბჭოთა ხალხი... მას პროფანებად მიაჩნდა სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრები და თვლიდა, რომ ყოველთვის შესძლებდა მათ ამოდებას საჯდომის ქვეშ. სწორედ თავად ის გამოვიდა პროფანი, ბრმა ერკემალი...**

**(...)**

**ბერიასათვის არაფერი წმინდა არ არსებობდა... მისი მთავარი თვისება გახლდათ ინიციატივის დათრგუნვა. თუ რაიმე წინადადებით გამოდიხარ, წამსვე გაგაწყვეტინებს, ადგილზე დაგსვამს...**

**(...)**

**მაგრამ, უფრო ზუსტი რომ ვიყო, უნდა აღვნიშნო, რომ ლავრენტი ბერია საკმაოდ უჭკუო იყო (? – ს.კ.) შემიძლია გითხრათ, რომ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის ნებისმიერი წევრი უფრო სწრაფად და საზრიანად წყვეტდა საკითხებს, ვიდრე ლავრენტი ბერია... თავის გონებაჩლუნგობის გამო იგი ვერასდროს ვერ ახერხებდა საქმის არსში ღრმად ჩახედვას..."**

ამასთან, ზავენიაგინი ბერიას ბრალს ბიუროკრატიზმშიც სდებდა, აღნიშნავდა რა, რომ **"ბერია გაურბოდა ადამიანებთან კონტაქტს, კვირაობით და თვეობით არ იღებდა საკუთარი უწყების თანამშრომლებს"**. არა და, ბერიას დამორჩილებული თანამშრომლები, მათ შორის ზავენიაგინიც, ბერიასთან ერთად ყოველ კვირას ესწრებოდნენ ხოლმე სპეცკომიტეტის სხდომის...

ზავენიაგინმა ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთში აღრევაც იკადრა. მან ბერიას დააბრალა ატომური ენერგიის საზღვაო ფლოტის მიერ გამოყენების საკითხის დაბლოკვა. თითქოს ორი წლი წინ დასვეს მათ ეს საკითხი ბერიას წინაშე, მაგრამ მან რეაგირება არ მოახდინა...

მაგრამ, აი, იგივე მახნევის ცნობა, დათარიღებული 1950 წლის 25 მარტით, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრის ადმირალ ი.ს. იუმაშევის მიერ ბერიას სახელზე 1950 წლის 21 მარტს გაგზავნილ წერილს:

**"1. ...სამხედრო გემებისათვის ურანზე მომუშავე ძრავების შექმნის თაობაზე იუმაშევის წინადადება განხილული იქნება სპეციალური კომიტეტის მიერ, რათა ამ მიმართულებით დაიწყოს ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.**

**გარეკანზე გაკეთებულია წარწერა: "საკითხი გადაწყვეტილია დადებითად. განსაკუთრებული კონტროლი ხორციელდება. ვ. მახნევი." გარეკანის მეორე გვერდზე კი წერია "მოხსენდა ამხანაგ ლავრენტი ბერიას. 27.III.50 წელი. მახნევი".**

ამის შემდეგ გაუგებარია, ან ზავენიაგინი ცილს სწამებდა ბერიას, ან მან მართლაც არ იცოდა, რომ მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ატომურ ენერგიაზე მომუშავე სამხედრო ხომალდების შესაქმნელად. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა მალენკოვს, რადგან პირველი ატომური წყალქვეშა ნავი საბჭოთა კავშირმა წყალში ჩაუშვა 1957 წლის 9 აგვისტოს.

კიდევ ერთხელ უნდა გავჩერდეთ ზავენიაგინის ტექსტის სტენოგრამაზე:

**"ზავენიაგინი. ...სტალინის გარდაცვალების შემდეგ მას ერთი თვისება აეკვიატა... იგი ეკონომიობანას თამაშობდა: თუ ფული გჭირდება, ეკონომიური უნდა იყო, მრეწველობა, კულტურა, სოფლის მეურნეობა უნდა განავითარო, მაგრამ იყო საკითხი, სადაც ხელმომჭირნეობა ვერ გამოგვადგებოდა. საჭირო იყო ატომური ენერგეტიკის სიმძლავრეების ზრდა... ბერია კი გვეუბნებოდა: თქვენ ძალიან ბევრ თანხებს მოითხოვთ, უნდა ჩაეტიოთ ხუთწლედის პარამეტრებში... იკმარეთ ის, რაც გაქვთ...**

**მალენკოვი. ეს საქმე უნდა გაკონტროლდეს, იმიტომ, რომ თანხები ყოველგვარი კონტროლის გარეშე იხარჯებოდა.**

**ზავენიაგინი. ეს აუცილებელია".**

აქ, უპირველესად საინტერესოა, თუ როგორ **"გამოძვრა"** შექმნილი უხერხულობიდან ზავენიაგინი, რომელმაც ელვისებურად შეაფასა სიტუაცია და როცა ბერიასათვის კბენა მოინდომა, დუნედ მოაზროვნე მალენკოვის ეჭვს წააწყდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ლავრენტი ბერიას სიმართლე და ფხიზელი მიდგომა ხელმომჭირნეობისადმი. ზავენიაგინი ფლუგერივით შემოტრიალდა, როცა მალენკოვს სულ სხვა რამე უთხრა, მისგან კი სულ სხვა რამე მოისმინა. მაგრამ შინაარსობრივად ეს ფაქტი სხვა მხრითაც იქცევს ყურადღებას. პირველი **"ბუმის"** პერიოდში საბჭოთა მეატომეები მართლაც იღებდნენ იმას, რასაც მოითხოვდნენ ხოლმე. ამა კი ბევრი ვინმე გაათახსირა, რასაც ბერიამ 50-იანი წლების დასაწყისში ომი გამოუცხადა და სავსებით მართალიც იყო! ატომური დარგის მთავარი საწარმოო სიმძლავრეები უკვე ამოქმედებული იყო და ახლა მართლაც საჭირო ხდებოდა **"ქამრების შემოჭერა"**.

ამიტომ, საჭირო იყო რაციონალური სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მიდგომა ატომური შეიარაღების პრობლემებისადმი. სამწუხაროდ, ბერიას ლიკვიდირების შემდეგ თავად ნიკიტა ხრუშჩოვი აღმოჩნდა საბჭოთა მარშალიტეტის ტყვეობაში და თავშეკავებული ატომური შეიარაღების ნაცვლად მივიღეთ გამალებული და აღვირახსნილი შეიარაღება, რომელიც გამოწვეული იყო არა იმდენად დასავლეთისადმი შიშით, რამდენადაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის **"მამების"** დაუოკებელი მადით.

ზოგჯერ კი, პლენუმზე ბერიას წინააღმდეგ წამოწეული ბრალდებები აბსურდული იყო. მაგალითად, ხრუშჩოვი ამბობდა:

**"ამხანაგებო, ჩვენ ვიცით, რომ უკვე რამდენიმე წელია მალენკოვს დავალებული აქვს სოფლის მეურნეობაზე დაკვირვება. ბერია თითქოს მალენკოვის დიდი და განუყრელი მეგობარი იყო, მაგრამ მეთოდურად ანგრევდა სოფლის მეურნეობას. სწორედ მან დაიყვანა ყუაზე ეს დარგი. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება: რძე არ არის, ხორცი ცოტაა. გამოვაცხადეთ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა, პურის ფქვილს კი ვერ ვყიდით. და რა კომუნიზმი შეიძლება იყოს ცხელი ლავაშის გარეშე?".**

საბჭოთა სოფლის მეურნეობის ბიურო გიორგი მალენკოვის მიერ ჩამოყალიბდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 თებერვლის ერთობლივი დადგენილების საფუძველზე, ესე იგი სტალინის სიკვდილამდე 6 წლით ადრე. მაგრამ ის, რომ საბჭოთა კავშირში ცხელი ლავაში არ იყო 1953 წლის ივლისში, დააბრალეს ლავრენტი ბერიას.

ესეც ასე...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# უბედურო საქართველოვ საით მიდიხარ!!!

## დაშნაკური ოინები და ამხანაგი არნოლდ სტეპანიანი

*„თქვენო აღმატებულებავ! არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ სომხებს ცენტრალური რუსეთის მიწებზე დასახლების უფლება. ეს ის ერია, რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მას მიითვისებს და მთელ მსოფლიოს განუცხადებს, რომ ეს მათი უძველესი მიწაა.“*

ალექსანდრე გრიბოედოვი

*(ნიკოლოზ პირველისადმი მიწერილი წერილიდან).*

**ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 10 მაისის სხდომამ საგანგებოდ იმსჯელა და სათანადო შეკითხვით თბილისში არსებულ სომხურ ეროვნულ საბჭოსაც მიმართა. სამწუხაროდ, აღნიშნული ორგანოდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს არანაირი პასუხი არ მიუღია. რა ფობიური კვალიფიკაციით უნდა შეფასდეს ქართველებთან მიმართებაში სომხების ზემოაღნიშნული ქმედებები ამხ. არნ.სტეპანიანო?** თუკი ერთი სოფლის მთლიანად ამოწყვეტის ფაქტს, არა დაშნაკური, არამედ საღად მოაზროვნე ადამიანის პოზიციიდან შეაფასებს მკითხველი, სოფელ ხოსპიოში სომხების მიერ მოწყობილი ქართველთა გენოციდის პრეცედენტი აშკარად იკვეთება. სომხების მხრიდან ქართველებთან მიმართებაში ანალოგიურ ქმედებას ქონდა ადგილი XX საუკუნის 90-იან წლებში. მხედველობაში მაქვს აფხაზეთში ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის წევრთა მიერ, ქართული მოსახლეობისადმი ფაშისტური მეთოდებით ანგარიშსწორება. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ამ ბატალიონმა, ქართველთა სისხლში იბანავა. არნ.სტეფანიანის მსგავსი სომეხი შოვინისტებისების აღნიშნული ქმედებები, ქართული მიწიდან ქართველთა გამოდევნაზე იყო გათვლილი. ამ რეალობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქართველთა ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, დაშნაკცუთიუნელების სამარცხვინო ქმედებების ისტორიისა და მასთან დაკავშირებული ქართველთა მოძულეობის იდეოლოგიის სააშკარაოზე გამოტანა, თურმე ქართული ქსენოფობია ყოფილა.

ამხ. არნ.სტეპანიანის ამ **„საოცარი მიგნებების“** მიუხედავად, მისგან პასუხის გაცემას მოითხოვს: ა)1918 წელს, საქართველოში ინგლისის ჯარის შემოსვლასთან დაკავშირებით, მითიური 25 წლიანი **„დიდი სომხეთის“** რუკის მასობრივი ტირაჟით სომხების მიერ სტამბოლში დაბეჭდვა, რა ფორმებში უნდა განიხილოს საღად მოაზროვნე ადამიანმა? მითუმეტეს, ამ რუკის პირველი გამოცემის მიხედვით, თბილისი, მცხეთა, ახალქალაქი, ახალციხე და ბათუმი სომხეთის შემადგენლობაშია მოქცეული. რაც შეეხება ცოტა მოგვიანებით ისევ სტამბოლში დაბეჭდილ **„დიდი სომხეთის“** სახელმწიფოს მეორე რუკას, პირველისაგან განსხვავებით **„ინტერნაციონალისტმა“** სომხებმა **„მოწყალება გაიღეს“** და საქართველო-სომხეთის საზღვარი კოდასთან გაატარეს. თბილისი, მცხეთა, ახალციხე და ბათუმი **„ქსენოფობიის სენით დაავადებულ“** ქართველობას დაუტოვეს. იმავე ამხ. არნ.სტეპანიანს უნდა შევახსენო: თუკი **„დიდი სომხეთის“** სახელმწიფოს 25 წლიანი არსებობა სომხებს, მთელი ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სომხურ ტერიტორიებად გამცხადების **„სამართლებრივ უფლებას“** აძლევს, ამ ფონზე როგორ უნდა მოიქცეს ქართველობა? **„დიდი საქართველოს“** სახელმწიფოს ისტორია ხომ 300 წელიწადს მოითვლის. ნუთუ იმდენი მათემატიკური განათლება არ მიგიღიათ, რომ ოცდახუთსა და სამასს შორის სხვაობა ვერ დაინახოთ? ოდესმე მოგისმენია, ან სადმე წაგიკითხავს, რომ ქართველობას თავი გამოედოს და **„დიდი საქართველოს“** შემადგენლობაში 3 საუკუნის განმავლობაში შემავალი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიების მისაკუთრებას ცდილიყო? ბ)რა შეფასება უნდა მიეცეს თბილისში ახლადშემოსული ინგლისის წარმომადგენლობის წინაშე სომხების მხრიდან საქართველოს ხელისუფლების დაბეზღებას? დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ზემოაღნიშნული რუკის მიხედვით დაგეგმილი მტაცებლური ჩანაფიქრის წარმატებით აღსასრულებლად, დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერებმა ისევ **„დაშნაკურ ფანდს“** მიმართეს. მხედველობაში მაქვს სომეხი ნაციონალისტების მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული გაზეთის – **„კავკასიის ფოსტაში“** დაბეჭდილი პუბლიკაციები, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას და **„მიწასთან გასწორებას“** ისახავდა მიზნად. ამ საგაზეთო წერილებში გარკვევითაა მითითებული: ა)საქართველოს ხელისუფლება გერმანელებთან რომ მეგობრობდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ინგლისის ორიენტაციის პრაქტიკულად გამტარებლები მხოლოდ სომხები იყვნენ. ბ)იგივე გაზეთი ინგლისელებს აუწყებდა, რომ თბილისი სომხების კუთვნილებას წარმოადგენდა და ქართველებმა მისი **„მიტაცება“** მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკის გატარების შედეგად მოახდინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი **„ერთობა“** წერდა: **„ყოველივე ეს, ინგლისელებთან საქართველოს მთავრობის „შოვინისტური“ პოლიტიკის დასმენით ხასიათს ატარებდა“** და მიზნად ისახავდა: 1)ინგლისელებში ქართველებისა და საერთოდ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულება დაენერგა (მიაღწიეს კიდეც); 2)უცხო ქვეყნის წარმომადგენლებში საქართველოს ტერიტორიისადმი სომხური პრეტენზიების **„სამართლიანობის“** ილუზია შეექმნათ. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ სომეხი ნაციონალისტების მხრიდან ინგლისელებთან ქართველების დასმენის პერმანენტულმა პროცესებმა, ინგლისელებში ქართული სახელმწიფოსა და მისი ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო პოლიტიკური კურსის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ინგლისელების ოფიციალური თუ არაოფიციალური ლობირება სომხებისადმი, დოკუმენტური მასალით აშკარად იკვეთება. ინგლისელთა და მოხალისეთა არმიის მაღალჩინოსანთა ხელშეწყობა-წაქეზებით, საქართველოში მოქმედმა **„დაშნაკცუთიუნის“** პარტიამ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა 1918 წლის ოქტომბრიდან კიდევ უფრო გააღრმავა. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ხელმძღვანელის მ. კედიას მოხსენებითი ბარათებიდან ირკვევა, რომ სომხეთის მთავრობის მიერ პოლკოვნიკ დოლუხანოვისადმი საიდუმლოდ გამოგზავნილი წერილი (1918 წლის დეკემბერი), სომეხთა ეროვნული საბჭოსაგან და **„დაშნაკცუთიუნის“** პარტიის ლიდერებისაგან საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ სომხების შეიარაღებული აჯანყების მომზადებას მოითხოვდა. მისი პრაქტიკულად განხორციელება, საქართველოზე სომხეთის ჯარის თავდასხმის მომენტისათვის უნდა დაეკავშირებინათ. იმის ნაცვლად, რომ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა და ერთობლივი ძალებით საერთო მტერს დასპირისპირებოდნენ, სომხეთის ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოს დასანგრევად, მის დასაჩოქებლად და იბერთა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიის ხარჯზე, მითიური **„დიდი სომხეთის“** შექმნას კვლავაც ცდილობდა. ამის უდაო დადასტურებაა: 1)სომხეთის ხელისუფლების მიერ თბილისის აღების სურვილით საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული ომი (1918 წელი). საქართველოს ხელისუფლების გონივრული მოქმედება და ქართული ჯარის სარდლობის მაღალი პროფესიონალიზმი რომ არა, გამარჯვების შემთხვევაში, ქართველთმოძულე სომეხი შოვინისტები, თბილისში ქართველთა **„მესოპოტამიას“** მართლა მოაწყობდა. მათ მიზანს ქართველებისგან თბილისის გაწმენდა წარმოადგენდა. საქართველოსთან მიმართებაში სომხეთის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ სომხურ ბოროტებას, ბოროტებით კი არ უპასუხა, არამედ დიდსულოვნება გამოიჩინა, მეზობელი ქვეყნის მმართველ წრეებს ჩადენილი დანაშაული აპატია და 1919 წლის 3 ნოემბერს სომხეთთან გაფორმებული ორპუნქტიანი ხელშეკრულებით, საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთს თავისუფალი ტრანზიტისა და დასავლეთ ევროპასთან დაკავშირების უფლება მისცა; **2)სიკეთის ქმნადობისათვის, სიკეთით გადახდა სომხურ მენტალიტეტში რომ არ ზის, ეს მანკიერება სომხურმა მხარემ სან-რემოს კონფერენციაზე (1920 წლის 19– 25 აპრილი) ერთხელ კიდევ გამოავლინა. მხედველობაში მაქვს საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით იმავე კონფერენციაზე სომხეთის დელეგაციის მიერ წამოყენებული კატეგორიული მოთხოვნები: სომხეთისათვის სარკინიგზო ხაზის (ახალქალაქი-ახალციხე-ჭოროხის ხეობის გაყოლებით ბათუმამდე და ბათუმიდან რიზესკენ 1914 წლის საზღვრამდე) მშენებლობის უფლების მიცემა და აღნიშნული სარკინიგზო დერეფნის სომხეთის სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადება. იმავდროულად, სომხეთის დელეგაცია ბათუმში გარკვეულ ტერიტორიულ უფლებებსაც მოითხოვდა. ქართული მხარის მიერ შეთავაზებული კომპრომისული ვარიანტი (რკინიგზას საქართველო გაიყვანდა და სომხეთს უსასყიდლოდ ტრანზიტის გარანტიას მისცემდა) სომხებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. საქართველოს ტერიტორიის მიტაცების სურვილით და ინგლისელთა მხარდაჭერით ფრთაშესხმულმა სომხებმა, ბათუმთან მიმართებაში ახალი პრეტენზიები წამოაყენა. სწორედ ამ მტაცებლური მოთხოვნების არდაკმაყოფილება და სომხეთის დელეგაციის მხარდამჭერი ინგლისის წარმომადგენელთა განაწყენება გახდა ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დროულად არგადაცემისა და შემდეგში იმავე საქართველოს ერთა ლიგაში (წინააღმდეგ ინგლისი და მისი სატელიტი ქვეყნები წავიდა) არმიღების ძირითადი მიზეზი. ამ შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებაში სომხეთის ხელისუფლებამ ჩასაფრებული და იარაღასხმული დაუძინებელი მტრის როლი შეასრულა. დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის მეთაურის კ. ჩხეიძის პრინციპული და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე სომხებმა „მსუყე ლუკმის“ დათრევა და საწადელის შესრულება ვერ შეძლო. XX საუკუნის 20-იან წლებში განცდილი „მარცხის“ გამოსწორებას, სომხეთის ხელისუფალნი 90 წლის შემდეგ შეეცადა. მხედველობაში მაქვს დღევანდელი საქართველოს მაღალჩინოსანთა მიერ სომხური სახელმწიფოსათვის უაღრესად ხელსაყრელი გოდერძის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტის უპრობლემოდ დამტკიცება და იმავე სომხეთთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების გასაიდუმლოება. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების მიტაცების სურვილიდან გამომდინარე, სომხეთის მთავრობა არც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასთან (1919 წლის იანვრი, 1920 წლის ნოემბრი) და არც გასაბჭოებული საქართველოს მმართველ წრეებთან დადებულ სასაზღვრო ხელშეკრულებებს დღემდე არ აღიარებს.** ამ ფონზე, იგი საქართველოს ტერიტორიებზე შეფარვითი ფორმით პრეტენზიას დღესაც ურცხვად აცხადებს. ამის ერთ-ერთ დადასტურებას მარიამ სტეპანიანის მიერ **„გაზეტა სნგ“**-ში (2005 წლის 1 მარტი) დაბეჭდილი პუბლიკაცია წარმოადგენს. **„ჯავახეთის შეერთება** – წერს მ.სტეპანიანი – **შეესაბამება სომხეთის ეროვნული უსიშროების ინტერესებს!... თუ ყარაბაღი ჩვენთვის პრესტიჟის საქმე იყო, ჯავახეთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია... ჯავახეთი საქართველოს შემადგენლობაში დროებით იმყოფება. იგი ადრე თუ გვიან სომხეთს შეუერთდება.“** იმავე მ. სტეპანიანის მტკიცებით, ჯავახეთში მოქმედი პოლიტიკური პარტია **„ვირქი“** და **„დაშნაკცუთიუნი“** ამ მიმართულებით დღესაც აქტიურად და წარმატებით მუშაობს (საინტერესოა რას ელოდება საქართველოს შესაბამისი უწყებები?). აღნიშნული ფაქტი, ქვეყნისათვის იმდენად არის სახიფათო და ანგარიშგასაწევი, რამდენადაც საქართველო-სომხეთს შორის ტერიტორიული გამიჯვნის მიზნით ახალი სასაზღვრო ხელშეკრულება დღემდე არ გაფორმებულა. ამ ფონზე თუკი განვიხილავთ საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მიერ გადადგმულ ზემოაღნიშნულ ნაბიჯს, იგი ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფას ქმედებას შეიცავს. მითუმეტეს, სომხების მიერ ქართველებისადმი წარსულში ათასგზის მიყენებული მოუშუშებელი მწარე ჭრილობების მიუხედავად, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი დავიწყებას მისცა, მტაცებელი მეზობელი მეგობრად წარმოსახა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის სამომავლოდ დაკარგვის რეალური საფეხური შეამზადა. საქართველოს ხელისუფალთა ასეთი ნაბიჯით ფრთაშესხმულმა სომხებმა, მიხეილ სააკაშვილი სომხად გამოაცხადეს. ცნობილ სომეხ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა შორის 122-ე ადგილზე **„დასვა“**. [(იხ. WWW planeta-armenia. do. am.) Знаменитые АВМ: Диаспора: Арцах (НКР). გვ. 8. ზემოდან მერვე]. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ქართველებთან მიმართებაში სომეხთა წარსულის ნამოქმედარი და მათი სამომავლო მიზნების ანალიზი იმის მყარ საფუძველს იძლევა, რომ გოდერძის საუღელტეხილო გზის მშენებლობას, საშუალო დონეზე მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეც კი არ დაუშვებდა. მით უმეტეს, სერგო ორჯონიკიძის დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებაში, მომავალი თაობების ოდიოზური დამოკიდებულების გათვალისწინება, ნებისმიერ პოლიტიკურ მოღვაწეს განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ უბიძგებს. სამწუხაროდ, დღევანდელი მაღალი თანამდებობის მოხელეთა უმრავლესობაში, სამშობლოს ინტერესებს, ფულის შოვნისკენ დაუოკებელი მისწრაფების ფაქტორი ჩრდილავს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიების არდასაკარგად მყარი საფეხურის მომზადებაზე ფიქრი, მათი შინაგანი ცნობიერებით ზედმეტ თავის მტვრევადაა მიჩნეული. ეს იმდენად აშკარა ფორმით მიმდინარეობს, რომ მისი აღქმა, სომხეთის მთავრობისაგან მოსყიდული საქართველოს მოქალაქე ზოგიერთი სომეხი ინტელიგენტუნასათვის სირთულეს არ წარმოადგენს. მით უმეტეს, მათი აზროვნება შოვინიზმისა და სეპარატიზმის იდეოლოგიური შხამითაა მოწამლული. ეს ადამიანები სახელისა და დიდების მოპოვებას ქართველთა წინააღმდეგ უსაფუძვლო ღვარძლის **„გადმოფრქვევით“** ცდილობენ. მათ ავიწყდებათ, ან შეგნებულად ივიწყებენ, რომ არნ.სტეპანიანის მსგავსი შოვინისტ-სეპარატისტების ყოველი ჩანაფიქრი, ქართველმა ერმა თავის დროზე გაშიფრა. ამ საკითხთან დაკავშირებით თუკი ხშირად ვდუმდით, იგი არა მიუხვედრელობით, არამედ სომეხთა დანაშაულებრივი ქმედების სააშკარაოზე შეგნებულად არგამოტანით იყო განპირობებული. წარსულის მწარე გამოცდილებიდან და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, სომხებთან მიმართებაში ამ მეთოდმა არ გაამართლა და მან ქართველი ერი ბრიყვული მდგომარეობაში ჩააყენა. სომეხთა მოუსვენრობამ და ქართველი ერისადმი კისერზე ჩამოჯდომის სურვილისკენ სწრაფვამ, აუცილებლად მოითხოვა ფართო საზოგადოებისათვის სიმართლე გვეთქვა, ხოლო საქართველოს მოქალაქე სომხების უმეტესობისათვის შეგვეხსენებინა მათი წინაპრების მხრიდან ქართველ ერთან მიმართებაში გაწეული **„საქმენი საგმირონი“.** ისიც მიგვენიშნებინა, რომ ქართველთა წინააღმდეგ სომხების მიერ შემუშავებული მთავარი სამოქმედო პროგრამის ერთ-ერთ ნაწილს, ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების ძეგლების დანგრევა, ან მისი მიტაცება წარმოადგენდა და წარმოადგენს. დასახული ამოცანის განსახორციელებლად სხვადასხვა სახის საექსპერიმენტო ღონისძიებებს მიმართავდნენ და დღესაც მიმართავენ. ამის შესანიშნავ დადასტურებას XIX– XX საუკუნის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული უამრავი მასალა წარმოადგენს. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ **საქართველოში მოქმედი სომეხთა სათვისტომოს და სომეხთა სხვა ორგანიზაციების მიერ მომზადებული წიგნის – „სომეხთა გენოციდი ქართულ პრესაში 1914- 1918“ (თბ.1911წ.), გვერდით მეორე წიგნიც რომ დაგვედო სათაურით – „საქართველოში მცხოვრები სომხების სამარცხვინო საქმიანობის ასახვა ქართულ პერიოდიკაში 18851921 წლებში,“ უაღრესად საშვილიშვილო საქმე გაკეთდებოდა და საქართველოს მოქალაქე სომხების განსაკუთრებულ „ხტუნვასაც“ ბოლო მოეღებიდა.** კონკრეტულად თუ რა სახის მასალებთან გვაქვს საქმე, ამის საილუსტრაციოდ გაზეთ **„ივერიადან“** რამდენიმე ამონაწერს მოვიტან. ამჯერად მკითხველის ყურადღებას ე.შილდელის ფსევდონიმით 1894 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ პუბლიკაციაზე – **„სომხები ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში“** შევაჩერებ. ამ წერილის მიზანს აღნიშნულ მაზრებში ჩამოსახლებული სომხების მხრიდან ქართველებისადმი დამოკიდებულების წარმოჩენა წარმოადგენდა. **„ეს მოსული სომეხი სტუმარი – ვკითხულობთ წერილში, – რანაირად მოეპყრო თავის გულკეთილს და სტუმართმოყვარე მასპინძელს – ქართველებს, რანაირი დამოკიდებულება გამოუცხადა თავის თავის მხრივ იმას, რომლის სახლშიაც მან იპოვა მყუდრო ბინა და მყუდროდ მოაწყო თავისი ყოფაცხოვრება. დააფასა თუ არა სტუმარმა სიკეთე თავისის მასპინძლისა? უნდა გამოგიტყდე გულისტკივილით მკითხველო და გითხრა, რომ სტუმარმა არ დაინახა და არ დააფასა გულკეთილობა თავისი მასპინძლისა.“**

გიორგი სუფსისპირელი

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

პოეზიის კუთხე

# მარგალური ულიუ ზღვა რე,

მარგალური ულიუ ზღვა რე,
მა ვორექ́ გ თე ზღვაშჲ მინჯე;
თე ზღვასგ ოკო ქოუმინჯე,
მიდგაქგ მუდგა ვაგერღვინჯე.

მენცარეფიშჲ დიდჲ მენცარი
ნინა გოხოლგ, მარგალური;
კოჩქგ ვეფიქრა, თეშჲ ცქვაფათგ
მა ნინა მუმარგალუნი.

მორო ცქვაფა მუშოთჲ ოკო,–
ოცქვაფურიშჲ დოხორესგ,
დიდჲ ნინასგ, ნინაშჲ ნინასგ,
ნინეფიში დოხორესგ.

ფარსაკი რე მარგალური,–
უჰამაში ობირეში;
მითაჟამიშჲ ოჯინჯალე,
ჩქიმი ნინა, ჯვეშჲშე ჯვეში.

ვარენჲ ეფერჲ თქუასგნი,
მუ კოჩი რე იშქიდანცგ,–
ნინაშჲ ირი ისტორია
თესგ ინიხვიჩინანცგ.

მუსუ რე თენა ვეხანტგნცგდო,
მუ რე თეთგ ვეთქუენი;
თე ნინასგ ქინანჭუქუნგ,
ვეშილებე დეთხუენი.

ირფელცგ თეში ეჭარგნცგ,
მუჭომითი თინა რენი;
თეშჲ გეშა რე მარგალური
ზღვა უქვინჯე ნინა რენი;

ჩქიმჲ თოლიში მოწონუა,
ჩქიმჲ გურიში ბინა რენი;
თენა თაში ვარდასგნი,
მი რე თესგ გინარენი.

სუმგ ანთასი ნინა შქასგ
მარგალური გვალო შხვა რე;
თეცალჲ მდიდარჲ დო ჯვეშჲ ნინა
მეტჲ ვეგორუ, ნამთინჲ ვარე.

ქგმოძირითგ, მა, შხვა ნინა,–
ოთხოშჲ მილიონი სიტყვაშჲ მინჯე;
ფართო, მუჭოთჲ ოკეანე,
ტომბა, მუჭოთჲ ზღვა უქვინჯე.

ათეჯგუა საარიკო
ნინა ორე მარგალური;
მუ ეფერჲ კოჩჲ ოკო რდასგ
თესგ ვაუმარგალგნი.

მარგალურცუ პატისგ ვაცენცგ,
ეთისგ ხვადგ ოში ჭგნი;
ჭინჭაზგმა ხოლო ვარე,
მარგალურჲ მის ოჭიჭგნი.

ხომუ ქომჲჩქგნა, თე ქიანასგ
ანდანერი ნინა რენი;
ჟარნეჩჲ დო ვითჲ სიტყვა უღუნჲ
ეფერჲ ჭიჭე ნინათჲ რენი.

აკაქგ ოკო ვადინასგ,
ნინაქგ, ნამდგა ვარდასგნი,–
შილებენო მანგიორი
ართიშჲ, ნამთინჲ შხვა რდასგნი?!

ქიანა მუთუ ეიაჭარე
კოცგ, ნინა ვარდასგნი;
ღორონთქგ თინა ვაცუასგ,
ნამთინცგ ღურა მარდასგნი;

შხვა ნინეფიწკგმა ართო
მარგალური ვარდასგნი.
არძა ნინა მუშუშჲ მინჯექგ
ოკო გაამარგასგნი.

ირჲკოცგ მუ უჩქგ, მუ რექგნი,
ჩქიმჲ თილჲ უნჭე მარგალური;
კოჩჲშობასგ ვემედინა,
სქანჲ მამანტიქგ ქგგალუნი!

მარგალური ულიუ ზღვა რე,
მა ვორექგ თე ზღვაშჲ მინჯე;
თე ზღვასგ ოკო ქოუმინჯე,
მიდგაქგ მუდგა ვაგერღვინჯე.

*

მარგალური, მაფალუუ,
სქანჲჯგუა მუთა მაპალუუ;
სი ვეცქიქგდა, არძა ნინა
ღორონთქგ გეგნოგვაგვალუუ!..

ქორთულჲ ნინეფჲ, მაფალუუ,
თქვანჲჯგუა მუთა მაპალუუ;
თქვა ვეცითგ და არძო ნინა
ღორონთქგ გეგნოქვაქვალუუ!..

**მამანტი ძაძამია**

# როგორ შენდება აფხაზეთი ქართველების ხელით

**„როცა ზღვის სეზონი იწყება, აფხაზეთიდან წინასწარ გვიკავშირდებიან სარემონტო სამუშაოების მსურველები, სანდო შუამავლის დახმარებით ფასსა და სხვა დეტალებზე შევთანხმდებით, შემდეგ ენგურის ხიდთან ან რომელიმე საზღვრისპირა სოფელში აფხაზების მანქანა გვხვდება და დანიშნულ ადგილამდე მივყავართ. თუ რამდენ ხანს ვრჩებით კონფლიქტის ზონაში, ეს შეკვეთაზეა დამოკიდებული“,** – ამბობს 46 წლის კარლო, რომელიც ახლობლებთან ერთად ჭიათურიდან აფხაზეთში უკვე მეექვსეჯერ გადავიდა.

დე ფაქტო ხელისუფლება დანგრეულ აფხაზეთს რუსული ინვესტიციების ხარჯზე ქართველი მუშების ხელით რომ აშენებდა, ეს პირველად **სერგეი შამბამ** მითხრა. მაშინ დე ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ვიფიქრე, აფხაზმა პოლიტიკოსმა ეს განცხადება პიარისთვის გააკეთა-მეთქი, მაგრამ შემდეგ გავარკვიე, რომ აფხაზეთის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში, აფხაზებით მჭიდროდ დასახლებულ უბნებშიც კი, ქართველი მუშახელი განსაკუთრებით ფასობდა.

**დავითი, 38 წლის, ჭიათურის მკვიდრი:**

– 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ, ბევრგან მომიწია მუშაობამ. აფხაზეთის თითქმის ყველა ქალაქი და რაიონი გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, სოხუმი, ბიჭვინთა, გაგრა და ბზიფი მოვლილი მაქვს. ჩემი ხელებისა და ხელსაწყოების დახმარებით ძალიან ბევრი აფხაზის, სომხისა და ბერძნის სახლი მოვიარე. ბევრჯერ სასტუმროშიც შემომთავაზეს მუშაობა, მაგრამ უარი ვთქვი.

**– რატომ?**

– ისეთ ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა ქართველებისთვის მაინც სარისკოა.

**– აფხაზის სახლში უფრო მეტად დაცული იყავით?**

– დიახ. რაც უნდა მისი მტერი იყო, როცა აფხაზს სახლში მიჰყავხარ, ბატონივით გექცევა, თვალებში გვიყურებენ და იმას ცდილობენ, რით გვასიამოვნონ. ყოველ საღამოს გვეკითხებოდნენ, რა კერძის მირთმევის ხასიათზე ვიქნებოდით ხვალ და ა.შ. ყოველთვის ჩვენთან ერთად სადილობდნენ. არ მახსოვს, ცალკე გაეშალათ სუფრა ჩვენთვის, როგორც ამას საქართველოს სხვა კუთხეებში აკეთებენ.

**– რა ენაზე ლაპარაკობდით?**

– რუსულად. მე წლების განმავლობაში რუსეთში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ხელოსანი ვარ და ყველანაირ საქმეს ვაკეთებ. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, ოჯახი მყავს სარჩენი და რამე უნდა ვიღონო, რომ მშიერი არ მყავდეს. 4 შვილი მყავს, სკოლის მოსწავლეები არიან და პატრონი სჭირდებათ. ეს ხელისუფლება რომ ქვეყნის სათავეში მოვიდა, ყველას დაგვიძახა, ჩამოდით, აქ იმუშავეთო. მეც იქ ყველაფერი მივატოვე და ჩამოვედი, მაგრამ ერთი წელია სახლიდან არ გავსულვარ. მერე ახლობელმა მითხრა, თუ გარისკავ, ადლერიდან აფხაზეთში გადაგიყვან, სამუშაო მეგულებაო. თავიდან კი მეშინოდა, მაგრამ იმათი დამოკიდებულება რომ ვნახე, მივხვდი, ტყუილად ვნერვიულობდი. კვირაში ერთხელ გვასვენებენ და მანქანსაც კი გვიტოვებენ, ქართულად ლაპარაკს ნუ გააბამთ, ამ ნომრითა და სერიით, სადაც გინდათ წადით, არავინ გაგაჩერებთო.

**ზურა, 52 წლის, ზესტაფონის მცხოვრები:**

– მეზობელმა მითხრა, სოხუმში სოჭის ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში აპირებენ ჩართვას და ცენტრალურ ქუჩებში სასწრაფო მშენებლობები მიმდინარეობსო. სარემონტო სამუშაოების თანხას რუსული ინვესტიციებიდან აფხაზეთის ხელმძღვანელობა იხდიდა, მაგრამ ცნობილია, რომ აფხაზებს მუშაობა არ უყვართ, რუსი მუშების ჩამოყვანა და შენახვა კი ბევრად დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული. აფხაზებმა იციან, რომ რუსი ალკოჰოლის გარეშე არ იმუშავებს. ვიცი, რომ კონფლიქტის ზონაში მუშაობა გამართლებული არ არის, მაგრამ ჩემს რაიონში ან ენგურსგადმოღმა ნებისმიერ ქალაქში თუ ვინმე 500-ლარიან სტაბილურ სამუშაოს მიშოვის, აფხაზეთში ფეხის შემდგმელი არა ვარ.

**– თვეში დაახლოებით რა თანხას გიხდიან?**

– 1000-დან 2000-დოლარამდე. გააჩნია, რას ვაკეთებთ და რა დროში უნდა ჩავეტიოთ.

**– ძირითადად, რა ტიპის სამუშაოებზეა მოთხოვნა?**

– ყველაფერზე, რაც მშენებლობას ეხება, – სახლის აშენება, მიშენება, გარემონტება, ჭერი, იატაკი, კედლების ამოყვანა. არ დაიჯეროთ, რომ აფხაზებს ფული არა აქვთ, იქ ძალიან დიდი თეთრი თუ შავი ფული ტრიალებს. ყოველი მეორე, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში მცხოვრები, კანონიერ თუ უკანონო ბიზნესშია ჩართული. ამავდროულად ცდილობენ, საცხოვრებელი ფართები გააფართოვონ და კომფორტულად მოაწყონ, რადგან, განსაკუთრებით სოხუმში, ზღვის სეზონზე ძალიან დიდი კონკურენცია... ევრორემონტი, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა საშუალო დონის ოჯახში ნახავთ, აფხაზეთში პირველად, სულ რაღაც ორ წლის წინ, ჩვენ გავაკეთეთ. ეს იციან აფხაზებმა და ყველაფერში რჩევას გვეკითხებიან, თქვენ უფრო იცით, როგორ ჯობს და გვირჩიეთო. საჭირო მასალები რუსეთიდან მოაქვთ და საკმაოდ ხარისხიანია.

**ნუგზარი, 53 წლის, სენაკის მკვიდრი:**

– ომის შემდეგ იქ პირველად რუსული კომპანია **„სტროი-სიტიდან“** მოვხვდი. კომპანიას შეკვეთა ჰქონდა და სოხუმში 20-კაციანი ბრიგადა გაგვიშვეს. მაშინ მშენებლობაზე არ ვმუშაობდი, ბინების, სასტუმროების, ელიტური სახლების, საზაფხულო კოტეჯებისა და აგარაკების პროექტირებას ვახორციელებდი. აფხაზები ცდილობენ, რომ ყველაზე კარგ ადგილას მასშტაბური ტიპის სასტუმროები ააშენონ. პირველობას არავის უთმობენ.

ერთხელ გვქონდა შემთხვევა, ერთ-ერთი სასტუმრო თვეში სამჯერ დაზიანდა და სამივეჯერ ჩვენ მოგვიწია გარემონტებამ. ის ადგილი ჯერ ვიღაც სომეხ ბიზნესმენ ქოჩარიანს უნდოდა, მაგრამ აფხაზებმა არ დაუთმეს, შემდეგ კი ვიღაცამ ისე მიითვისა, არც არავისთვის უკითხავს. იმ თვეში 5 ათასი დოლარი გამოვიმუშავე და ასეთ თანხაზე რომელი გიჟი იტყვის უარს?!

**ლ. პაპასკირი**

# 9 აპრილის მემორიალთან ინციდენტი მოხდა

საქართველოს პარლამენტის შენობასთან არსებულ 9 აპრილის მემორიალთან სამარცხვინო ინციდენტი მოხდა. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა სანთლის დანთების დროს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ქალბატონს, რომელიც მემორიალთან ბავშვთან ერთად იყო მისული.

როგორც ქალბატონი ყვება, ის 23 წლის წინ 9 აპრილის აქციაზე იმყოფებოდა. ამ დროს ის იყო ფეხმძიმედ და 9 აპრილის ტრაგედიის დროს ბავშვი დაკარგა.

**„დღეს სწორედ ბავშვის პატივსაცემად ვიყავი მემორიალთან მოსული, მინდოდა სანთელი დამენთო, ამ დროს შემოვიდა ვიღაც პროვოკატორი ქალბატონი, რომელიც რაღაცას ყვიროდა. ამის შემდეგ ჩვენთან მოვარდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცი და ხელისკვრით გამაძევა ადგილიდან. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მეც და ბავშვსაც მოგვაყენა“,** – განაცხადა ქალბატონმა. ქალბატონი ამბობს, რომ მის შვილს, რომელსაც სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცები ხელით შეხნენ, ცერებრალური დამბლა აქვს.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა მამაკაცებმა ადგილიდან ძალის გამოყენებით გააძევეს **„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“** წარმომადგენელი გენადი კეკელია და კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ინციდენტიდან ცოტა ხანში ტერიტორიიდან ასევე გაიყვანეს კიდევ ერთი მოხუცი ქალბატონი, რომელიც მემორიალთან მხოლოდ იმიტომ იდგა, რომ პარლამენტთან მიხეილ სააკაშვილის მისვლას ელოდებოდა, რათა მისთვის დახმარება ეთხოვა.



# თოვლის დნობა მდინარეების ადიდებას იწვევს

საქართველოს რამდენიმე რეგიონში მეტად საშიში წყალდიდობაა მოსალოდნელი. მთებში თოვლის დნობის გამო აჭარისა და გურიის რეგიონში მდინარეებს ადიდება უკვე დაიწყო. წყლის დონემ მოიმატა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებშიც.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ამინდის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ზამთარი საკმაოდ უხვნალექიანი იყო და თოვლის დნობა წყალდიდობას აუცილებლად გამოიწვევს, თუმცა ეს პროცესი ჯერჯერობით ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს და საფრთხისშემცველი არ არის, რადგან თოვლში წყლის შემცველობა მცირეა.

მათი თქმით, წყალდიდობა საფრთხეს მაშინ შექმნის, თუ თოვლის დნობის პროცესს ძლიერი წვიმები დაერთვება.

**„საბედნიეროდ, უახლოეს დღეებში უხვი ნალექი მოსალოდნელი არ არის. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ხანმოკლე წვიმები იქნება. თუკი ნალექის რაოდენობა გაიზრდება და საფრთხე მოიმატებს, ჩვენ ორი დღით ადრე შევატყობინებთ შესაბამის სამსახურებს, რომ წყალდიდობამდე თადარიგი დაიჭირონ და სტიქიით მიყენებული ზარალი მინიმუმადე შემცირდეს“,** – აცხადებენ სინოპტიკოსები.

ჭირვეული სტიქიის რისხვა სამეგრელოსაც არაერთგზის დატეხვია თავს, ამიტომ, ამ გაზაფხულის წყალდიდობების სეზონის მოახლოების მოსახლეობაც ყურადღებით უნდა იყოს და ხელისუფლებაც, რათა თავიდან იქნეს აცილებული სავალალო შედეგები. განსაკუთრებით ეს ეხება სამეგრელოს დაბლა ზონას, სადაც წყალდიდობების დროს მთელი სოფლები იტბორება ხოლმე და მოსახლეობასაც აუნაზღაურებელი ზარალი ადგება.



# სომხეთი ომის შემთხვევაში ბლოკადისთვის ემზადება

სომხეთი ირანში ომის დაწყების შემთხვევაში სიტუაციის გაუარესებისთვის ემზადება. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა განაცხადა. თუ ირანი დაბომბვის გამო საზღვრებს დახურავს, სომხეთი, ფაქტობრივად, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი აღმოჩნდება. ერევანში ლტოლვილების მოზღვავებისაც ეშინიათ. მეტიც, სომხურ მედიაში სერიოზულად განიხილება იმის შესაძლებლობა, რომ ბაქო სიტუაციით ისარგებლებს და მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე შეიჭრება. ამასთან, რუსეთი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების მცდელობებს არ წყვეტს. სერგეი ლავროვმა, **დსთ**-ის ქვეყნებში ტურნეს ფარგლებში, ეს საკითხი ჯერ სომხეთის ხელმძღვანელობასთან განიხილა, შემდეგ კი აზერბაიჯანში გაემგზავრა. დათმობებზე ვერცერთი მხარის დაყოლიება ვერ მოხერხდა. თუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივა, სომხეთი და აზერბაიჯანი შესაძლოა, კვლავ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ერევანში ლავროვმა დაადასტურა, რომ რუსეთი **„ჯერ კიდევ მზად არის, ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას“. „რა თქმა უნდა, მხარეების სურვილების გათვალისწინებით“.** ლავროვმა პარტნიორებს მოთმინებისკენ მოუწოდა, განაცხადა, რომ **„არსებობს პრობლემები, რომლებიც გადაჭრას გაცილებით უფრო დიდხანს ელოდება“** და პალესტინა, კვიპროსი და დასავლეთ საჰარა შეახსენა.

ერევანში სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ირანში ომის შემთხვევაში კარგი დღე არც აზერბაიჯანს დაადგება. **„თუკი ყველაზე უარესი მოხდება, ხელყოფა არა მარტო სომხეთის, არამედ აზერბაიჯანის უსაფრთხოებასაც დაემუქრება“,** – თქვა მინისტრმა და განმარტა, რომ ირანში ომის დაწყებამ შესაძლოა, აზერბაიჯანში ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი გამოიწვიოს (ირანში 30 მილიონამდე ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს). **„შედეგების წინასწარმეტყველება ძნელია, – აღნიშნა მან და დაამატა, – ისინი ძალიან-ძალიან სერიოზული და ნეგატიური იქნება“.**

# მუხთლებს ხალხის სამსჯავრო ელის

ქართველი ერი ისტორიის ეკლიან გზაზე ბევრჯერ დამდგარა ყოფნა-არყოფნის საშინელი განსაცდელის წინაშე. მუხთალ ქართველთა ღალატის სიმწარეც ბევრჯერ უგემია. ყველა ჯურის ვერაგ მტერთან ბრძოლაში საუკუნეთა ქარტეხილგამოვლილი საქართველო, ბოლო დროს გაერთიანებული, გამძლავრებული, აყვავებული და ამაყი, დღევანდელი საზომით, თურმე, ოკუპირებული იყო. რას იზამ, სატანის ქურაში შეგდებულ ქართველთა ბედი უკვე რამდენი ხანია უკუღმა ბრუნავს და რა გასაკვირია, რომ დიდ სამამულო ომში კაცობრიობის საზარელი ჭირის – ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ, საამაყო ქართველი ღიმილის ბიჭების ობელისკებს რომ ანგრევენ და ფაშისტ გენერალ – შალვა მაღლაკელიძეს სამშობლოს განმანთავისუფლებელ გმირად აცხადებენ. ესპანეთშიც გამოჩხრიკეს ვიღაც ვაი-ქართველი, დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ფაშისტურ პუტჩისტების მხარეს რომ იბრძოდა თურმე და აიკლეს ქვეყანა მისი ქება-დიდებით.

რაოდენ უზნეო და არამზადა უნდა იყოს ადამიანის მსგავსი არსება და ამგვარ არსებათა მთელი ხროვა კაცობრიობის არსებობაში მოვლენად ქცეული გენიალური ქართველის, რომელმაც ფაშისტური ჭირისგან იხსნა მსოფლიო და რომლის ძეგლს მის მშობლიურ ქალაქ გორში ტუტუცმა ხრუშჩოვმაც კი ვერ გაუბედა ხელყოფა, უჩუმრად, ღამით გააქრობენ და თბილისში, რიყეზე, ჰოლივუდის ტაკიმასხარა რეიგანს სკამზე წამოასკუპებენ, გმირთა მოედანზე რაღაც სამარცხვინო, ხალხის მიერ ფალოსად მონათლულ ბოძს დაარჭობენ, გაჭყლეტილ ბოთლს, კვერცხებს და შლოპანცებს რომ უდგამენ ძეგლს, რა ჰქვიათ ამათ?! რომელი ლაყე კვერცხიდან გამოიჩეკა ასეთი არსება და მისგან ქვეყნის თავზე მოხვეული სატანის სამსახურში ჩაყენებული რეფორმები.

დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრიდან გატანით აგრძელებენ თბილისის საქართველოდან გატანას. მთელი ერის მოსპობისგან გადამრჩენმა, საქართველოს აღმაშენებელმა, ბრძენმა მეფემ თბილისი დამპყრობთა ხელიდან გამოიხსნა და ამიერკავკასიის ცენტრში დედაქალაქის გადმოტანას მოახმარა თავისი დაუშრეტელი ენერგია, საქართველო კი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განავრცო.

ამ ხელისუფლებად წოდებულმა არსებებმა სამარცხვინო ომი წამოიწყეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ტერიტორიები დაკარგეს, ქართველებიააწიოკეს, ომის დაწყება სხვას გადააბრალეს, დამარცხებულებმა და გაქცეულებმა თავი გამარჯვებულად გამოაცხადეს. ამის შემდეგ ამათგან რაიმე ნორმალური, ან მართალი სიტყვის თქმის იმედი უნდა გქონდეს?!

დავით აღმაშენებელი აღმა ატრიალებდა ქართველთა ბედის ჩარხს და დედაქალაქის თბილისში გადმოტანით დაადგა გვირგვინი ერთიანი საქართველოს ძლიერებას.

ესენი ყველაფერს ყიდიან და ქუთაისში მიძვრებიან, რათა თავისი სიმუხთლე დარჩენილი საქართველოს გაყიდვით დაავგვირგვინონ.

რაც დღეს საქართველოში ხდება ასე მზაკვრულად და დაუზოგავად ვერცერთი მომხდური ვერ მოახერხებდა ქართველთა გადაგვარება-გადაშენება-მოსპობის განხორციელებას. ყოველივე ეს კი გაუმაძღარ პირუტყვად გადაგვარებულ ქართველთა მიერ ხორციელდება და ამას მსოფლიოში ყველაზე წარმატებული რეფორმატორების მიერ ქვეყნის აყვავებად ასაღებენ.

როცა ვინმეს დაღუპვა გინდა, თუ სადმე მოკეთე, მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავს, მოუსპე და შეაძულე.

ეს საცოდავები თავიანთ უხამს და უზნეო არსებობას რუსეთის ლანძღვას ანდომებენ. ოკუპაციის მუზეუმი მოაწყეს და მისით უცხოელ რუსთმოძულეებთან იწონებენ თავს თავად ოკუპანტებად ქცეული, ნაციონალებად წოდებული სახელისუფლებო ბანდა.

მათ მიერ ჩადენილ ყველა სამარცხვინო, უზნეო და უტიფარ თავხედობას საქართველოს სახელით ნიღბავდნენ. არადა, რა საერთო უნდა ჰქონდეს ხალხთან ხელისუფლებაში გამძვრალ ცრუპენტელათა ხროვას.

თუ ასეთები არ არიან, სად მიდის ქვეყნის ბიუჯეტი? რას ხმარდება უზარმაზარი საგარეო ვალი, მომავალი თაობის ჭირად რომ ამრავლებენ. ვინ ითვისებს საპროცესო გარიგებით და ბიზნესის დაყაჩაღებით გამოძალულ თანხებს. გასაკვირია, რა გაუმაძღრობის ჭია ჩასჯდომიათ სტომაქში, ამხელა ხელფასები, პრემიები და უამრავ გართობებში გადაყრილი ფული რომ არ ჰყოფნით. ასე გაზულუქებულები იმ ხალხზე ზრუნვას იბრალებენ, შიმშილის დრაკონს სასოწარკვეთით რომ შებრძოლებია და გამოსავალს ქვეყნიდან გაქცევაში ეძებს.

ტელევიზიით ამაყად აცხადებენ კანადაში არალეგალურად შეღწევის მცდელობაში ქართველი ახალგაზრდების დაღუპვის შესახებ; ასევე მალაიზიაში ქართველი ქალების მიერ ნარკოტიკების გატანასთან დაკავშირებულ გასამართლებაზე, თურქეთიდან ქართველი ქალების დეპორტაციაზე, ქართველი მეზღვაურების სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებაზე, და, ვერ ხვდებიან, რომ ქართველი ხალხის ასე სავალალო მდგომარეობამდე მიყვანა მათი დამსახურებაა და სულ მალე ყველა ჩადენილი ბოროტებისათვის ხალხის მკაცრი სამსჯავროს წინაშე მოუწევთ მწარე აბების მიღება. ერთი კი ცხადია, ავღანეთში ქართველი მეომრების დაღუპვაში თავიანთ დანაშაულს ვეღარ ნიღბავენ და ამიტომაა, რომ მტკვარში შემთხვევით ჩავარდნილ კაცზე მთელი კვირა გაჰკივის ამათი ტელევიზია, ავღანეთში დაღუპულთა შესახებ ერთხელ ძლივს ამოიკნავლებენ-ხოლმე.

ვისი ბრალია საქართველოდან ქართველი ახალგაზრდების ასე მასიურად გაფრთხობა? თქვენ გეკითხებიან მსოფლიოში პირველო რეფორმატორო ქვეყნის ამომგდებო ავი დღის შვილებო!

უზნეობით, გარყვნილობით, სქესობრივი გაუკუღმართების პროპაგანდით, ყოველივე ქართულ საამაყო ეროვნულ ტრადიციებთან, ზნეობასთან და მორალთან ბრძოლით, საქართველოში უცხო ენის და უხამსი ჩვევების ჩამოთესლებით ცდილობენ ქართველი ხალხის გადაგვარებას. ამიტომ სძულთ უფროსი თაობა და ახალგაზრდების დამახინჯებას ცდილობენ. რომ შეეძლოთ ქართულ ენასაც აკრძალავდნენ ეს საყველპურო ინგლისურის მარიონეტები.

ამას წინათ ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა, საუბარში გაიხსენა, შენი ლედი როგორ არისო. დაბერდა და შენი ჭირი წაიღომეთქი. **“ლედი”** ჩემს ირლანდიურ სეტერს ერქვა. არაჩვეულებრივი ფრინველზე მონადირე ძაღლი იყო. მონადირეები აღიარებდნენ, რომ ძაღლებში ლედი პირველიაო. სახელიც ირლანდიელობის გამო ერქვა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამგვარი პირველობა მკრეხელობად ჩაითვლებოდა.

დღეს ქალბატონების დანომვრა დაიწყეს და ტელევიზიიდან პირველი ლედის ხსენებით იწონებენ თავს. რას იზამ, ეს მაგათი გემოვნების საქმეა.

ქართველებს კი აქვთ უწმინდესი და უსპეტაკესი სიტყვა – მანდილოსანი, რომელიც ქართველი ქალისადმი უაღრესად განუზომელ პატივისცემას გამოხატავს. უამრავი საამაყო მანდილოსნებიდან თუნდაც ქეთევან წამებული ამათებურად რომ გავიხსენოთ, ასე გამოიყურება: შაჰ აბასის მიერ ნაწამები ქართველი ლედი. როგორია? კიდევ კარგი ნომერი არ დავუსვით. ხომ მოხვდა ყურს ჰეფესტოსის უროსავით.

საქართველოში კი ღირსეულ მანდილოსნებს რა გამოლევს. თუნდაც ნონა გაფრინდაშვილი, ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი; რომელი ქვეყანა არ იამაყებდა მისით. ჩვენთან კი ეს ვაი-ხელისუფლება ამ საამაყო მანდილოსნის სახელის ხსენებასაც კი ებრძვის, რამეთუ დიდების შარავანდედით შემკული ქართველი ერის სიამაყე მანდილოსანი ლედად ვერ გარდაქმნეს, სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ვერ გააცვლევინეს ნაციონალთა ლაქუცა გამაძღარი ქოსმენის არსებობაზე.

საქართველო დღეს ერთიანი, ძლიერი და აყვავებული იქნებოდა, მუხთლობა რომ არ დაბინავებულიყო ხელისუფლებაში. შევარდნაძის მეორედ მოსვლამ მეორედ გაუთენა გლოვის დღე ქართველ ხალხს. სხვა ცოდვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მარტო საქართველოს მრავალგზის სისხლიანი მტაცებლის დაუნდობლობით დარბევით სცადა საქართველოს ხერხემალში გადატეხა. წავიდა და თავის გამოზრდილ, მასზე უარეს ვერაგობას შეატოვა საქართველო საჯიჯგნად და დასატაცებლად.

ვინც ერის სასიკეთოდ გაიბრძოლა და მართალი სიტყვა თქვა, ყველა რუსეთის აგენტებად მონათლეს. თვითონ უცხო ქვეყნის აგენტები ამავე ბრალდებით უსწორდებიან ერისთვის თავდადებულ ღირსეულ მამულიშვილებს. ვისაც ვერ სწვდებიან, საქართველოში ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ და სადაც არიან იქაც მუქარით იკლებენ.

როგორ გენიალურად აყალიბებს საქართველოს აღორძინებისა და გამძლავრების ყოველმხრივ მიმართულებებს ნიჭიერი მამულიშვილი – ალექსანდრე ჭაჭია. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ახლოს არ გაიკარეს. მისი ჭკვიანური რჩევები და გაფრთხილებები დელფოს ორაკულის წინასწარმეტყველებასავით რომ აუხდა ქვეყანას, და მისი გაუთვალისწინებლობა ძვირად გვიზის დღესაც. ასე სავალალო მდგომარეობაში რომ ვიმყოფებით, ალექსანდრე ჭაჭიას ჭკვიანური რჩევების გაუთვალისწინების ბრალია. ხოლო, თუ გავიზიარებთ მის რჩევებს, კვლავაც აღორძინდება საქართველო. არადა, თუ ნაციონალ დამაქცევართა პარპაშს დროულად არ დაესვა წერტილი, უფრო უარესი და სავალალო შედეგი გარდაუვალია.

ალექსანდრე ჭაჭიას და მისი მსგავსი სამშობლოსათვის თავდადებული მრავალი მამულიშვილის ბრძოლით და შემართებით ჩვენი სამშობლო კვლავ აღსდგება, გაძლიერდება, და იბედნიერებს მრავალჭირგამოვლილი ქართველი ერი.

დღეს კი ნაციონალებად წოდებული უცხოეთის ლაქიათა ხროვა, რუსეთის უტაქტო, განუწყვეტელი ლანძღვით და ავღანეთში საზარბაზნე ხორცად გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდების სისხლით, იხვეჭს ნატოს და ამერიკელთა წაქეზებათავზე ხელის გადასმას. განა სასაცილო არ არის, არსებას, რომელმაც შიშისგან ცხვირით მიწა ათხარა, ომი დაიწყო და მიშველეო – სარკოზი ხვეწნით აიკლო, დემონსტრაციების სისხლიან დარბევას და ქართველი ახალგაზრდების ქუჩაში ჩაცხრილვის ორგანიზატორს სარკოზი საპატიო ლეგიონის ორდენით აჯილდოებს. ამგვარ პატივში ჰყავთ კოსოვოს კაციჭამია პრემიერ-მინისტრი ხაშიმ ტაჩი, მხოლოდ იმიტომ, რომ **“მათი ძაღლიშვილია”**.

უერთგულე ფსევდოდემოკრატიის ამ მედროშეებს და თუნდაც მთელი ქვეყანა სისხლში გიბანავებიათ!

გამოჩნდა იმედის სხივი ბიძინა ივანიშვილის სახით, რომელმაც დათმო განცხრომით ცხოვრება და სამშობლოს გადასარჩენად ბრძოლის სახიფათო ბილიკზე შედგა. ნაციონალთა მტაცებლურ ბანაკში პანიკა შეიქმნა. იმდენი სულელური ძალადობრივი დარბევა მოაწყვეს, როგორიც მხოლოდ მეკობრეებს ახასიათებთ. ჯერ ბანკიდან გამოტანილი ფული დაიტაცეს, ახლა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს; დაერივნენ მის მომხრეებს, ყოველგვარი ძალადობრივი ილეთების გამოყენებით. ტელევიზიებიდან მას და მის მომხრეებს ტალახის სროლა დაუწყეს და ამით საკუთარი არსებობა დასვარეს. კანონებს მხოლოდ ხალხის და ოპოზიციის დასაშანტაჟებლად აცხობენ.

მოახლოვდა არჩევნები და გაყალბების ოსტატები ამისათვის წინასწარ ნიადაგს ამზადებენ. ცნობილი ამერიკული ფირმაც ჩამოვიდა და მისი გამოკვლევით გაირკვა, რომ ქვეყნის დამანგრეველ ნაციონალებს მთელი საქართველოს მოსახლეობის მეტი ნაწილი უჭერს მხარს და მხოლოდ რაღაც პატარა პროცენტი არის ბიძინა ივანიშვილის მომხრე.

როცა ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები პოლიციაში მიჰყავთ და იქიდან მკვდარს უბრუნებენ ოჯახს, როცა დაუნდობელი სახელმწიფო ტერორი მძვინვარებს და ივანიშვილის მომხრეებს სამსახურებიდან ერეკებიან, ჟანდარმერიად ქცეული პოლიცია, **სუკ**-ი თუ **კუდ**-ი, კონტროლის პალატა და უამრავი დამსმენები დაუცველად დარჩენილ ადამიანებს ატერორებენ, განა ბევრი გამოჩნდება ისეთი რომ თავისი სიმპათია-ანტიპათია გაუმხილოს იმ ამერიკელს, რომელმაც დღის ბოლოს ხინკლით დამძიმებულ მაგიდასთან ნაციონალების დღეგრძელობას დიდი ჭიქით ეზიარება.

ისიც გასათვალისწინებელია, ამათ ერთი ხმაც რომ არ მიიღონ, არჩევნებში გამარჯვებულად გამოაცხადებენ თავს და თუ ესაც ვერ გააჩალიჩეს, პანღურის გარეშე ხელისუფლების დამთმობები მაინც არ არიან. ამიტომ, მთლად არჩევნების იმედზე მოძალადეთა ხელისუფლებიდან ჩამოცილება გულუბრყვილობა იქნებოდა. ხალხის მოთმინების ფიალა გადავსებულია. თავდაცვაზე ყოფნა და ამათი უამრავი ყაჩაღური თავდასხმის მოგერიება უფრო დიდი ავანტიურისაკენ უბიძგებს მოძალადეებს.

წუთისოფელი იმდენად მოკლეა, რომ უკან მიხედვას ვერც კი მოასწრებ, ისე დაასრულებს ყოფნას არყოფნა. ნუ დაგვავიწყდება, რომ წინაპრების სადღეგრძელოს ხმამაღალი შესმა ჩვენც პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, რათა მომავალ თაობას უფლება ჰქონდეს დღევანდელი ქართველების შემართებით იამაყოს. ამ საუბარს კი ჩემი ლექსის ერთი სტროფით დავამთავრებ:

**...მონის უღელს ნუ დაიდგამ,**
**მხნეობა ცამდე ასწიე,**
**ყვავმა სიცოცხლის რა იცის,**
**ეს უნდა ჰკითხო არწივებს!**

**ბიჩი სომხიშვილი,**
**მწერალი, სიღნაღი**

## სად გაქრა „ლაღიძის წყლები“ – რა ემუქრება უნიკალურ ქართულ ლიმონათს

გრძელი რიგები და განთქმული ლაღიძის წყალი რამდენიმე წელია, რუსთაველის გამზირიდან უგზო-უკვლოდ გაქრა. მისი ადგილი საზღვარგარეთიდან შემოსულმა ბრენდმა (**„ნექსტის“** მაღაზიამ) დაიკავა. წლების წინ ლაღიძეების ოჯახს საფირმო მაღაზია იმ მოტივით არ მიჰყიდეს, რომ შენობა, რომლის სარდაფშიც ის მდებარეობდა, თითქოს კულტურის ძეგლი იყო.

როგორც ლაღიძის ქარხნის დირექტორის მოადგილე, ნანა ჩახაია ამბობს, მაღაზია 2007 წელს ჩუმად გაიყიდა. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს მაღაზიის პროფილი 20 წლის განმავლობაში უნდა შეენარჩუნებინა. შემდეგ მაღაზია კიდევ ერთხელ გაიყიდა და პირვანდელი პირობა აღარ შესრულდა – დღეს ისტორიულ მაღაზიას ბოქლომი ადევს.

ქარხანა, სადაც საუკუნეზეა მეტია ლაღიძის ვაჟინი მზადდებოდა, ამჟამად მხოლოდ კერძო შეკვეთებსა და ექსპორტზე მუშაობს. ქართული საფირმო ლიმონათის დაგემოვნება რუსებს – მთელს რუსეთში, ქართველებს კი მხოლოდ რესტორნებში შეგვიძლია.

თბილისში ნამდვილ **„ლაღიძის წყლებს“** მხოლოდ ორ ადგილზე თუ შევხვდებით. მზის გულზე გამოტანილი, თვითმარქვია **„ლაღიძეები“** უხვად გვხვდება ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში გემოსა და სანიტარულ ნორმებზე საუბარი ზედმეტია. კერძო პირები, რომლებიც სიროფებს ლაღიძის ქარხნიდან არ იღებენ და დამოუკიდებლად ამზადებენ, 10 000 ლარით ჯარიმდებიან.

ოდესღაც თბილისის სიმბოლო და ქართველების საყვარელი ლიმონათი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. არადა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხილით დამზადებული ნატურალური ქართული სასმელი, ორიგინალური ჩამოსხმის მეთოდით, არა მარტო ქართველებს გაგვახარებდა, არამედ მრავალ ტურისტსაც გააკვირვებდა.

## სტალინის მუზეუმს სტალინიზმის მუზეუმად გადააქცევენ...

მიღებულია გადაწყვეტილება ქ. გორში სტალინის მუზეუმის სტალინიზმის მუზეუმად გადაკეთების თაობაზე. საგარეო ურთიერთობათა საკითხების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კანდელაკის განმარტებით, ცნობილი სპეციალისტებისგან შეიქმნება მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო, რომელიც **„ფინანსებს მოიზიდავს და მაღალი დონის ექსპოზიციას შექმნის“.**



შეგახსენებთ, რომ იოსებ სტალინის მუზეუმი გორში 1937 წლიდან არსებობს – თავდაპირველად, როგორც სახლ-მუზეუმი, ხოლო 1958 წლიდან – როგორც მემორიალური კომპლექსი. ორი წლის წინათ საქართველოს ხელისუფლებამ გორში სტალინის ძეგლი აიღო.

# იერუსალიმის პატრიარქთან დავით ბაქრაძის საუბრის შესახებ



ინფორმაცია: **"საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური დ.ბაქრაძის მიერ იერუსალიმის პატრიარქ თეოფილე მესამისთვის ბოდიშის მოხდის შესახებ ბერძნული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და ამ შეხვედრის გაშიფრულ ტექსტს ავრცელებს. როგორც პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი მაკა გიგაური აცხადებს, აღნიშნული მასალა ერთსაათიანი შეხვედრის მხოლოდ 12-წუთიან მონაკვეთს მოიცავს. ქალბატონ მაკა გიგაურის თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იერუსალიმის პატრიარქთან თეოფილე მესამესთან ერთსაათიანი შეხვედრის განმავლობაში ჯვრის მონასტრის საკითხი არაერთხელ დასვა"** (გაზეთი "ახალი თაობა", 29.3.2012).

კომენტარი: **დავით ბაქრაძე, განსხვავებით "ნაციონალების" და სააკაშვილის ამალის დიდი უმრავლესობისგან, ელემენტარულად უზრდელი არ არის, მას აქვს გარკვეული ტაქტი და აქედან გამომდინარე, პარლამენტის თავმჯდომარის გამგზავრება საზღვარგარეთ სამარცხვინო მოვლენა არ არის. თუმცა ბაქრაძის "დიპლომატია" ისეთივე ტლანქია და ქვეყნისთვის არაფრის მომტანი, როგორც მთლიანად სააკაშვილის ხელისუფლების.**

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც პარლამენტის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა, სულაც არ აბათილებს ბერძნული პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუკი საუბარი თეოფილე მესამესა და დ.ბაქრაძეს შორის ერთი საათის მანძილზე გრძელდებოდა, რატომ ვრცელდება ამ საუბრის მხოლოდ თორმეტწუთიანი მონაკვეთი? ასეთი შერჩევითი ციტირება, ნაცვლად გაბათილებისა, პირიქით, უფრო ამძაფრებს ეჭვებს, თუ რა განაცხადა ბაქრაძემ.

თუმცა უფრო უარესი საქართველოსთვის, თუკი პარლამენტის თავმჯდომარემ ბოდიში არ მოიხადა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ბოდიში არა თუ ლახავს საქართველოს პრესტიჟს, არამედ განამტკიცებს მას. სააკაშვილმა თავისი სამარცხვინო ტყუილებით გაოცება გამოიწვია ბერძენ მართლმადიდებლებში, აგრეთვე ისრაელის სახელისუფლებო წრეებში. ბაქრაძე კი, ნაცვლად ვითარების შერბილებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესით ხელმძღვანელობისა, ცდილობს, აამოს თავის მბრძანებელს. ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა, თუკი ბაქრაძემ იერუსალიმის უწმინდეს პატრიარქს ბოდიში არ მოუხადა. მაგრამ თუ პარლამენტის თავმჯდომარემ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ახლა ამას უარყოფს, ეს შედარებით უფრო მისაღები სიტუაციაა – მსგავს ხერხს მსოფლიო დიპლომატიაში არაერთხელ ჰქონია ადგილი, როდესაც საგარეო **"მოხმარებისთვის"** ერთი განცხადება კეთდება, ხოლო საშინაოდ – ამის საპირისპირო. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდებლად მიგვაჩნია.

თავი რომ დავანებოთ ვარაუდს და მხოლოდ იერუსალიმში გამართული შეხვედრის გამოქვეყნებული პასაჟი განვიხილოთ, ბაქრაძის **"დიპლომატია"** სავალალო შეფასებას იმსახურებს. კერძოდ:

1. პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა უწყოდეს, რომ ბერძნები და ქართველები **"სხვადასხვა ეკლესიების"** წევრები არ არიან და ადგილი არ აქვს ამ **"სხვადასხვა ეკლესიებს"** შორის **"ქრისტიანულ, ძმურ ურთიერთობებს"**. ქრისტიანული და ძმური ურთიერთობები აქვთ და შეიძლება ჰქონდეთ ბერძენ და ქართველ ხალხებს, მაგრამ არა ეკლესიებს, რადგან ბერძნებიც და ქართველებიც ერთი, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები არიან. მრევლსა და ეკლესიის მესვეურებს შორის არის არა უბრალოდ **"ქრისტიანული და ძმური ურთიერთობები"**, არამედ ევქარისტული კავშირი. ორგანიზაციულად იერუსალიმისა და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიები, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე მოღვაწეობენ, მაგრამ ისევ და ისევ ეს ხდება ერთი სამოციქულო ეკლესიის ფარგლებში. ეს ელემენტარულია და ამიტომ დავით ბაქრაძეს ამგვარი ლაფსუსი არ უნდა მოსვლოდა.

2. ბაქრაძეს ასევე ეშლება და ვერ ერკვევა, თუ რას წარმოადგენს ტაძარი, მონასტერი. მისი აზრით, ჯვრის მონასტერი **"ბევრი ქართველისთვის ისტორიული, ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ადგილია"**. შეიძლება, ზოგიერთი ქართველისთვის ეს მართლაც ასეა, მაგრამ ნებისმიერი ტაძარი და მათ შორის, ჯვრის მონასტერიც, უპირველეს ყოვლისა, სულიერების კერაა, სალოცავი ადგილია, სადაც აღესრულება ღვთისმსახურება, სრულდება ქრისტეს მიერ დადგენილი საიდუმლოებანი. ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ისტორია და კულტურა.

3. დავით ბაქრაძე, ნაცვლად იმისა, რომ ისრაელის ხელისუფლებასთან შეხვედრებისას ჯვრის მონასტრის თემას არ შეხებოდა, ვინაიდან ეს არ არის ისრაელის სახელმწიფოს საქმე და შეიძლება, ბერძენი სასულიერო პირების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვიოს, თეოფილე მესამეს პირდაპირ ეუბნება, რომ საქართველოს პარლამენტს თავმჯდომარეს იერუსალიმის პატრიარქთან შეხვედრამდე წამოუჭრია ჯვრის მონასტრის თემა ისრაელის ხელისუფლების წევრებთან (**"ქნესეთის სპიკერს, პრემიერს, საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდი, მათ საქართველოს მიზნების შესახებ, ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის დაბრუნების შესაძლებლობაზე ვესაუბრე"**). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამგვარი ქმედება კატასტროფულ შეცდომას წარმოადგენს, ეს თითქმის შეურაცხყოფის ტოლფასია – ხვდები იერუსალიმის პატრიარქს და ეუბნები, რომ მასზე უწინ ისრაელის ხელისუფლებასთან გისაუბრია იმ ტაძრის შესახებ, რომელზეც უშუალოდ ვრცელდება იერუსალიმის პატრიარქის პასუხისმგებლობა.

ყოველივე ამის გამო, გასაკვირი სრულიადაც არ არის, რომ იერუსალიმის პატრიარქის პასუხები დავით ბაქრაძესთან საუბარში ზედმეტი ლაკონურობითა და ცივი თავაზიანობით აღინიშნება. განა რა შთაბეჭდილება უნდა დარჩენოდა თეოფილე მესამეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მთლიანად ხელისუფლების განცხადებების შესახებ? ამიტომ ხაზგასმით ზრდილობიანი დავით ბაქრაძის ვიზიტიც კიდევ ერთ მორიგ სირცხვილად ექცა ჩვენს ქვეყანას. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე ფუჭ ოცნებას კი ალბათ დიდი ხნით უნდა შეეშვას ქართველობა – ჩვენი ისედაც რთული რეალობა საქართველოს ხელისუფლებამ საერთოდ გააფუჭა. ხოლო ბაქრაძის ვიზიტი უნდა შეფასდეს, როგორც მორიგი ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი, რომლის მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პოსტ ფაქტუმ გაამართლოს თავისი გაჯიუტებული და პოლიტიკურად გაკოტრებული ბოსის – მიხეილ სააკაშვილის ურცხვი ტყუილები იმის თაობაზე, თითქოს მიმდინარეობს მუშაობა ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

**გულბაათ რცხილაძე**

(მათ პასუხი უნდა აგონ ხალხის წინაშე)

# ვინ არიან ზონდერბრიგადების ხელმძღვანელები?

**„მაღალი რანგის ჯალათები უკვე ცდილობენ, ნაკლებად ჩაერიონ პოლიტიკურ პროცესებში, გაიტანონ თავიანთი ქონება საზღვარგარეთ და თავი გადაირჩინონ. ბევრ უწყებაში არის განცდა იმისა, რომ სააკაშვილის რეჟიმი მალე დასრულდება და თუკი ისინი განაგრძობენ დანაშაულებრივ საქმიანობას, შეიძლება მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს",** – ამბობს მოძრაობა **„არას"** ხელმძღვანელი ლევან ჩიტაძე, რომელიც ინფორმაციას აგროვებს ქვეყანაში მოქმედ ე.წ. ზონდერბრიგადებზე...

– ჩვენმა მოძრაობამ ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ინფორმაცია მოიპოვა 14 სისხლიან ჯალათზე. შევეცდები, მოკლედ მიმოვიხილო მათი მოღვაწეობა: **ნიკოლოზ სარალიძე** – სპორტსმენი, ძალოვან უწყებაში გამოჩნდა 2009 წელს. იგი არის ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტსმენებისგან ჩამოაყალიბა ე.წ. ზონდერბრიგადა, რომელიც მონაწილეობს მომიტინგეების დარბევებში როგორც ე.წ. რობოკოპები. სპორტსმენების მოგროვება-მობილიზებაში მას ეხმარებიან: **შოთა აკულაშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, გელა ბარათაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, ზვიად ქობალია, ემზარ ტყეშელაშვილი.** სარალიძემ ხელისუფლების სიმპათია დაიმსახურა და შეძლო დიდძალი ქონების დაგროვება, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ახალი ძალა გამოჩნდა, თავისი ბიზნესები სხვა ადამიანების სახელზე გადააფორმა. მას ეკუთვნის ვარკეთილში მდებარე ტრენაჟორების დარბაზი, შენობა **„შატილი"** – დიღომში, რომელიც გადაფორმებული აქვს ვინმე ნოდარ მინდიაშვილზე. აქვს ფართობი ვერაზე და ფლობს 5 დეკემბრის ქუჩაზე მდებარე სავარჯიშო დარბაზს მეგობრებთან ერთად.

**– რა სტატუსით სარგებლობენ სარალიძე და მისი მეინახეები?**

– ისინი 2009 წელს შსს-სთვის დამხმარე ძალები იყვნენ. 2011 წელს ამ ადამიანებმა მიიღეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მოწმობები, გახდნენ ამ უწყების ოფიციალური თანამშრომლები, თუმცა რეალურად არ ასრულებენ მოვალეობებს. უბრალოდ, აქვთ კუდ-ის მოწმობები, ნაჩუქარი ავტომობილები, იღებენ ხელფასს და მათი ერთადერთი მოვალეობა პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. როდესაც ქვეყანაში პოლიტიკურად პასიური მდგომარეობაა, ისინი ინფორმაციას აგროვებენ პოლიტიკურად აქტიურ პირებსა და მათ გარშემო მყოფებზე. ხოლო როდესაც სიტუაცია იძაბება, იწყებენ სპორტსმენების შეგროვებას და მომზადებას ხალხის დასარბევად. მათი დაჯგუფება 2011 წელს წვრთნას გადიოდა ვაზიანსა და შავნაბადაზე, აგრეთვე, 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე და ბრძანების მიხედვით მოქმედებდნენ. ამჟამად მათ ისევ დაიწყეს სპორტსმენების მობილიზება.

**– რატომ, რისთვის ემზადებიან?**

– დაახლოებით 2 თვის წინ დაიწყო მოსამზადებელი პროცესი როგორც ამ სპორტსმენებთან, ისე დაცვის პოლიციაში, რომელმაც გამოყო 2000 ადამიანი. ისინი დაცვის პოლიციის ბაზაზე გადიან წვრთნებს ე.წ. რობოკოპების ფორმებით. სარალიძემ შეკრიბა ძველი გუნდი და ახლაც დარბევებისთვის ემზადებიან. 2011 წელს, როდესაც სარალიძემ დიდი რაზმი შეუერთა **„რობოკოპებს"**, რიგით ჯალათებს ჰპირდებოდნენ, რომ ყველა მათგანი **კუდ**-ში დასაქმდებოდა და მათ საჩუქრად ავტომანქანებს დაურიგებდნენ. თუმცა, როგორც შევიტყვე, დამრბევებს დაურიცხეს პრემიები, ნადიმი გაუმართეს და მხოლოდ ამით შემოიფარგლნენ. უთხრეს, ჯერჯერობით **კუდ**-ში თქვენი ადგილი არ არისო. ასე ვთქვათ, მშრალზე დატოვეს. ამის გამო ბევრი განაწყენდა და დღეს როგორც სარალიძეს, ისე დაცვის პოლიციას, ძალიან გაუჭირდა ხალხის მობილიზება. აღსანიშნავია, რომ მაღალი რანგის ჯალათები უკვე ცდილობენ, ნაკლებად ჩაერიონ პოლიტიკურ პროცესებში, გაიტანონ თავიანთი ქონება საზღვარგარეთ და თავი გადაირჩინონ. ბევრ უწყებაში არის განცდა იმისა, რომ სააკაშვილის რეჟიმი მალე დასრულდება და თუკი განაგრძობენ დანაშაულებრივ საქმიანობას, შეიძლება მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ეს ჯალათები სხვის სახელზე აფორმებენ ქონებას. მაქვს ინფორმაცია კახა ბენდუქიძეზეც, რომელმაც საბერძნეთში მოახერხა თავისი კაპიტალის, ფინანსური აქტივების გატანა. ასევე შეჩერებულია პარლამენტარებისა და მაღალჩინოსნების სასახლეების მშენებლობა. მათ მუშებს განუცხადეს, არჩევნების შემდეგ შეგეხმიანებითო. ანუ, ყველა ცდილობს, დაიმალოს, მიწაში ჩაძვრეს...

**ზურაბ ჩიტიშვილი** და **ზაალ თადუმაძე** პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებზე, ოპოზიციონერებზე ინფორმაციის მოპოვებით არიან დაკავებულნი. მათი ინფორმაციის საფუძველზე არაერთ ადამიანს, პოლიტიკოსსა თუ პოლიტიკურ პარტიას გაუსწორდნენ. მოგვიანებით, დამსახურებისთვის ზურაბ ჩიტიშვილი გახდა – **სოდ**-ის, ზაალ თადუმაძე კი კუდ-ის თანამშრომელი. თადუმაძე 2009 წლამდე იყო რიგითი მოქალაქე, რომელიც საარჩევნოდ ინფორმაციების მოგროვებით იყო **„გართული"**. ამ ადამიანმა გავლენის სფეროს გაძლიერებაც მოახერხა და ქონებაც დააგროვა. თადუმაძემ ერთ დღეში სამი სამხედრო წოდება მიიღო. მანამდე კი იყო საშუალო განათლების მქონე შემდუღებელი.

ჩვენ გავშიფრეთ პოლიციის თანამშრომლები **ირაკლი ყიფშიძე, გოდერძი ნატროშვილი** და **კობა ჩადუნელი**. ჩადუნელი, თავდაპირველად, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის განყოფილების უფროსი იყო, მანამდე, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში კი **„გაიშნიკი"**, მუშაობდა პოლიციის სამმართველოში. **„ვარდების რევოლუციის"** შემდეგ დაითხოვეს ძალოვანი სტრუქტურებიდან, თუმცა მალევე დააბრუნეს. მან თავი გამოიჩინა დარბევებში 2007 წლის ნოემბერში რუსთაველზე, ტელეკომპანია **„იმედთან"** და რიყეზე. მოგვიანებით გახდა გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მე-10 განყოფილების უფროსი. როგორც ვიცი, მას უპირებენ გლდანის პოლიციის უფროსად დანიშვნას. ირაკლი ყიფშიძე ჯერჯერობით არის ძველი თბილისის პოლიციის უფროსი, გოდერძი ნატროშვილი კი – ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის უფროსი. სხვადასხვა პერიოდში პოლიციელების დაჯგუფებებს **გეგეჭკორისა** და **გრიგალაშვილის** დავალებით, სხვადასხვა პროვოკაციული მოქმედებისთვის იყენებდნენ.

საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია მორიგი სისხლიანი ჯალათი **გია უდესიანი.** შემიძლია ვთქვა, რომ ის არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ორგანიზებული დაჯგუფების ხელმძღვანელი. 2004 წელს უდესიანი გიგი უგულავას მეოხებით დაინიშნა მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსად. უდესიანმა რამდენჯერმე გამოიცვალა მფარველი. მისთვის, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ახალაიასა და მერაბიშვილთან ურთიერთობა და მათი მფარველობა. უდესიანს ჰყავს თავისი დაჯგუფება, თუმცა, ხშირად, მის ბრძანებას პარლამენტარ **ბადრი ბასიშვილის** დაჯგუფებაც ემორჩილება. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით უდესიანის დაჯგუფება ყველაზე ძლიერია, რადგან მას გავლენა აქვს სხვა ჯგუფებზეც.

**– თვითონ უდესიანი ვისი მითითებებით ხელმძღვანელობს?**

– უდესიანი არის დათა ახალაიას გავლენის ქვეშ, ასევეა გია დგებუაძე, იგივე **„მასტერა"**, გლდანის მე-8 დაწესებულების ყოფილი ხელმძღვანელი მუხაძე, იგივე **„ქილერა"**, მეგის ქარდავა... სამეგრელოში დაჯგუფებები რომ შეიქმნა და მათ ტყეებში რომ წვრთნიან, ამ პროცესს ახალაიებისა და რურუების გარდა, სათავეში უდგას მეგის ქარდავა. უდესიანის გავლენა ძლიერია ხაშურში, გორში, მესტიასა და თითქმის მთელ თბილისში. მუხაძეს აქვს საკმაოდ დიდი გავლენა ასევე თბილისსა და კახეთში. არსებობს ბევრი სხვა დაჯგუფებაც, რომლებზეც ვაგროვებთ ინფორმაციას. უდესიანზე კიდევ ის შემიძლია ვთქვა, რომ მან თავისი საქმიანობის შედეგად შეძლო დიდი ქონების დაგროვება და ამით არჩენს დაჯგუფების წევრებს. ერთია კუს ტბა – მოგეხსენებათ, ის მან წაართვა უწინდელ მფლობელ ბესო ხარძიანს. ისინი პარტნიორები იყვნენ, მოგვიანებით, უდესიანმა სპეცოპერაცია ჩაატარა მის წინააღმდეგ და ხარძიანს ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ხარძიანის მეუღლე კი აიძულეს, ყველაფერი უდესიანზე გადაეფორმებინა. უდესიანი ფლობს ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანიებს, წილს **„იოლის"** სუპერმარკეტების ქსელში. აქვს საბაჟო ტერმინალი ფონიჭალაში და ა.შ. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უდესიანი არის სამოქალაქო პირი, არ არის ძალოვანი უწყების წარმომადგენელი, მაგრამ ატარებს იარაღს. ეს დაჯგუფებები პროკურატურაზე მაღლა დგანან!

**ნ. ფიცხელაური**









# რა ხდებოდა „ნებაყოფლობითი რეზერვის“ შეკრებებზე

(პრესის მიმოხილვა)

### 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთი არმიის მოდერნიზებას განაგრძობს: ჩრდილოელი მეზობელი -СУ25-ს წერტილოვან დარტყმებს ასწავლის

„ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მოვიდა უწყება, რომ ნებაყოფლობითი რეზერვი იწყება და ორმოც წლამდე ასაკის მამაკაცები რეზერვში ვიყავით გაწვეული... რადგან დროებით უმუშევარი ვარ, ვიფიქრე, მაინც არაფერს ვაკეთებ და წავალ-მეთქი. ჩემთან ერთად სხვებიც ჰყოლიათ დაბარებული. ეს ჩემთვის პირველი შემთხვევა არ ყოფილა, ადრეც ვყოფილვარ რეზერვში, მაგრამ ეს ცოტა განსხვავებული იყო“, – რით გამოიხატება „ცოტა“ განსხვავება, ამის შესახებ ჟურნალ „არსენალს“ უამბობენ ჩვენი რესპონდენტები“, – წერს სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“ (30 მარტი – 12 აპრილი, 2012) სტატიაში სათაურით „ნებაყოფლობითი რეზერვი“ თუ „შეიარაღებული უკანონო ფორმირება“? „ეს რეზერვი წინასგან ცოტა განსხვავებული იყო“.

გამოცემა იმ ადამიანებს დაუკავშირდა, ვინც „ნებაყოფლობით რეზერვში“ იმყოფებოდა;

**თორნიკე,** 24 წლის, სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრი: „თავდაცვის სამინისტროდან მიღებული უწყების საფუძველზე წავედი რეზერვში. განსხვავებული არ ყოფილა. სასწავლო წვრთნებს გავდიოდით და დისლოკაციის ადგილიდან ბაზაში თავდაცვის სამინისტროს „პიკაპებით“ დავდიოდით. დასავლეთ საქართველოს კონფლიქტის ზონა ესაზღვრება და საფრთხე ყოველ წუთს არსებობს, ამიტომაც რამდენჯერაც იქნება საჭირო, იმდენჯერ წავალ რეზერვში. სოფელში დაბრუნებულებს გვითხრეს, ვერც კი გაიგეთ, ისე დაგარეგისტრირეს უკანონო შეიარაღებულ ჯგუფშიო, არადა, ჩემთან ერთად ასამდე რეზერვისტი იყო და რეგისტრაცია ყველამ გაიარა. დავიჯერო, ჩალით არის ეს ქვეყანა დახურული?!“

**არჩილი,** 37 წლის: „დიახ, ჩემს სოფელშიც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოლო რეზერვში, ძირითადად ნასამართლევი პირები და ვადაზე ადრე გათავისუფლებული პირები გამოიძახეს, მაგრამ ჩემთან ერთად ძალიან ბევრი უცხო იყო, არც ერთი თანასოფლელი არ შემხვედრია. ამიტომაც ვერ გეტყვით, ვინ იყვნენ ისინი. გარდა იმისა, რომ რეზერვისტის კვალობაზე ბევრად პროფესიონალურად ფლობდნენ იარაღს, სხვა არაფერი შემიმჩნევია... გარდა ამისა, ბოლო რეზერვს ჩემთვის უფრო იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სამხედრო. ბევრს გვესაუბრებოდნენ მოსალოდნელ ხიფათზე, ბუნებრივ კატაკლიზმებზე“, – აცხადებს რესპონდენტი და შეკითხვას – „შიდა არეულობაზე?“ – პასუხობს:

„კი, ოღონდ ამას უფრო ზოგადად. რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ ყველა ქართველი მამაკაცი შეძლებისგვარად მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო მომზადებული და ნებისმიერი საფრთხისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით“.

**ირაკლი,** 32 წლის: „აქ რაიონია და ყველა ცდილობს ისე იცხოვროს, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან პრობლემები არ შეექმნას. ამიტომაც უმეტესობა, რასაც ეტყვიან, იმას აკეთებს... მათ კრიმინალურ წარსულზე არაფერი მსმენია, თუმცა ისიც ითქვა, რომ მათ იარაღის ტარების უფლება მისცეს. მე იმან გამაკვირვა, რომ ყოველ საღამოს ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები მოდიოდნენ და აღრიცხვას აწარმოებდნენ. თეორიული მომზადებაც გვქონდა, მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის მზადყოფნას გვასწავლიდნენ, მაგრამ უჩვეულო არაფერი შემინიშნავს; წვრთნები გავიარეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ წყალდიდობის, მიწისძვრისა და სხვა სტიქიური უბედურებების დროს“.

**მერაბი,** 27 წლის: „მეორედ წავედი რეზერვში. სამხედრო სამსახურში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას და როცა გავიგე, ნებაყოფლობითი იყო, ვიფიქრე, იქნებ რამეში წამადგეს-მეთქი. ამიტომაც არც დავფიქრებულვარ. ხელმძღვანელობამ, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს რაიონულ წარმომადგენლებად გაგვეცნენ, გვითხრეს, რომ ეს „NATO-ს სტანდარტების მოთხოვნაა“, რომ ნებისმიერი საგანგებო სიტუაციისთვის მზად უნდა ვიყოთ. ლაპარაკი იყო კონფლიქტის ზონიდან მოსალოდნელ საფრთხეზეც. შევარდნაძის ხელისუფლების დროს მართლაც გადმოდიოდნენ შეიარაღებული აფხაზები და მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობას აყაჩაღებდნენ. ბოლო წლებში მსგავსი არაფერი გამიგია“, – აღნიშნავს გამოცემა.

„რა პირობებში უწევდათ ქართველ სამხედროებს ერაყში სამსახური, როგორი იყო მათი დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან და რას აკეთებდნენ მათი ნდობის მოსაპოვებლად, ამის შესახებ ქართველი სამხედრო თარჯიმანი, პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ზვიად ტყაბლაძე გვესაუბრება“, – წერს „არსენალი“ სტატიაში სათაურით სამხედრო თარჯიმნის თვალით დანახული ერაყი.

„ქართული ქვედანაყოფები ერაყში 2003 წლიდან მსახურობენ... ვცდილობდით, ჯარისკაცებისთვის რამდენიმე სიტყვა ადგილობრივ დიალექტზე გვესწავლებინა, რათა მოსახლეობასთან ურთიერთობა არ გასჭირვებოდათ და გაუგებრობის გამო კონფლიქტი არ წარმოქმნილიყო. არაბული სიტყვების აუცილებელმა მარაგმა მათ დიდი სარგებლობა მოუტანა, რადგან როცა არაბს მის ენაზე დაელაპარაკები, საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმული გაქვს. გავიცანი ერაყის მოქალაქეები, ვინც ინგლისური ან რუსული ენები იცოდნენ. უმეტესობა სადამ ჰუსეინის ყოფილი სამხედრო თუ პოლიციის ოფიცრები იყვნენ, მაგრამ რეჟიმს განუდგნენ და ერაყის გათავისუფლების საქმეში ჩაერთვნენ... ქართველმა სამხედროებმა სხვებზე იოლად გამონახეს ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ენა, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომ კოალიციური ძალების შემადგენლობაში ქართველებს ყველაზე მცირე ადამიანური დანაკარგი ჰქონდათ“, – აცხადებს ზვიად ტყაბლაძე და განაგრძობს:

„სხვადასხვა დასახლებულ პუნქტთან ახლოს იყო პატარა ბაზები, ქართული ასეულებით დაკომპლექტებული, რათა ამ ტერიტორიების უსაფრთხოება დაეცვათ და იქაურობა ტერორისტებისგან გაეწმინდათ. ასეთ ბაზებში თარჯიმნები ვიყავით განაწილებული და ვცდილობდით, მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა გვქონოდა. ამერიკელებს ჩვენი ბიჭების პროფესიონალიზმი და მოტივაცია უკვირდათ და ამას არც მალავდნენ... ერაყში თითქმის წელიწადზე მეტხანს ვიყავი და თავად გავხდი მოწმე ქართველი ჯარისკაცების მეომრული შემართებისა. ამიტომაც ვერ გავიზიარებ აზრს, რომ ამბობენ, მხოლოდ ფულის გამო მიდიანო. იმ ხნის განმავლობაში არც ერთი „გაუთვალისწინებელი შემთხვევა“ არ მომხდარა, ანუ ყველა ოპერაცია ზედმიწევნით ზუსტად შესრულდა“.

„მართალია, ერაყელები კარგი სტუმარმასპინძლობით გამოირჩევიან, მაგრამ ამ თვისებას საკუთარი სახლის გარეთ არაფრად დაგიდევდნენ. ვინაიდან ქართველი სამხედროები ადგილობრივთა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს პატივს სცემდნენ, ერაყელები მათ მიმართ სიმპათიას დაუფარავად გამოხატავდნენ. როდესაც სგპ-ზე (საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე) ქალის გაჩხრეკა სავალდებულო იყო, მათთან მხოლოდ ქართველი სამხედრო ქალები მუშაობდნენ. მართალია, თავს არ ვზოგავდით, რომ მოსახლეობის კეთილგანწყობა მოგვეპოვებინა, მაგრამ საფრთხე მაინც რეალური იყო“, – აცხადებს გამოცემის რესპონდენტი და შეკითხვას – „თუ იყვნენ ისეთები, ვისაც მამლუქების ქართული წარმომავლობის შესახებ სმენიათ?“ – პასუხობს:

„არა, იშვიათად, თუ მამლუქების შესახებ ვინმეს სმენია, ისინი თურქები ჰგონიათ, ვინაიდან იმ დროს ერაყი ოსმალეთის იმპერიის პროვინცია იყო... ჩვენთან თარჯიმნად მუშაობდა ერაყელი გადამდგარი გენერალი, რომელსაც ქართული ფესვები ჰქონდა; სამხედრო განათლება საბჭოთა კავშირში ჰქონდა მიღებული და იცოდა, რომ მისი წინაპრები საქართველოდან იყვნენ. თუ არ ვცდები, გვარად ხოხიაშვილი იყო. ეს გადმოცემით იცოდა და როცა გაიგო, ქართველები ვიყავით, საქართველოზე ყველაფერი დაწვრილებით გამოგვკითხა“.

„სამხედრო ტექნიკის განვითარებას დიდ იმპულსს აძლევს საბრძოლო მოქმედებები. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არმიაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას ცდილობს. ომის შემდგომ წლებში რუსეთი აქტიურად მუშაობს სამხედრო საავიაციო პარკის განახლებაზე. ახალი საავიაციო ტექნიკის შეძენასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მწყობრში არსებული თვითმფრინავების, განსაკუთრებით საფრონტო და საიერიშო ავიაციის მოდერნიზაციასაც. ლაპარაკია მოიერიშე су-25-ის ტიპის თვითმფრინავებზე. სისტემების გაუმჯობესების გარდა, რუსები საკუთარი მოიერიშეების არსენალის გაფართოებასაც ცდილობენ. ამჟამად су-25 3-ზე, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მართვადი ბომბური შეიარაღების მორგებაზე მუშაობენ“, – წერს სამხედრო-ანალიტიკური გამოცემა სტატიაში სათაურით რუსეთი су-25-ს წერტილოვან დარტყმებს „ასწავლის“.

„შესაძლოა რუსებმა су-25 -ის ბაზაზე დამრტყმელი კომპლექსიც შექმნან, სადაც ეკიპაჟის ერთი წევრი პილოტირების, მეორე კი შეიარაღების ოპერატორის ფუნქციებს შეითავსებს. ასეთი თვითმფრინავი ღამითაც და რთულ მეტეოპირობებშიც შეძლებს მოქმედებას... მოიერიშეების მოდერნიზაციაში რუსები დიდ ფულს ხარჯავენ... 2011-13 წლებში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სამხედრო-საჰაერო ძალები 36 მოდერნიზებულ თვითმფრინავს მიიღებს... ერთ თვითმფრინავზე საშუალოდ 4 მლნ 300 ათასი დოლარი დაიხარჯება. რუსული თვითმფრინავების მოდერნიზაცია ჩვენთვის დამაფიქრებელი ფაქტორია. საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში პირველ დარტყმას სწორედ су-25-ები მოგვაყენებენ და თანამგზავრული დამიზნების ბომბებით შეიარაღებული СМ3-ები სამიზნეებს უფრო ზუსტად და უფრო შორი დისტანციებიდან გაანადგურებენ. რადიოელექტრონული ხარვეზების დამდგმელი კონტეინერები კი მათ ჩამოგდებას გაართულებს“, – განმარტავს სტატიის ავტორი.

„არსენალის“ ერთგულ მკითხველს მოსწონს ჟურნალში დაბეჭდილი სამხედრო ტექნიკის ფერადი და ეფექტური სურათები, მაგრამ სულ სხვა განცდაა, როდესაც ხელში იმავე თვითმფრინავისა თუ შვეულმფრენის სამგანზომილებიან ლამაზ მოდელს დაიკავებ, რომლის აწყობა მაკრატლისა და წებოს გარეშე შეგიძლია. „არსენალთან“ ერთად თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ საბრძოლო ტექნიკის СМ3 მოდელები, ააწყოთ და შექმნათ საკუთარი მინიარსენალი. ჟურნალში მოყვანილია კონკრეტული მოდელის აწყობის ინსტრუქცია, ასევე მისი საბრძოლო ვარიანტის შექმნისა და გამოყენების პატარა ისტორია და ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები“, – წერს გამოცემა სტატიაში სათაურით შექმენი შენი არსენალი „არსენალთან“ ერთად.

„თქვენ გიწევთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მრისხანე, ამერიკული საბრძოლო შვეულმფრენის, - 1W Super Cobra-ს სამგანზომილებიანი მოდელის აწყობა. მისი წინამორბედი 1W Super Cobra, UH-1 „იროკეზის“ ბაზაზე შეიქმნა, რომელიც ქართული არმიის შეიარაღებაშიცაა. ამერიკული ფირმა Bell-ის კონსტრუქტორებმა განსაცვიფრებელ მაჩვენებელს მიაღწიეს – „კობრას“ ფიუზელაჟის სიგანე მხოლოდ 90 სმ იყო! ასეთი თხელი კორპუსის მქონე შვეულმფრენი, როდესაც უტევს მოწინააღმდეგეს, მისი წინიდან დაზიანება ურთულესი ამოცანაა, რადგან ერთ მეტრზე ნაკლები სიგანის საფრენი აპარატის ავტომატის მიზანში ამოღება და მით უმეტეს, მორტყმა წარმოუდგენლად რთულია. თავის მხრივ, ვიწრო ფიუზელაჟმა შეამცირა ფრენისას წარმოქმნილი ჰაერის წინაღობა და გაზარდა შვეულმფრენის სიჩქარე. მიუხედავად იმისა, რომ „კობრას“ პირველ მოდიფიკაციებს მხოლოდ ერთი ტურბოხრახნული ძრავა ჰქონდა, 1965 წლის ნოემბერში „კობრამ“ შვეულმფრენებისთვის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, როდესაც 322 კმ/სთ სიჩქარე განავითარა... ერთი „სუპერკობრას“ საშუალო ფასი 10 მლნ დოლარს უტოლდება“, – განმარტავს „არსენალი“.

# კარასინი: „ხმაურის ატეხვა სრულიად უადგილოა“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ სრულიად უადგილოა ხმაურის ატეხვა რუსეთის მიერ 2012 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებით.

მისი თქმით, 29 მარტს ჟენევის დისკუსიების ბოლო რაუნდზე რუსულმა მხარემ მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია დაგეგმილ სამხედრო შენაერთების წვრთნებთან დაკავშირებით.

**„რუსეთის შეიარაღებული ძალების ანალოგიური სამეთაურეო-საშტაბო სწავლებები რეგულარულად იმართება რუსეთის სხვადასხვა რეგიონში“,** – განაცხადა მან რუსულ ჟურნალ **„ოგონიოკთან“** ინტერვიუში, რომელიც 9 აპრილს გამოქვეყნდა.

**„მათში საზღვარგარეთ განთავსებული ჩვენი სამხედრო კონტინგენტების ან სამხედრო ბაზების, ასევე, უცხოური სახელმწიფოების სამხედროების მონაწილეობა არ იგეგმება. ამიტომ ხმაურის ატეხვა სრულიად უადგილოა. როგორც ჩანს, ეს კიდევ ერთხელაა მიმართული საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური ამოცანების შესრულებისკენ“,** – განაცხადა კარასინმა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა 31 მარტს, რუსეთმა შემოდგომაზე დაგეგმილი სამხედრო წვრთნები განზრახ დაამთხვია ოქტომბერში დაგეგმილ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს.

**„არ არის შემთხვევითი, რომ [საქართველოში] არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენმა მეზობელმა დანიშნა დიდი სამხედრო სწავლებები სექტემბრის მეორე ნახევარში. ეს დამთხვევა ნამდვილად არ არის შემთხვევითი“,** – ჩვეული ბრახაბრუხით განაცხადა სააკაშვილმა.

29 მარტს ჟენევის მოლაპარაკებების მე-19 რაუნდის შემდეგ საქართველოს წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძემ განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ დაგეგმილი სწავლებების შესახებ რუსი მომლაპარაკეებლებისგან დამაიმედებელი განმარტებები მიიღო. მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა აცნობა ქართულ მხარეს, რომ რუსეთი არ აპირებს სამხედრო ქვედანაყოფთა წვრთნებში რუსეთის ფედერაციის გარეთ განთავსებული შეიარაღებული ძალების ჩართვას.

**„ეს განცხადება ნამდვილად დამაიმედებელია,** – განაცხადა სერგი კაპანაძემ. – **თუ ბატონი კარასინის ამ განცხადებას რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დაადასტურებს და თუ ადგილზე არსებული ფაქტები შეესაბამება ამ განცხადებას, მაშინ ჩვენ ვიტყოდით, რომ ეს დადებითი განვითარებაა“.**

2012 წლის იანვარში რუსული საინფორმაციო წყაროები იტყობინებოდნენ, რომ ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებში **„კავკაზ – 2012“** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედრო შენაერთებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, ხოლო თბილისის განცხადებით, მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ რუსეთს გიუმრიში განთავსებული საკუთარი სამხედროების ჩართვაც სურდა წვრთნებში.



# ურჩევნიათ, საქართველომ დაჰკარგოს ისტორიის უდიდესი ნაწილი, ოღონდ ეს ისტორია მეგრელებს არ მიეწეროს!

**(გთავაზობთ ინტერვიუს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ კლიმენტი შელიასთან, რომელიც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ მსოფლიოს ცივილიზაცია კოლხეთიდან, ესე იგი საქართველოდან იღებს დასაბამს)**

– 86 წლის ვარ, მხედველობა აღარ მიჭრის, დიდი გზა აღარ დამრჩა გასავლელი, ამიტომ მინდა მოვასწრო და ხალხს გავაცნო დოკუმენტურ მასალებზე აგებული მეცნიერული კვლევები, რათა იამაყონ თავისი სამშობლოთი, ისტორიით, გაუფრთხილდნენ მას, მოუარონ. პირველად კი ამას ვიტყვი: **"საქართველო (კოლხეთი) მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, ქართული ენა (კოლხური ენა) კი – მსოფლიოს პირველი ენა!"**

ამერიკელებმა დაამტკიცეს, რომ კაცობრიობამ ცხოვრება ისწავლა ძველი შუმერებისაგან (ანუნაკისაგან). შუმერები რომ იგივე ქართველები არიან, ამას დიდი ხანია ამტკიცებენ პროფესორი მიხაკო წერეთელი, ზურაბ ქაფიანიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი. საქართველოს რომ წარღვნამდელი ისტორია აქვს, რატომღაც არ უნდათ იმის აღიარება. ამერიკელი უფოლოგები ამტკიცებენ, ანუნაკმა შექმნა მსოფლიოო. მეგრელებს უწინ ჰქონდათ სიბრძნის წიგნი **"ანუნაკის ეფუთი"**, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება. 10 მცნებაც პირველად ეფუთში გამოქვეყნდა. **ოღონდ მეგრელებს არ მიეწეროთ საიდუმლოს გასაღები და ზოგიერთებს ურჩევნიათ, ან პირში წყალი ჩაიგუბონ, ან გაუწიონ წინააღმდეგობა!** განა მეგრელები ქართველები არ არიან? სამწუხაროდ, მავანთ ურჩევნიათ საქართველომ დაჰკარგოს ისტორიის უდიდესი ნაწილი, ოღონდ ეს ისტორია მეგრელებს არ მიეწეროს. ისეთი დიდი კაცი, როგორიც არის ანანია ჯაფარიძე, წერდა: **ზუგდიდში იკრიბებიან იმპერიალისტური ძალები, მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ და მეგრული შეკრება ჰქონდათო.** 10 კაცმა მოაწერა ხელი. ვიღაცას მეგრელი ქართველად არ მიაჩნია. მაგრამ ამ ყველაფერს დრო უნდა, დრო უნდა აღიარებას!

ზოგიერთმა მეცნიერმა თავის დროზე არც ინჟინერ შოთა ხვედელიძის მიერ იბერიული ტაბულის გაშიფვრის დროს ამოიღო ხმა. მარტო არნოლდ ჩიქობავამ და ერთი-ორმა დაუჭირეს მხარი.

**– ბატონო კლიმენტი, რა ეწერა იბერიულ ტაბულაში?**

– 1975 წელს ჟურნალ **"ტექნიკა მოლოდიოჟში"** გამოქვეყნდა გაუშიფრავი იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე არანეგიმ. შოთა ხვედელიძემ გაშიფრა ეს ტაბულა და აღნიშნულმა ჟურნალმა მთლიანად გამოაქვეყნა. 1975 წლის 11 დეკემბერს **თსუ**-ს მაშინდელმა რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა ლინგვისტებისა და ისტორიკოსების დიდი თათბირი მოიწვია, რომელმაც მოისმინა ხვედელიძის ინფორმაცია. არნოლდ ჩიქობავამ ტექსტის წაკითხვა ჩათვალა აბსოლუტურად სწორად. რუსი აკადემიკოსი ბელოპლედევსკი წერდა: **"თუ დადასტურდა ხვედელიძის ჰიპოტეზა, მაშინ რამდენიმე საუკუნით – 3.479 წლით გადაიწევს ქართული დამწერლობის ისტორიაო".** ტექსტის სწორად გაშიფვრას დაეთანხმნენ მეცნიერები – იგივე ბელოპლედევსკი, ბარაჟოვი და ზიცარი. აი, რა ეწერა ტექსტში: **"დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით მე-15 საუკუნეში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა როიმ, მოუწოდა ხალხს დაეტოვებინა საქართველო. ქვეყანა დატოვა 400 ათასზე მეტმა ადამიანმა. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირენეის მთების კალთებზე და ბასკეთის ყურის ნაპირზე"**.

შემდეგ კი იმპერიალიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილმა შოვინისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ხვედელიძის მიერ დაშიფრულ ტექსტზე მუშაობა დასრულებულიყო უშედეგოდ. ერთსაც გეტყვით: შოთა ხვედელიძე, ეს ჯანმრთელი კაცი უცებ გარდაიცვალა. რა უნდა მომხდარიყო?! ეს კითხვა მუდმივად მაწუხებს.

რაც შეეხება ქართულ ენას, უცხოელმა მეცნიერებმა ასეთი წიგნი გამოსცეს **"უცნობი ქართველური ენა და ქართული დინასტიის 600-წლიანი მმართველობა მესოპოტამიაში"**. იური კომენსკი წერს: **"კასიტური ენა ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა, მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს ძველი წელთაღრიცხვით მე-18-მე-12 საუკუნეების შუაწლებამდე, ქვეყანას მართავდნენ კოლხები და მმართველობა კოლხურ ენაზე ხდებოდაო".**

2008 წლის შემოდგომაზე ლონდონში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მომხსენებელი იყო ჩვენი თანამემამულე გია კვაშილავა, რომელმაც წინაქართულ ენაზე აალაპარაკა 4 ათასი წლის წინანდელი კოლხური დამწერლობა. 2010 წლის ივლისში კემბრიჯის სწავლულთა გამომცემლობამ გამოაქვეყნა რობერტ მორატის 400-გვერდიანი წიგნი **"ქვები, რომლებიც მეტყველებენ"**, რომლის 150 გვერდი მიძღვნილი აქვს გია კვაშილავას, ავტორის აზრით, **"ფესტოსის დისკო"** მსოფლიოში ყველაზე უკეთესად სწორედ გია კვაშილავამ გაშიფრა.

დასაბუთებულია, რომ მეგრულ ენას სხვა ენებთან შედარებით აქვს ყველაზე დიდი, მრავალრიცხოვანი ლექსიკური მარაგი, ის მსოფლიო ენათმეცნიერებაში ნამდვილი გადატრიალებაა. **ნახეთ მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა და ვლადიმერ ვახანიას უნიკალური შვიდტომეული "მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა", რომელშიც დასაბუთებულია ზემოწარმოთქმული აზრი. ნახეთ, ასევე, მურთაზ ჯანჯღავას "მეგრული ენის ფენომენი". უცხოელი მეცნიერები ამ ავტორთა ნაშრომების წაკითხვის გარეშეც იმავე დასკვნას აკეთებენ.**

## უანჩები (გუანჩები) – მეგრული ტომები

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს მიიჩნევენ ატლანტიდიდან მოსულ ერად) პირველი კაცის სახელი არის **"აიონი"**, რაც აშკარად ჰგავს **"აიას"** (კოლხეთს). აიას **("აიონის")** შვილს ჰქვია **"ფურ"**, რაც ატლანტიდურ-ფინიკიურ ენაზე ნიშნავს **"ცეცხლს"**. კოლხურად ეს სიტყვა ნიშნავს **"ცხელს"; "ფურე"** კოლხურად (მეგრულად) ნიშნავს **"მხურვალეს"** (აქედან ქართული **"ფურნე"**). ატლანტთა ენაზე **"ფურ"** არის ცეცხლის აღმომჩენი – ცეცხლის აღმოჩენა ატლანტებს მიეწერება.

კოლხურში არის აგრეთვე **"ფურ-კი" – "კვამლი"**. როგორც აღინიშნა, ატლანტი პრომოტეს ძმაა, პრომოტე კი აიეტის ნათესავი. მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს **"მოლი"** ჰქვია. ეს ხომ არ არის ის **"მოლი"**, რომელიც გვხვდება **"არგონავტიკაში"** და ეს ის **"მოლი"** ხომ არ არის, რომლითაც მედეა ავადმყოფებს მკურნალობდა? – ეს წარღვნამდელი ქართული (კოლხური) სიტყვაა.

**"მოლი"** ფინიკიურად ზღვაში ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ ტალღადამცველ კედელს ნიშნავს.

აცტეკურ მითებში ლაპარაკია ორ ადამიანზე, რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას: **"ტატა"** და **"ნენა"**. ესენი უძველესი მეგრული სიტყვებია. **"ნენას"** დღესაც დედას უწოდებენ სამეგრელოში **("ნენა", "ნანა")**, ხოლო **"ტატა" ("ტატალი")** სამეგრელოში ამჟამადაც ჰქვის **"ლამაზს", "საუცხოოს", "მშვენიერს"**. მითების თანახმად ღმერთები სწორედ **"ლამაზებს", "საუცხოოებს", "მშვენიერებს"** – არჩევდნენ წარღვნის შემდეგ კაცთა მოდგმის გასაგრძელებლად.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკიური ალფავიტი და მაიას ტომის ანბანი **("კოლხუას ანბანი")**. თუ ეს ასეა, მაშინ ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა **"თაუთ"-მა. "თაითს"** ეგვიპტელები მთვარის ღმერთს **"თოთს"** უწოდებდნენ. კოლხურში **"თოუთი" – "თიუთა", "თუთა", "მთვარის ღვთაებაა" ("დამწერლობის ღმერთი"):** ძველ კოლხეთში ეს ნიშნავს **"მთვარეს", "თვეს"**, კვირის პირველ დღეს – **"თუთა-აშხა"**-ს (ორშაბათი)... მთვარის ეგვიპტური სახელი ეტყობა მეგრელებმა საკუთრებად გაიხადეს.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ კვირეულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება **"თუთაშდღა"** – მთვარის დღე. გავიხსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის **"დათა თუთაშხია"** – მთვარის პერსონაჟის გვარის ფუძე და ძირი **"თუთაშხია"**. ეს წარღვნამდელი სიტყვაა.

ფინიკიელებს და ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ მათი დამწერლობა მესამე ფუძეწყაროდან მოდის. ამ მესამე **"ფუძე-წყაროდ"** მეცნიერთა ნაწილი ატლანტიდურ ანბანს მიიჩნევს. ატლანტიდაზე დამწერლობის არსებობას პლატონიც ადასტურებს **("ტიმეოს"-ი და "კრიტია").** კოლხუას ხალხმა მაიას ტომს ჩაუტანა ანბანი და კულტურის სხვა მონაპოვრები.

**"ამ"** ფინიკიურად დედას ნიშნავს (**"ამ"** მეგრულად არის **"ეს"**), ფინიკიური **"ბობო"** არის პაპა, **"ბენ-ბენი"** – შვილისშვილი, **"რაფა"** კი, ზოგადად, მკურნალს ეწოდება. ფინიკია მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე.

ფინიკიელები თავიანთ თავს **"ანაკის შვილებს"** ეძახდნენ. ქვეყნის მთავარი ქალაქები იყო ტირი და სიდონი. ცნობილია ისიც, რომ ფინიკიელები განთქმული ზღვაოსნები იყვნენ.

ჰეროდოტეს მტკიცებით ფინიკიელები გაემგზავრნენ წითელი ზღვით, შემოუარეს **"შავ კონტინენტს"** (აფრიკას), გაცურეს ჰერკულესის სვეტებამდე (ჰიბრალტარამდე) და შემდეგ ხმელთაშუა ზღვით კართაგენში ჩავიდნენ. ფინიკიელი მეზღვაურები თავიანთი პატარა იალქნიანი და ნიჩბიანი ხომალდებით ევროპასაც უვლიდნენ და შედიოდნენ ბალტიის ზღვაში, მის ნაპირებზე ვაჭრობდნენ უცხოელებთან, განსაკუთრებით დაეძებდნენ **"ელექტრონს"**, ასე ეძახდნენ მაშინ ქარვას, რომელიც სამკურნალო თვისებების მქონე ძვირფასეულობად ითვლებოდა. დასავლეთში ჰერაკლეს (ჰიბრალტარის) სვეტებს იქით მდებარეობდა ბედნიერი, ანუ ბედნიერების კუნძულები, რომლებშიც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ, სადაც უშფოთველად ცხოვრობდნენ და ტკბებოდნენ მარადიული ბედნიერებით. ამ კუნძულების მიწა-წყალს **"ელისეის ველები"** ეწოდებოდა. ამას იხსენებს ჰომეროსი თავის **"ოდისეაში"**, ასევე ჰესიოდე, პინდარი და სხვები. ამ კუნძულებს ახსენებდნენ უძველესი არაბებიც ზღაპრებში და ლეგენდებში და მათ **"სამარადისოს", "ბედნიერს"** უწოდებდნენ (ჯეზალ ელ-ხალიდადი), შემდეგ ამ კუნძულებს კარიბის კუნძულები ეწოდა.

## ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე

ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა 1955-1956 წლებში დაქირავებული გემით და ექსპედიციის 25 წევრით იმოგზაურა აღდგომის კუნძულზე, რომ გაერკვია, თუ ვინ იყვნენ ყველა მატერიკისაგან დაშორებული კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა იქ არსებული ფანტასტიკური, გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა. შემდეგ მან გამოსცა შესანიშნავი, საინტერესო წიგნი **"აღდგომის კუნძულის საიდუმლოება"**.

ჰოლანდიელმა მოგზაურმა, ადმირალმა როგვებმა 1722 წელს, 6 აპრილს, აღდგომის დღეს, შემთხვევით აღმოაჩინა კუნძული და მას **"აღდგომის კუნძული"** უწოდეს.

1988 წელს, ავსტრალიელმა პროფესორმა რობერტ მაურმა კუნძულის ტორფიან ჭაობში აღმოაჩინა შუა საუკუნეების დროინდელი ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც აღჭურვილობის მიხედვით ლივონის ორდენის წევრი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ როგორ მოხვდა იგი აღდგომის კუნძულზე? მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ შუა საუკუნეებში იყო სპეციალური ტექნიკა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა დიდ მანძილზე წუთიერწამიერი გადაადგილება.

ეს ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია!

ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან აღდგომის კუნძულზე ცხოვრობდნენ კოლხმეგრელები და მათი ლიდერი იყო ჰოტუ (ხოტუ) მატუა, კუნძულის პირველი მეფე. მოსახლეობის უმრავლესობა იყო მეგრელები (თეთრკანიანები, არა შავ და ფერადკანიანები). სწორედ მუსლიმანთა წინააღმდეგ ევროპული ქვეყნების რაინდთა ბრძოლაში მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებელის ჯარებიც. ამ დროს და შემდგომი პერიოდის მოლაშქრე მეგრელთა გვარები ცნობილია (შელიები, ხაინდრავები და სხვა), რომელთა (მოლაშქრეთა) ნაწილი, ლაშქრობის შემდეგ ევროპაში გადასახლდა. ამჟამადაც ბევრი შელია ცხოვრობს დასავლეთ გერმანიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის მატერიკზე.

ყველა მონაცემებით ჩანს, რომ ავსტრალიელი მეცნიერის მიერ ნაპოვნი რაინდი დავით აღმაშენებლის მოლაშქრე იყო. თექვსმეტი საუკუნის შემდეგ აღდგომის კუნძულის მცხოვრებლები – მათი აზრით, ყველაზე უკეთეს სოფელში ანაკენაში, სადაც იყო ჰოტუ (ხოტუ) მატუას სახლი და სამზარეულოს ნარჩენები, ტურ ჰეიერდალის ექსპედიციის წევრებს სიყვარულით უმღერიან:

**ტე, ტერტერ, ტე ვაკა ტე ჰოტუ მატუა!**
**ო, გო-გო! ტე ტერე ტე ვაკა ტა ჰოტუ მატუა...**

სამწუხაროდ, ნორვეგიელ მეცნიერს არაფერს არ აძლევდა თუ რომელი ეროვნების იყო ჰოტუ მატუა და არც ის გიგანტურ ქანდაკებებზე გიგანტური თავსაბურავები – ორი წვერჩამოშვებული ყაბალახი (პუკაო), რომელიც მეგრელთა (ქართველთა) თავსამკაულია.

ჰეიერდალი წერს: **"პირველ რიგში მე გამაოცა იმან, რომ ჩვენს წინ მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინადროინდელ პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებში გვხვდება..."**

აქ **"გასაოცარი"** არაფერია!

სწორედ ინკებში, აცტეკებში და მაიას ტომებში ცივილიზაცია შეიტანეს კოლხპელაზგების, იბერიამეგრელი ხალხის წარმომადგენლებმა. ამიტომ, ბუნებრივია, ინკების წინადროინდელი პერიოდის **"კოლონა-ქანდაკებები"** საოცრად ჰგავდა აღდგომის კუნძულების **"მიწაში მდებარე საგნებს"**.

ჰეიერდალი აგრძელებს: **"ინკებში მშენებლობის ტექნიკა შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე"**.

აღნიშნულ პერიოდში იბერთა თაოსნობით ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები.

სწორედ იბერთა გონითა და პროექტებით შენდებოდა გიგანტური ნაგებობები – ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები.

პროფესორი რევაზ ერისთავი ხაზგასმით მიუთითებს, რომ იბერები უძველეს დროში გადაადგილებას იწყებენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლეს ამერიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი კონტინენტები.

კოლხები მეტალურგიულ საქმიანობას ეწეოდნენ (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში, 42-ე გრადუსის პარალელზე.

აქვე უნდა მოგითხროთ ჩემს გვართან დაკავშირებულ კიდევ ერთი საინტერესო ისტორიული ფაქტის თაობაზე.

ცნობილია გერმანელი დიდი თავადი, სახელმწიფო, პოლიტიკური, დიპლომატიის ფრონტზე მოღვაწე შელია, დიდი მზვერავი – **"ალტეს"** ჯგუფის წევრი, რომელსაც შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ფაშისტურმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, ჰიტლერმა კი ჩამოხრჩობით შეუცვალა.

ფაშისტთა ზედაფენებში გაკვირვებული წერდნენ და ამბობდნენ: ასეთი გამოჩენილი მოღვაწე, თავადი, როგორ ებრძოდა ჰიტლერსო. **"ალტეს"** ჯგუფის ხელმძღვანელებს ილზა შტიობეს, რუდოლფ ფონ შელიას და სხვებს სქელტანიანი წიგნი მიუძღვნა ამ ორგანიზაციის წევრმა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა, ეკონომისტმა, ჟურნალისტმა ერჰარდ კეკელმა – **"ჩვენი საუკუნის ქარტეხილები. მზვერავი ანტიფაშისტის ჩანაწერები"**, რომელიც გერმანიაში, ქალაქ ბერლინში გამოვიდა 1983 წელს, ხოლო 1987 წელს – მოსკოვში, რუსულ ენაზე. მანამდე მოსკოვის გაზეთმა **"იზვესტიამ"** თხუთმეტ ნომერში გამოაქვეყნა მასალები ელზა შტიობეს და ფონ შელიას შესახებ (1984 წელი), გაზეთმა **"თბილისმა"** აღნიშნული მასალები გამოაქვეყნა 1984 წლის 25 აგვისტო-18 სექტემბრის ნომრებში, გაგრძელებით (სათაურით **"ასე მზადდებოდა 1941 წლის 22 ივნისი"**).

**კლიმენტი შელია,**
**აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

# ქვეყანას ახალი სახელმწიფო მოწყობა და განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია სჭირდება

საქართველოში მომხდარი ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუციით"**, მოსული დღევანდელი ხელისუფლება ფაქტიურად ხალხსაა დაპირისპირებული, რამაც მდგომარეობა ბევრად გააუარესა.

კერძოდ, ხელისუფლების არასწორად წარმართული საგარეო პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, მთავრობას კი კონფლიქტის მოგვარების არანაირი რესურსი არ გააჩნია. ხალხს ფუჭი დაპირებებით კვებავენ, როცა **ნატო**-ში შესვლის პერსპექტივას უსახავენ, სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, მასმედიის უდიდეს ნაწილს ხელისუფლება აკონტროლებს, ხშირია კერძო საკუთრების ხელყოფის შემთხვევები, სახელმწიფო რეკეტმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, რაც გამოიხატება ხელისუფლების მოხელეთა ბიზნესის წილში ჩაჯდომით. სხვა შემთხვევაში ხელისუფლებაში მართლაც **"გაღლეტილად"** მოსული ჩინოვნიკები მოკლე ხანში მილიონერებად ვერ გადაიქცეოდნენ. უგულვებელყოფილია დიდი ილიას შეგონება – **"ენა, მამული, სარწმუნეობა"**. მასმედიიდან მხოლოდ ინგლისურ-ქართული ლექსიკა ისმის. მხოლოდ ის რად ღირს, რომ ქვეყნის წამყვანი ტელეარხები მხატვრულ ფილმებს ქართული ტიტრებით, ინგლისურ ენაზე გვასმენინებენ. გაყიდეს მიწა, ტყე, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, თანაც უმეტესად ჩვენდამი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და კომპანიებზე. რაც შეეხება სარწმუნოებას, აქ, ხელისუფლებამ, პარლამენტის მიერ მიღებული, ქართველი ერის გამანადგურებელი და დამღუპველი კანონით შეტევა განახორციელა მართლმადიდებლობაზე.

ყოველივე ამის შემდეგ ეს ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ წარმატებულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, რომ სიკეთე თავზე გადაგვდის, რაც ნაწილობრივ ამართლებს ძველ რომაულ ფორმულას – მიეცი ხალხს პური და სანახაობა. ნაწილობრივ, იმიტომ, რომ სანახაობა უხვად გვაქვს, პურის ულუფა კი თანდათან გვიმცირდება.

ხალხი ამას გრძნობს, მაგრამ მოძალებული სახელისუფლებო ტერორის გამო ლამის შეუძლებლად მიაჩნია ამ არაქართველ მოძალადეთა მიერ დადგმული სამარცხვინო უღლის არჩევნების გზით მოშორება. ამას კი თავის სასარგებლოდ იყენებს არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიებს უბადლოდ დაუფლებული სააკაშვილის ხელისუფლება, რომელმაც ეს სიყალბე და ტოტალური სიცრუის მანქანა შევარდნაძისაგან მიიღო მემკვიდრეობად.

სწორედ ამის გამო გაუჩნდა ხელისუფლებას შეუცვლელობის განცდა, რწმენა იმისა, რომ საქართველოს ისტორია **"ვარდების რევოლუციის"** დღიდან იწყება, რომ უფროს თაობებს არაფერი უკეთებიათ და ისინი **"ჩასარეცხები"** არიან. ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა ავტორიტარიზმთან ნაზავი პარტოკრატიულ-კლანური სისტემა, რომელიც მხოლოდ ხელისუფლებას ასაზრდოებს და უსქელებს ჯიბეებს.

ღირებულებათა ამგვარი გადაფასებებით ხალხი შეურაცხყოფილი და მოტყუებული რჩება. ამიტომ, თუ ერთი ხელისუფლება შენს გმირობას აღიარებს, მეორემ შეიძლება ქვეყნის მოღალატის იარლიყი მოგაკრას. სწორედ ამიტომ თვლის სააკაშვილის ხელისუფლება, რომ დიდი სამამულო ომის გმირები არაქართულ საქმეს ემსახურებოდნენ და სხვა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია აუცილებლად ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება. თუნდაც ისეთის, როგორიც შეიმუშავა ბატონმა **ალექსანდრე ჭაჭიამ**, სახელწოდებით **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"**, რომელიც უგულველჰყო როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლებამ.

ვეცნობით რა ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ 15-20 წლის წინ დაწერილ სტატიებს, ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი არის შეუმცდარი პოლიტიკოსი, რომელიც აკეთებს სრულყოფილ ანალიზს, მის მართებულ პოლიტიკურ ხედვას კი დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, რომ გულდასმით გაეცნონ ბატონი ალექსანდრეს წერილებს, განიხილონ საქართველოს აღორძინების კონცეფცია, რომელიც გადმოცემულია მის ნაშრომში **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"** და მოაწყონ მისი საჯარო განხილვა.

**ზურაბ ჯიქია,**
**ზუგდიდი, დარჩელი**

# ჯონ ბასი – ქართულ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა



ქართულ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა ფოთში, ტელეკომპანია მე-9 ტალღის ოფისში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

ამ თემაზე ელჩმა **აშშ**-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე სენატორებისა და საქართველოში აშშ-ის მომავალი ელჩის, რიჩარდ ნორლანდის მიერ გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას ისაუბრა. კერძოდ, როგორც ჟურნალისტის კითხვაში იყო ნათქვამი, ამერიკელმა სენატორებმა გამოთქვეს სინანული, იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ ოპოზიციას არაკონკურენტულ გარემოში უწევს მოქმედება და ეს პოზიცია რიჩარდ ნორლანდის განცხადებამაც გაამყარა.

ბასის განცხადებით, მის მთავარ წუხილს იწვევს მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ნაკლებად ხელმისაწვდომობის საკითხი.

**„მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ მიიღონ კანდიდატებისა და საარჩევნო კამპანიის შესახებ სასურველი ინფორმაცია. წინააღმდეგობა ახლავს ასევე ინფორმაციის ნაკლებობას, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობას. ბოლო პერიოდში ეს წინააღმდეგობა უკავშირდებოდა კონტროლის პალატის მიერ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონის აღსრულებასთან და წესებთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობას, რომელიც მიეწოდებოდა საზოგადოებას თუ პოლიტიკურად აქტიურ ძალებს. არ იყო ნათლად წარმოჩენილი ის პასუხისმგებლობა და მოვალეობის სფერო, რომელიც ეკისრებოდა ამ ორგანიზაციას, კანონის აღსრულების დროს"**, – განაცხადა ბასმა.

მისივე თქმით, ინფორმაცია დაბალანსებულად უნდა იყოს წარმოდგენილი და მიეწოდებოდეს დაბალანსებული ფორმით მოქალაქეებს. **„ეს ეხება, ეროვნულ მაუწყებლებს, რომლებიც მაუწყებლობენ ეროვნული მასშტაბით, სადაც ჩვენ ხშირად ვხედავთ, ერთი ხედვის დომინირებას. მაყურებელს უწევს მეტი ძალისხმევა, იმისათვის, რომ გაეცნოს აზრთა სრულ სპექტრს, მიიღოს სრული ინფორმაცია ინდივიდუალური პოლიტიკოსისა თუ მოძრაობის შესახებ, ასევე, სხვა საკითხებზე – უმუშევრობაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და რუსეთთან ურთიერთობაზე"**, – აღნიშნა ელჩმა.

# წიგნი მუსულმანი კაცებისთვის – როგორ მოვეპყროთ ცოლს სასტიკად

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიუხედავად მსოფლიო კაცობრიობის ცივილიზებული წინსვლისა, მუსულმანურმა სამყარომ ვერასგზით ვერ აუწყო ფეხი პროგრესს, განსაკუთრებით ქალებთან დამოკიდებულებაში. მუსულმანურ ოჯახში ქალი საოჯახო ნივთთან არის გაიგივებული და, შეიძლება ითქვას, რომ მას არავითარი მოქალაქეობრივი უფლება არ გააჩნია.

თუ მუსულმანი ცოლ-ქმარი ოჯახიდან გავლენ საქმეებზე, ქალმა რამდენიმე ნაბიჯით ქმრის უკან უნდა იაროს, და რაც მთავარია, სახეზე სქელი, სხივგმაუტარი ჩადრი უნდა ჰქონდეს ჩამოფარებული.

მუსულმან ქალს უფლება არა აქვს ნებისმიერი სურვილის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრას უცხო მამაკაცსაც კი, თუ იგი შემთხვევით მასთან ერთად აღმოჩნდება ხალხისაგან იზოლირებული.

ბევრი მუსულმანური ოჯახი ევროპისა და მსოფლიოს სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში გადასახლდა, მაგრამ მათ მენტალიტეტში ბევრი არაფერი შეცვლილა..

მაგალითად, კანადის ქალაქ ტორონტოს წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი გამოჩნდა – **„საჩუქარი მუსულმანი წყვილებისათვის"**, რომელიც მუსულმანი მამაკაცისთვის ერთგვარი მეგზურია, თუ როგორ უნდა მართოს ოჯახი. წიგნი მუსულმან მამაკაცებს ურჩევს, ცოლებს რაც შეიძლება სასტიკად მოეპყრონ და უკეთ აკონტროლონ.

160 გვერდიანი წიგნის ავტორი ჰაზრატ მაულანა აშრაფ ალი ტანვია. წიგნში ამოიკითხავთ: **„აუცილებელია ცოლის შევიწროვება ძალით, ან თუ გნებავთ დამუქრებით"**. 45-ე გვერდზე კი ნათქვამია, რომ ცოლს არ შეუძლია სახლის დატოვება მამაკაცის ნებართვის გარეშე. მამაკაცს აქვს უფლება დატუქსოს მეუღლე, დაარტყას ხელი ან ჯოხი.

გავრცელებული ინფორმაციით, წიგნი ტორონტოს მაღაზიაში სწრაფად გაიყიდა.

წიგნმა მუსულმან მკითხველთა გარკვეულ ნაწილში ნეგატიური გამოხმაურება გამოიწვია. მათ განაცხადეს, რომ ის ოჯახში ძალადობას ამკვიდრებს.

# მე-19 საუკუნის საქართველო დიმიტრი ერმაკოვის ფოტოობიექტივში

დიმიტრი ერმაკოვი დაიბადა 1846 წელს ნახიჩევანში. მისი მამა იყო იმ დროისათვის კარგად ცნობილი იტალიელი არიტექტორი ლუდოვიკო კამბიაჯო, რომელიც მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის თანხლებით ჩამოვიდა ოდესიდან, ხოლო დედა კი მალაკნელი გლეხის ქალი.

ახალგაზრდა ერმაკოვმა განათლება ანანურთან მდებარე სამხედრო ტოპოგრაფიულ აკადემიაში მიიღო, რომელიც თბილისიდან ჩრდილოეთით 102 კმ-ით იყო დაშორებული და საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობდა, გზა რომლის ფოტოგრაფირებაც მას ხშირად უწევდა.

სწორედ ამ აკადემიაში ჩამოყალიბდა ერმაკოვი ფოტოგრაფად და რამდენიმე წელიწადში საზოგადოებას უკვე პროფესიონალ ფოტოგრაფად მოევლინა.

1860-იანი წლების ბოლოს ერმაკოვი ტოვებს აკადემიას და 1866 წელს ხსნის საკუთარ ფოტოატელიეს თბილისში. ფოტოსტუდია მდებარეობდა იმ დროისათვის პოპულარულ **"დვორცოვაიას"** ქუჩაზე, სადაც წლების მანძილზე მრავალი ფოტოგრაფი მოღვაწეობდა.

პირველი ფოტოსახელოსნო აქ 1846 წელს ფოტოგრაფებმა ვ. ხლამოვმა და ა. როინაშვილმა გახსნეს და ფოტოსახელოსნოს **"რემბრანტი"** დაარქვეს. ცნობილია ასევე, რომ ერმაკოვმა შეიძინა სხვადასხვა ფოტოგრაფთაგან ნეგატივები და საკუთარ ნეგატივების ნაერთით შექმნა კოლექცია, რომელსაც ტირაჟით გამოსცემდა და უკეთებდა რეალიზაციას. ფოტოსტუდიის დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში ერმაკოვი ხდება **"Société française de photographie" – (SFP)** წევრი, ეს იყო ფოტოგრაფთა ყველაზე პრესტიჟული ასოციაცია ევროპაში.

1874 წელს ერმაკოვმა მოაწყო თავისი სურათების გამოფენა, რომელთაც ორი წლის განმავლობაში იღებდა ტრაპიზონში. სავარაუდოა, რომ ერმაკოვმა ტრაპიზონში ყოფნისას გახსნა მოერე ატელიეც, რადგან გადაღებული აქვს მთელი რეგიონი. სურათები რომლებიც მან პარიზში გამოაგზავნა სწორედ ამ რაიონიდან იყო. მოგვიანებით, 1878 წელს მონაწილეობა მიიღო ქალაქ მოსკოვის ანთროპოლოგიურ გამოფენაზე, სადაც მისმა სურათებმა ღირსეული ადგილი დაიკავეს. ერმაკოვმა მიიღო ჯილდოები თურქეთის, სპარსეთის და იტალიის გამოფენებზე. 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს აყვანილ იქნა სამხედრო ფოტოგრაფად. ერმაკოვს თავისი პროფესიიდან გამომდინარე დიდი მანძილების გადალახვა უწევდა – მისი კოლექციის თვალის გადავლებით ნათელი ხდება, რომ იგი მოგზაურობდა რომიდან ვიდრე სამარყანდამდე და ჩრდილო კავკასიის ქალაქებიდან ვიდრე თეირანამდე.

დიმიტრი ერმაკოვს გადაღებული აქვს ქალაქების ხედები, სხვადასხვა ეთნიკური ტიპები, მის კოლექციაში ასევე შედის მრავალი ეკლესია-მონასტრისა და მათში დაცული საეკლესიო ინვენტარის ფოტომასალა.

1910 წელს დიმიტრი ერმაკოვმა იმოგზაურა სვანეთში, საიდანაც 1500 ნეგატივი ჩამოიტანა. ტრაპიზონის გარდა ის ასევე მოღვაწეობდა თეირანში – სპარსეთის შაჰის კარზე. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათები ინახება თეირანის უნივერსიტეტში. დიმიტრი ერმაკოვმა თავისი 45 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე დააგროვა უამრავი გადაღებული ფოტოსურათი ნეგატივის სახით, რომელთა საერთო რაოდენობა 25000-მდე მერყეობს.

მისი ფოტოთა უმრავლესობის ნახვა შესაძლებელია სიმონ ჯანაშიას თბილისის სახელმწიფო მუზეუმში. 1897 წელს იგი აირჩიეს კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა ხელისშემწყობ საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად; 1907 წელს ხდება მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი, 1912 წელს კი – თბილისის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების წევრ-დამფუძნებელი. გარდაიცვალა 1916 წლის 10 ნოემბერს, განისვენებს კუკიის სასაფლაოზე.



ზუგდიდი




მეგრელები

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# მილტონ ჰეიგი: ქართულ რაგბის ნათელი მომავალი აქვს

საქართველოს ნაკრებმა ახალი მწვრთნელების მილტონ ჰეიგისა და კრის გიბსის ხელმძღვანელობით წლევანდელი ერთა თასის გათამაშება, ფაქტობრივად, მოიგო. **„ბორჯღალოსნებს“** გასამართი ერთი შეხვედრაღა დარჩათ. ჩვენი ნაკრები 9 ივნისს სტუმრად ეთამაშება ჯგუფიდან უკვე გავარდნილ უკრაინის ეროვნულ გუნდს.

პრემიალური ქულის აღების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები ოფიციალურად გაიფორმებს ერთა თასზე გამარჯვებას.

ჩვენმა გუნდმა წლეულს ასპარეზობა ესპანეთში განცდილი მოულოდნელი მარცხით დაიწყო. ჟურნალისტებმა, მილტონ ჰეიგთან განვლილი გზის შესახებ საუბარი, სწორედ ამ თამაშის განხილვით დაიწყეს:

– 12 კვირაა, რაც საქართველოში ვიმყოფები. ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა. ერთა თასის დასაწყისში ზედიზედ ორი მატჩი უნდა გვეთამაშა უკრაინისა და ესპანეთის ნაკრებებთან. საქართველოს ნაკრების დაკომპლექტებაში მაშინ დიდი წვლილი არ შემიტანია, რადგან, ფაქტობრივად, არავის ვიცნობდი. ეს შესაძლოა, ჩემი შეცდომა იყო, ალბათ, თავიდანვე ეს ფუნქციაც უნდა მეკისრა.

**– მაინც რამ გამოიწვია ესპანელებთან მარცხი?**

– ალბათ იმან, რომ ცუდად მოვემზადეთ. ეს კი უკრაინასთან თამაშის გადადებამ გამოიწვია. ესპანეთში დავინახეთ, რომ იმ მოთამაშეების დონე, ვინც შარშან მსოფლიოს თასზე ითამაშა, გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენების. მადრიდული მატჩის შემდეგ, შერკინებაში მხოლოდ ორი მორაგბე დავტოვეთ და მერე ყველა თამაშში გავიმარჯვეთ.

**– საქართველოში ჩამოსვლისთანავე თქვით, რომ საჭიროა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა განსხვავებული თამაშის სტილი აითვისოს. თუ შეძელით ამის მოხერხება?**

– ახალი სტილის ათვისებას და ამოქმედებას გარკვეული დრო დასჭირდა. პორტუგალიასთან თამაშამდე ეს ვერ მოვახერხეთ. სწორედ მათთან ვცადეთ მისი ამოქმედება.

ვარჯიშზე, რაც უნდა კარგად გამოგდიოდეს, თამაშისას, ფსიქოლოგიური და ფიზიკური წნეხის ქვეშ, მაინც სულ სხვა. ცხადია, ყველაფერი იდეალურად არ გამოგვდიოდა, მაგრამ, ვფიქრობ, საჭიროა მოთმინება. მიუღწეველი არაფერია.

**– საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ეროვნულ გუნდს რეკორდული სხვაობით სწორედ თქვენი თავკაცობით მოუგო...**

– ეს ძალიან კარგია, რუსებთან გამარჯვება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდი იყო და ამ შედეგით ძალიან გახარებული არ უნდა ვიყოთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრების მდგომარეობით კმაყოფილი არ ვარ.

რუსებთან მატჩის შემდეგ მომდევნო შაბათს იტალიის ან შოტლანდიის ნაკრებთან რომ გვეთამაშა, ტოტალიზატორის მოყვარულებს საქართველოს ნაკრებზე ფსონის ჩასვლას ვურჩევდი.

**– ჩვენ ნაკრებს ორ თვეში საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩები ელის სტუმრად კანადისა და აშშ-ს ნაკრებებთან...**

– დიახ, ასეა და უნდა ვეცადოთ არჩეული კურსი შევინარჩუნოთ. ამერიკა და კანადა მსოფლიოს რეიტინგში ჩვენი მეზობლები არიან, ერთი გვისწრებს, მეორეს კი ჯერჯერობით ვჯაბნით. შესაბამისად, მათთან ძალიან რთული, უმნიშვნელოვანესი თამაშები გვექნება. ვეცდებით, ჩრდილოეთ ამერიკულ ტურნეში საუკეთესო შემადგენლობა ვიახლოთ.

განსაკუთრებით გაგვიჭირდება ამერიკაში, რადგან თამაში ზღვის დონიდან ძალიან მაღლა გვიწევს. ამიტომ მზადება, ვფიქრობთ, საქართველოს მაღალმთიანეთში უნდა გავიაროთ.

**– როგორ დაახასიათებდით ჩვენს ნაკრებს სათამაშო რგოლების მიხედვით?**

– საქართველოს ნაკრების შერკინების სიძლიერე საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ, როცა აქ ჩამოვედით, ეს ჩვენთვის მოულოდნელი სიახლე არ ყოფილა. მაგრამ, ნაკლი, რომელიც უმალვე შევნიშნეთ ელემენტარული უნარ-ჩვევები აღმოჩნდა. ქართველ მორაგბეებს პასის გაცემისა და მიღების ტექნიკაში აქვთ პრობლემა. მიხედავად იმისა, რომ შერკინება ძლიერია, აქაც გამოჩნდა ნაკლოვანებები მსოფლიოს თასზე ასპარეზობისას, განსაკუთრებით კი რუმინეთთან მატჩში.

კრის გიბსმა სერიოზული სამუშაო გასწია ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ყველამ ვნახეთ, რუმინეთთან ბუქარესტში გამართულ მატჩში, ჩვენ შერკინებას რა დიდი უპირატესობა ჰქონდა. გაუმჯობესდა მოთამაშეების უნარ-ჩვევებიც. ვფიქრობ, რომ ყველა ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება და თამაში კიდევ უფრო დაიხვეწება.

ცნობილი იყო, რომ საქართველოს ნაკრების უკანა ხაზი ვერ დაიკვეხნიდა საუკეთესო მოთამაშეებით. რაც მე დავინახე, ძალიან ბევრ მორაგბეს აქვს შესანიშნავი პოტენციალი, ბევრი მათგანი ძალიან სწრაფი და მოძრავია. შესაბამისად, ყველანაირი საშუალება გვაქვს, რომ თამაშის იმ სტილზე გადავიდეთ, რომლის დანერგვაც მინდა.

**– დიდი ხანია საქართველოს ნაკრებში პრობლემატურად მიიჩნევა, ცხრა ნომრის, მგეზავისა (№10) და ფულბეკის (№15) პოზიციები...**

– არ მგონია, რომ დღეს ჩვენ ამ პოზიციებზე პრობლემები გვქონდეს. მერაბ კვირკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი ბეგაძე და ლაშა მალაღურაძე შესანიშნავად ართმევენ თავს თავიანთ ფუნქციებს. ვფიქრობ, საკმარისი რეზერვი გვაქვს. ამას დაუმატეთ ლაშა ხმალაძეც, რომელსაც ორივე, მგეზავისა და ფულბეკის პოზიციაზე შეუძლია თამაში. მას ივნისის ტესტებზე კიდევ ერთხელ დავაკვირდებით.

ჩვენი თამაშის სტილი მოითხოვს ძალიან სწრაფ, ფიზიკურად ძლიერ ფულბეკს, რომელსაც ფეხით თამაშიც შეუძლია. გიორგი შკინინმა ამ პოზიციას ძალიან კარგად გაართვა თავი, ის ძლიერი, შემტევი მოთამაშეა, თუმცა გარკვეული ხარვეზები აქვს, რისი აღმოფხვრაც შესაძლებელია.

საქართველოს ნაკრებში განსაკუთრებით მომეწონა ახალგაზრდა ფულბეკი საბა ნიკოლავა. ის ფიზიკურად ძლიერია, სწრაფია და კარშიც შესანიშნავად ურტყამს. ივნისის ტესტებზე არა, მაგრამ ახლო მომავალში მას აუცილებლად გამოვიყენებთ. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებში არიან ძალიან კარგი, პერსპექტიული ცხრა ნომრებიც.

ასე რომ, საქმე უსაშველოდ ნამდვილად არ არის.

პირიქით, **ქართულ რაგბის ნათელი მომავალი აქვს!**



## იუმორი

ორი სვანი ცხენებს იყიდიან და ფიქრობენ, როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგანო. ერთი ეტყვის მეორეს:

– მოდი კუდები დავაჭრათო.

დააჭრიან ორივე ცხენს კუდს და მაინც ვერ არჩევენ. მარჯვენა ყურებსაც მოაჭრიან, მერე მარცხენას, ცხენები ისევ ერთნაირია. ბოლოს ერთი იტყვის:

– მოდი, მაშინ თეთრი შენი იყოს და შავი – ჩემიო.

* * *

სკოლაში შრომის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს უსაფრთხოების დაცვის წესებს ასწავლის:

– უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მთავარი წესია, თითები დენის წყაროში არ შეჰყოთ!!!

– მასწავლებელო, თითები იქ ხომ არ ეტევა?

– უტვინო, ლურსმნებით სცადე?

* * *

კაცმა თუთიყუში იყიდა, სახლში მიიყვანა, გალიაში ჩასვა და ფანჯრის რაფაზე შემოდგა. მეორე დღეს გაიარა პოლიციელმა. თუთიყუშმა დაინახა თუ არა დაუძახა:

– გათახსირებულო ძაღლო!

პოლიციელი პატრონთან მივიდა და დააჯარიმა. იგივე განმეორდა რამდენჯერმე. პატრონს ამდენი ჯარიმის გადახდა მობეზრდა და თუთიყუში მეზობლად მცხოვრებ ღვთისმსახურს მიაბარა. ერთი კვირის შემდეგ, პოლიციელმა ფანჯარას ჩაურა, მაგრამ თუთიყუშმა ხმა არ ამოიღო. პოლიციელმა რამდენჯერმე ჩაუარა ფანჯარას, მაგრამ თუთიყუშმა ყურადღება არ მიაქცია. ბოლოს პოლიციელი მივიდა და ეუბნება:

– რა, ველარ მცნობ? ეს ხომ მე ვარ, გათახსირებული ძაღლი.

– გვიან ინანიებ, შვილო ჩემო, – უპასუხა თუთიყუშმა.

## საქართველოში 260 000 ოჯახი საზღვარგარეთიდან ფულადი გადმორიცხვების ხარჯზე ცხოვრობს

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საზღვარგარეთიდან ფულადი გადმორიცხვების მოცულობა იზრდება. 2012 წლის იანვარში ქვეყანაში 84 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10 მილიონით მეტია. გადმორიცხვების საერთო მოცულობის 88% რვა ქვეყანაზე მოდის. მათგან 41 მლნ დოლარით პირველ ადგილზეა რუსეთი, მეორეზე – საბერძნეთი (11 მლნ), მესამეზე – იტალია (8 მლნ). გადმორიცხვები ხორციელდება, აგრეთვე, აშშ-დან, უკრაინიდან, ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

ექსპერტ სოსო არჩვაძის შეფასებით, ფულადი გადმორიცხვები საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც მან რადიო **„კომერსანტს“** განუცხადა, ამ ფულზე, დაახლოებით, 260 ათასი ოჯახია დამოკიდებული. მისივე თქმით, ეს არ არის არც ინვესტიცია და არც ბიზნესისთვის განკუთვნილი ფული. ძირითადად, ეს ერთჯერადი სახარჯო თანხაა ყოველდღიური საჭიროებისათვის. თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, შესაძლოა, ამ თანხის ნაწილი ბიზნესშიც გამოიყენება.



## სააკაშვილი - ახალი პროგრამა „ღიმილიანი საქართველო“ 10-15 მილიონი დაგვიჯდება

**„ჩვენ ახალ პროგრამასაც ვიწყებთ „ღიმილიანი საქართველო“, რომლის ფარგლებში სოფლად და ქალაქად სოციალურად დაუცველებს სტომატოლოგიურ მომსახურებას გაუწევენ“,** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, – **ამ პროგრამის განხორციელებას მათგან დავიწყებთ, ვინც ყველაზე უმწეოა და მიუსაფართა სასადილოებით სარგებლობს. ზოგიერთ 50 წლის ადამიანს გაღიმების სურვილიც აღარ აქვს, არ სურს შრომა, სამსახურში წასვლა, თან ავადდება და მისი მკურნალობა კიდევ უფრო ძვირი ჯდება. ეს პროექტი 10-15 მილიონი დაგვიჯდება, მაგრამ უნდა გავაკეთოთ, რადგან ადამიანის ფსიქოლოგიას სოციალურად ცვლის“.**

სააკაშვილი ახალი პროგრამის განხორციელების ინიციატივით გასულ წელს გამოვიდა. **„ჩვენ ვამზადებთ დანტისტებს, გამოვყოფთ თანხებს. გავაკეთოთ საპრეზიდენტო პროგრამა, დავარქვათ „ღიმილიანი საქართველო“, დავიწყოთ ამ სასადილოში მყოფი ადამიანებისგან, მერე გადავიდეთ სოფლებში და საქართველოში ყველა ხანდაზმულ ადამიანს გავუწიოთ სტომატოლოგიური მომსახურება. დავუპლომბოთ, ჩავუსვათ, გავუპრიალოთ ყველას კბილები, რომ კარგ ხასიათზე იყვნენ და სულ იღიმებოდნენ. როცა ადამიანს კბილებთან დაკავშირებული პრობლემა აქვს, მუშაობის ხალისი ეკარგება, ღიმილის ხალისი ეკარგება, და საერთოდ, ცხოვრებაზე სხვა წარმოდგენა აქვს“,** – განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა.

## არაჩვეულებრივი გამოფენა

საქართველოს “ნაციონალური” რეალობა, რომელსაც, თუ ხალხმრავალ რიგში არ ჩადექი, ვერ აიხდენ!



## საქართველოს ლეიბორისტული პარტია: სააკაშვილი ახალი ომისთვის ემზადება

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გეგმების შესახებ განაცხადა. **„ხელისუფლებაში მყოფი ეს ბანდა მზად არის, გააგრძელოს ის პროვოკაციები, რომელთა შედეგად ჩვენ 2008 წლის აგვისტოში დავკარგეთ ძირძველი ქართული მიწები და რომლებსაც შეეწირა ასობით ჩვენი თანამემამულე“,** – განუცხადა გუგავამ ჟურნალისტებს.

**„დააკვირდით, როგორ იმატა ამათ „ჯიბის ტელევიზიებში“ სამხედრო რიტორიკამ, რეზერვისტების ახალი რაზმებისა თუ ახალი სამხედრო ტექნიკის რეკლამირებამ! სააკაშვილი ომისთვის ემზადება!“,** – მიიჩნევს ოპოზიციონერი.

გიორგი გუგავას თქმით, სააკაშვილი **„მოაწყობს პროვოკაციებს, შემოიტყუებს რუსულ არმიას, თვითონ კი ნაძარცვი მილიარდებით დევნილი პრეზიდენტის სტატუსით მოკურცხლავს საქართველოდან“.**

**„სააკაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოდან დევნილი პრეზიდენტის მანტიით უცხოეთში დამნაშავე კი არა, მსხვერპლი იქნება და მას ყველაფერი ეპატიება“,**– განაცხადა ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა.

ხელისუფლებას ამ განცხადებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge